ყაჩაღურ თავდასხმას თავდამსხმელი ემსხვერპლა A2

სჭირდება თუ არა საქართველოს კანონი რელიგიის შესახებ A7

თავი და თავი პრობლემისა არის ის, თუ ვინაა საქართველოში ხელისუფლების წყარო A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 3 ივლისი, 2002 წელი. №31

ფასი 50 თეთრი

ავთანდილ ჯორბენაძეს ოთხი თვის ბიუჯეტის ჩავარდნა „შეუნდეს„

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

გუშინ, პარლამენტის სხდომაზე, სახელისუფლებო შტოების ხელმძღვანელები ღიად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სახელმწიფო მინისტრისთვის შეკითხვების დასმისას, პროცედურის გაჭიანურების გამო, ავთანდილ ჯორბენაძემ, მხარდამჭერ დეპუტატებთან ერთად, ნინო ბურჯანაძე ტენდენციურობაში დაადანაშაულა და სხდომის წაყვანის თაობაზე შენიშვნები მისცა. ნინო ბურჯანაძემ ამ შენიშვნებს ერთობ მძაფრად უპასუხა, რაც სახელისუფლებო იერარქიაში ყველასთვის თავისი ადგილის მიჩენით გამოხატა.

სახელმწიფოში, ჯერჯერობით, მე მეორე პირი ვარ! - პრინციპული ტონით წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ მსგავსი შენიშვნები შეურაცხყოფს მას და პარლამენტს.

თუმცა, საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო მინისტრის გუშინდელი სტუმრობა მისთვის მაინც მშვიდობიანად დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილ ჯორბენაძემ ვერ შეასრულა საკანონმდებლო ორგანოსთვის იანვარში მიცემული პირობა და მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტს 38 მილიონი ლარი დააკლდა, პრეზიდენტობის კანდიდატად შერაცხული პოლიტიკოსის კარიერას ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრება: ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" მიერ შემუშავებულმა დადგენილების პროექტმა, რომელიც ედუარდ შევარდნაძის წინაშე სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითვალისწინებდა, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

გუშინ საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში მოისმინა. დეპუტატების წინაშე ორი მომხსენებელი წარსდგა - ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. მათი მოხსენებები წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს: აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ციფრების ენით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ პარლამენტარები, რომ ქვეყანაში საქმეები არც თუ ურიგოდ მიდის და ეკონომიკა აღმავლობას განიცდის.

"2002 წლის დასაწყისიდან დაფიქსირებულმა ქვეყნის რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ, პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით, 3,7 პროცენტი შეადგინა. წლის დასაწყისიდან პოზიტიური ტენდენციები იკვეთება მრეწველობაში: თუ პირველ კვარტალში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი 1,2 პროცენტი იყო, ოთხი თვის შედეგების მიხედვით, ამ მაჩვენებელმა 2,7 პროცენტი შეადგინა. 2002 წლის აპრილში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წარმოებული იქნა 5,4 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია," - სტატისტიკური მონაცემებით დაბომბა ავთანდილ ჯორბენაძემ დეპუტატები.

საერთო იდილიური სურათის დახატვის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა სასხვათაშორისოდ მაინც ახსენა, რომ მიმდინარე წლის ოთხ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა 38 მილიონი ლარი, თუმცა, ამის მიზეზებზე მსჯელობით პარლამენტარების ყურადღება აღარ გადაღალა და უარყოფით ტენდენციებზე საუბრისას მხოლოდ იმის დაფიქსირებით დაკმაყოფილდა, რომ ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ დარგს ენერგეტიკა წარმოადგენს, რაც ბიუჯეტზე მეტად უარყოფითად აისახება. ავთანდილ ჯორბენაძემ ასევე დიდი გულისტკივილით ილაპარაკა უამინდობაზე და იმ პრობლემებზე, რომელიც სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების დაგვიანებამ შექმნა.

საერთოდ, თვალშისაცემი იყო, რომ გუშინ სახელმწიფო მინისტრი თვითკრიტიკით მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა და ცდილობდა, წარუმატებლობა მთლიანად თავისი წინამორბედებისთვის გადაებრალებინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

თბილისელთა არჩევანს მხოლოდ ერთი რიგითი იცავს

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შექმნილი ვითარება უკვე პოლიტიკურ ფარსს დაემსგავსა. იმის მიუხედავად, რომ გუშინ კომისიას ბიულეტენების ინვენტარიზაცია უნდა დასრულებინა, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს - ბიულეტენების დათვალიერება-შემოწმების პროცედურა ჯერ არც დაწყებულა.

ასე რომ, თბილისში გამართული არჩევნების დამადასტურებული დოკუმენტაცია კვლავ სარდაფშია ჩაკეტილი. კარი საგულდაგულოდ არის დალუქული და მას იცავს დაცვის მხოლოდ ერთი რიგითი თანამშრომელი.

თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც კი არავინ იცის, როდის შეასრულებს ცესკო საკუთარ გადაწყვეტილებას. კომისიის წევრები ხუმრობენ კიდეც - **ორმა ივნისმა იმდენი პრობლემა გაგვიჩინა, ბიულეტენები ერთ მშვენიერ დღეს რომც აორთქლდეს, გული არავის დაწყდებაო.**

ხუმრობა — ხუმრობად, მაგრამ ბიულეტენების ინვენტარიზაციის შეფერხებას თავისი მორიგი ობიექტური მიზეზი აქვს. იგი კვლავ სასამართლო პროცესს უკავშირდება. საქმე ის გახლავთ, რომ ინვენტარიზაციის წესის მიღებისთანავე ცესკოს სოციალისტმა წევრმა **დენის დავითაშვილმა**, თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მისი აზრით, ცესკო უკანონოდ მოიქცა, როცა ბიულეტენების გადათვლის წესი და ინვენტარიზაციის პროცედურა ერთმანეთისგან დაიცალკევა. **დათვალიერება მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა კომისია წესს შეიმუშავებდა. ახლა კი ნამდვილად არსებობს ბიულეტენების ან ოქმების შეცვლის საშიშროება,** - აცხადებს მომჩივანი.

წესით, სასამართლო პროცესი დღეს უნდა გაიმართოს. თუმცა, შესაძლებელია, მოსამართლეებმა სარჩელი წარმოებაში არ მიიღონ და იგი უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნონ. თუ პროცესი დროში გაიწელა, მაშინ ცესკო კვლავ ვერ შეასრულებს მეორე გა-

გაგრძელება A3 გვერდზე

სასამართლომ „ნაციონალები„ „სანახევროდ„ დააკმაყოფილა

თამარ ხორბალაძე

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გუშინ "ნაციონალები" "სანახევროდ" დააკმაყოფილა.

გუშინდელი გადაწყვეტილებით, ძალაში რჩება ცესკოს ოქმის გაუქმების შესახებ სასამართლო განჩინება, რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ ვერ შეიკრიბება ახალი საკრებულო.

სანაცვლოდ, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა "სახალხოს" და ედპ-ს სარჩელებზე საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით. ამ სარჩელებში პარტიები ცესკოს ოქმის უკანონოდ ცნობას, ანუ არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვდნენ.

შეგახსენებთ, ამ სარჩელების განხილვა სასამართლომ იმ მოტივით შეაჩერა, რომ, "ნაციონალების" თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, ბიულეტენების გადათვლის პროცესი უნდა გაიმართოს. სამართლებრივ ლოგიკაზე საუბრით არ ღირს გადაღლა, პოლიტიკური ლოგიკა კი ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ასეთი გახლდათ - რადგან "ნაციონალებმა" პირველ სარჩელში დაფიქსირებული მსგავსი მოთხოვნა პროცესის დაწყებამდე მოხსნეს და ხელისუფლებას წაართვეს არჩევნების შედეგების "ნაციონალთა მოთხოვნით" გაუქმების შანსი, გადაწყდა, ეს საკითხი "შემოვლითი გზით" მოგვარებულიყო.

უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება კი იმას ნიშნავს, რომ, კანონის თანახმად, უახლოეს სამ დღეში "სახალხოსა" და ედპ-ს სარჩელების განხილვა უნდა გაიმართოს. ანუ სასამართლომ ამ დღეებშივე უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე - მზად არის თუ არა იგი, "სახალხოსა" და ედპ-ს მიერ წარმოდგენილი სამხილების საფუძველზე, გააუქმოს არჩევნების შედეგები.

გაგრძელება A3 გვერდზე

მსოფლიო ბანკი მიწისძვრით დაზიანებულ სკოლებს აღადგენს A4

ცაავას "საქგაზის" კეთილი ნების იმედი აქვს A4

ფრანგთა საამაყო კომპანია უფსკრულის პირას დგას A4

ბუში თუ გორი - მეორე რაუნდი 2004 წელს A5

გახმაურებული მკვლელობის გაუხმაურებელი დეტალები A7

ამინდი

თბილისი	28
ქუთაისი	27
ბათუმი	25
სოხუმი	26
ფოთი	26
თელავი	28
ზუგდიდი	27
გორი	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2050
ევრო	2.1927
გირვანქა სტერლინგი	3.3798
რუბლი	0.0700

ჯერჯერობით, ქართული სახელმწიფო პროგრესის რამე ნიშანწყალს არ ამჟღავნებს

სვანტე კორნელი არის ჯონს-ჰოპკინსისა (აშშ) და უფსალას (შვედეთი) უნივერსიტეტების პროფესორი და ჟურნალ "სენტრალ აზია კაუკასუს ანალისტის" რედაქტორი. დასავლეთში პროფესორი კორნელი კავკასიისა და თურქეთის ერთ-ერთ საუკეთესო ექსპერტად მიიჩნევა.

-ქართულ საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი აზრი თურქეთის შესახებ. საუკუნოვანი მტრობის შემდეგ თურქეთი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი გახდა. თქვენი აზრით, რა ადგილი აქვს კავკასიას თურქეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში?

-90-იან წლების დასაწყისში თურქეთის პოლიტიკა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში მხოლოდ თურქულენოვან რესპუბლიკებზე იყო ფოკუსირებული და საქართველოს საკითხს სერიოზული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. მაშინ საქართველოს მიმართ გატარებულ ანკარის პოლიტიკაზე საკმაო გავლენას ახდენდა აფხაზური და ჩრდილოეთკავკასიური დიასპორა. 90-იანი წლების შუა ხანებში სურათი შეიცვალა. თურქეთმა გააცნობიერა საქართველოს მნიშვნელობა და ამ დროიდან იწყება საქართველოსადმი სამხედრო და სხვა სახის დახმარების ზრდა. უნდა ითქვას, რომ თურქეთის ერთიან საგარეო პოლიტიკაზე საუბარი საკმაოდ რთულია. პოლიტიკური ელიტა და სამხედროები სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებენ. დღეს თურქეთის პოლიტიკური ელიტა იმდენად არეულ-დარეულია, რომ ძნელია რაიმე ერთიან მიდგომაზე საუბარი. ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი ეროვნული ქმედების პარტია პანთურქული მიმართულებისაა. რაც შეეხება სამხედროებს, ვის ხელშიცაა რეალურად თურქეთის კავკასიური პოლიტიკა, მათ კარგად ესმით საქართველოს მნიშვნელობა, რაც შემდგომში მდგომარეობს: 1. ნავთობსადენები; 2 დამაკავშირებელი ხიდი აზერბაიჯანთან; 3. საქართველო ქაოსის ზღვარზე მყოფი ქვეყანაა, რომელიც თურქეთს ესაზღვრება. სამხედროების პოლიტიკა საკმაოდ პრაგმატული და საქართველოსადმი მეგობრულია, ასე რომ, ამ მხრივ, საქართველოს საფრთხე არ ემუქრება. მართალია, საუკუნოვანი მტრობის ისტორია არსებობს, მაგრამ დღეს თურქეთის ფაქტორი ერთ-ერთი საუკეთესო რამაა, რაც საქართველოს გააჩნია.

გაგრძელება A5 გვერდზე

კატასტროფა გერმანია-შვეიცარიის საზღვარზე

A5

ავიაკატასტროფა

სამხრეთ გერმანიის საჰაერო სივრცეში 36,000 ფუტის სიმაღლეზე ორი თვითმფრინავი - სამგზავრო „ტუ-154" და სატვირთო „ბოინგ 757"- შეეჯახა. დაიღუპა 71 ადამიანი

„მეტრომედია„ და „ბულკომი„ მთავრობას ულტიმატუმს უყენებენ

ანუ ვისი სქემით წავა „საქართველოს ტელეკომის„ პრივატიზაცია

გიორგი კალანდაძე

ამერიკული კომპანია "მეტრომედია" დაინტერესებულია შპს "საქართველოს ტელეკომში" თავისი 30-პროცენტიანი წილის გაზრდით. ასეთი წინადადებით კომპანიამ საქართველოს მთავრობას მიმართა, რადგან "ტელეკომში" წილის 40 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაა. ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური იქნება სატელეკომუნიკაციო კომპანიის პარტნიორთა კრებაზე, რომელიც, სავარაუდოდ, 15 ივლისს გაიმართება თბილისში.

საქართველოში "მეტრომედია ინტერნეშენელ გრუფის" წარმომადგენლის, ზურაბ ჩიგოგიძის განცხადებით, კომპანიის სტრატეგიის ცვლილება, გარკვეულწილად, მსოფლიო ბაზარზე სატელეკომუნიკაციო სფეროში შექმნილმა კრიზისმა გამოიწვია. ახლა კომპანიები ცდილობენ, პრიორიტეტულ საწარმოებში საკონტროლო პაკეტები ჩაიგდონ ხელში, ან შედარებით "წვრილი" წილები, რაც შეიძლება სწრაფად გაყიდონ. გამონაკლისი არც "მეტრომედიაა", რომელიც 9-18 თვის განმავლობაში რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც საკუთარი აქტივების დიდი ნაწილის გაყიდვას გეგმავს. ამ მიზნით "მეტრომედიამ" უკვე დაიქირავა რუსული კომპანია "იუნაითედ ფაინენშალ გრუფი", რომელმაც უნდა შეაფასოს დსთ-ს ბაზარზე "მეტრომედიას" აქტივები და მოლაპარაკებები წარმართოს მათ შესაძლო მყიდველებთან.

გაგრძელება A4 გვერდზე

■ ■ ■

კოდორის ხეობა. კოდორის ხეობის ყველაზე რთულ მონაკვეთზე აღდგა ჭუბერი-საკენი-ომარიშარას საავტომობილო გზა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც აქ ე.წ. ორხიდიანი ავტომანქანები მოძრაობენ და ადგილობრივ მოსახლეობას ტვირთს აწვდიან.

საგზაო დეპარტამენტის საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსმა გოგი წერეთელმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ წყალდიდობამ გზაზე მოძრაობა შეაფერხა, თუმცა მანქანები მაინც ახერხებენ გადაადგილებას. გოგი წერეთლის ინფორმაციით, 3-4 დღეში აქ დასრულდება ხის ხიდის მშენებლობა, რის შედეგადაც სატვირთო ავტომობილებს მოძრაობა გაუადვილდებათ. ("24 საათი")

■ ■ ■

კოდორის ხეობა. კოდორის ხეობაში გაეროს სამხედრო დამკვირვებლებისა და დსთ-ს სამშვიდობო კონტიგენტის მიერ პატრულირების შედეგების მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ხეობაში მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი კონტიგენტი – იქაური სვანები, ანუ ე. წ. მონადირეები. პატრულირების დასკვნაში ნათქვამია, რომ ხეობაში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და "ბოევიკები" არ აღმოუჩენიათ.

დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ დაბა ჩხალთის(პატრულირების მარშრუტი იყო სოხუმი-წაბალი-ლათა-ჩხალთა-ქვემო აჟარა-გენწვიში-საკენი-მარცხენა პტიში-აძგარა) სკოლის შენობაში დღემდე არის საბრძოლო ნაღმების საწყობი(იგი კოდორის ხეობაში ორიოდე კვირის წინ განხორციელებული პატრულირების შედეგად არმოაჩინეს).

"24 საათი" დაუკავშირდა აფხაზური მხარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომელმაც ვინაობის დაფიქსირება არ ისურვა. მისი თქმით, დაბა ჩხალთაში აღმოჩენილი შეიარაღება ქართველებს ეკუთვნის, ვინაიდან იქ ქართული ჯარია დისლოცირებული.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, პატრულირების დასკვნაში ეს შემთხვევა, როგორც დარღვევა, ისე არ არის კვალიფიცირებული. აფხაზები ამის გამო პროტესტს გამოთქვამენ. ისინი აპირებენ, რომ გაეროს მისიას საპროტესტო განცხადებით მიმართონ. ("24 საათი")

■ ■ ■

ლონდონი. ლონდონში დასრულდა სამხრეთ კავკასიის პარლამენტების წარმომადგენელთა შეკრება, რომელიც ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "ლინქსის" ეგიდით მოეწყო. ჩვენი ქვეყნიდან შეკრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია, პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი და ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გივი შულაროვი.

ვახტანგ ყოლბაიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას და რეგიონის ერთიანი საპარლამენტო ფორუმის შექმნას.

სამხრეთ კავკასიის პარლამენტარები მიიღეს ინგლისის პარლამენტში, მათ ასევე შეხვედრა და საუბრები ჰქონდათ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. პარლამენტარებმა ოქსფორდში კონფერენცია ჩაატარეს. შეკრებამ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ამგვარი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გააქტიურდება. ("24 საათი")

■ ■ ■

თბილისი – საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია მიიჩნევს, რომ საქართველოს საბანკო სისტემაზე შეტევა მზადდება. "ყველა ჯურის აფერისტები გააქტიურდნენ და სასამართლოების მეშვეობით საბანკო სისტემაზე შეტევას გეგმავენ", - განაცხადა ზურაბ გვასალიამ ჟურნალისტის სახლში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციას "გაერთიანებული ქართული ბანკის", "თიბისი ბანკის", „ქართუს", „თბილკრედიტბანკის", „მერკურისა" და „აბრეშუმის გზის" ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. მათ შეშფოთება გამოთქვეს უკანასკნელ ხანში ბანკების წინააღმდეგ მიმართულ პროცესებზე.

ყურადღება გამახვილდა „აგრობიზნესბანკის" დირექტორის პიტერ შოუს გატაცებისა და ბანკ „კრედიტის" ხელმძღვანელის დაზმირ მიქაბაძის მკვლელობის ფაქტზე.

გვასალიას თქმით, გარკვეული ძალები ბანკების პოლიტიზებას ცდილობენ, რაც დაუშვებელია.

"ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, ძლიერი საბანკო სისტემა სჭირდება", - მიაჩნია ბანკების ასოციაციის პრეზიდენტს ზურაბ გვასალიას. გვასალია, ამ ეტაპზე, კონკრეტული გვარების დასახელებისაგან თავს იკავებს და აცხადებს, როცა სამხილები ექნება, ბანკების წინააღმდეგ „გარკვეულ" ძალებს მაშინვე ამხელს.

■ ■ ■

თბილისი. შს თბილისის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №5 საპყრობილეში სხეულის დაზიანებებით გადაიყვანეს 28 წლის პატიმარი ტარიელ მახარობლიძე.

№5 საპყრობილეში ექიმ-ექსპერტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მახარობლიძეს დაზიანებები აქვს მარჯვენა მხრის, მარჯვენა წვივისა და მარცხენა თვალბუდის არეში.

ტარიელ მახარობლიძე პოლიციელებმა იარაღის უკანონო ტარება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.

პატიმრის განმარტებით, მან სხეულის დაზიანებები დაკავებისას მიიღო.

სხეულის დაზიანებები აღენიშნება 29 წლის პატიმარ ალექსანდრე თაბაგარსაც, რომელიც შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 საპყრობილეში გადაიყვანეს.

თაბაგარი პოლიციელებმა იარაღის უკანონო ტარება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.

პატიმარს აღენიშნება სისხლნაჟღენთები და ექსკორაციები ცხვირის, ზურგის, მარჯვენა მტევნის, მარჯვენა წვივის, მარჯვენა მუხლის არეში.

თაბაგარის განმარტებით, მან დაზიანებები დაკავებამდე მიიღო.

ვაზიანის სამხედრო ბაზის გაძარცვის ფაქტზე კიდევ ერთი სამხედრო პირი პასუხისგებაში გადასცეს (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ივნისის დასაწყისში пкт ტიპის 13 ტყვიამფრქვევისა და 24 რადიოსადგურის მოპარვის ფაქტზე კიდევ ერთი სამხედრო მოსამსახურე, ამ ბაზაზე დისლოცირებული მეთერთმეტე მოტომსროლელი ბრიგადის მექანიზირებული ბატალიონის ასმეთაური ზვიად ჩუბინიძე პასუხისგებაში გადასცა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა დავით გაგნიძემ უთხრა, ზვიად ჩუბინიძემ, აღიარა, რომ კიდევ ერთ ბრალდებულ და პატიმრობაში მყოფ მეთერთმეტე ბრიგადის მექანიზირებული ბატალიონის ასმეთაურ ლევან პაპაშვილთან ერთად, პირადი ანგარების მიზნით 24 რადიოსადგური მოიპარა, ხოლო რეალიზაცია "ვაზიანის ბაზის გარეთ" მოახდინა.

მისი თქმით, ამჟამად დგინდება თუ ვინ შეისყიდა რადიოსადგურები.

ჩუბინიძეს წაყენებული აქვს ბრალდება, ქურდობის და თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით.

ამასთან, გაგნიძის თქმით, ჩუბინიძე არაა დაპატიმრებული და მას პოლიციის ზედამხედველობა დაუწესეს, რადგან იგი თავად გამოცხადდა აღიარებითი ჩვენებით და "გამოძიებას ყოველმხრივ უწყობს ხელს".

რაც შეეხება ტყვიამფრქვევებს, რომელთაგან ერთი აღმოაჩინეს, გაგნიძის თქმით, მიმდინარეობს გამოძიება.

ტყვიამფრქვევებისა და რადიოსადგურების მოპარვის ფაქტზე დაპატიმრებულია, ასევე მე-11 ბრიგადის სატანკო ბატალიონის უფროსი მაიორი ვაჟა გუტაშვილი. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სპეცსამსახურებში არ გამორიცხავენ, რომ უცხოეთის გემებით, არალეგალურად, ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად აფხაზეთის პორტებში შემოსული გემებით, ბოევიკების, იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტი წარმოებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა განუცხადა, აფხაზეთში ძირითადად კერძო გემთმფლობელების გემები თურქეთიდან, ასევე არცთუ ხშირად, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შედის.

მისი თქმით, აფხაზეთიდან გააქვთ ნახშირი, ჯართი, ხე-ტყის მასალები, მაგრამ რამდენადაც ამ პროცესს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება აკონტროლებს, არ შეიძლება ბოევიკების, იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტი გამოირიცხოს.

მისი ინფორმაციით, ფოთის საზღვაო კომენდატურის მესაზღვრეებმა რამდენიმე დღის წინ სოხუმიდან მომავალი თურქული გემი დააკავეს, რომელსაც 900 ტონა ნახშირი გადაჰქონდა. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სპეცსამსახურები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობიდან ჩეჩენ ბოევიკთა ჯგუფები გასასვლელად ემზადებიან, - განაცხადა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა.

ამასთან, მან კატეგორიულად უარყო სამხედრო უწყებების წყაროებზე დაყრდნობით რუსეთის მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლითაც თითქოს პანკისის ხეობაში მყოფმა ბოევიკებმა ბოლო დღეებში თურქეთიდან დიდი ოდენობით იარაღი, მათ შორის, "სტინგერის" ტიპის საზენიტო კომპლექსები მიიღეს.

მსგავსი აბსურდული და პროვოკაციული განცხადებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუარესებას ითვალისწინებს, - თქვა ლაშა ნაცვლიშვილმა.

მისი განცხადებით, თბილისში საკმაოდ კარგად აცნობიერებენ რუსეთის აღშფოთებას, რაც პანკისის ხეობაში ჩეჩენ ბოევიკთა ყოფნას უკავშირდება, თუმცა ეს პრობლემა ასევე საქართველოსაც აღელვებს.

საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია პოლიტიკური ნება პანკისის პრობლემის მოსაგვარებლად.

მისი აზრით, ნებისმიერ გაუაზრებელ ქმედებას "პირდაპირი გაგები ქართველი ხალხის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთან შეტაკება შეუძლია", ამდენად, პანკისის ხეობის პრობლემა ფრთხილად გვარდება.

ნაცვლიშვილის ინფორმაციით, ქართული და რუსული სპეცსამსახურები ყველაზე აქტიური ფორმით თანამშრომლობენ პანკისის პრობლემის გადასაჭრელად. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. საგამოძიებო დეპარტამენტის და თბილისის შს მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს შპს „კოხის" დირექტორი, 30 წლის კახაბერ ელიზბარაშვილი. მან დაამზადა ყალბი საგადასახადო დოკუმენტი, რომელიც გაასაღა და სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 105.042 ლარის ზარალი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. საგამოძიებო დეპარტამენტისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბძოლის თანამშრომლებმა ამხილეს შპს „კვიპაროსის" დირექტორი, 31 წლის ციალა შენგელია. მან ყალბი საგადასახადო დოკუმენტი დაამზადა და გაასაღა იგი, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 73.734 ლარის ზარალი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

სამტრედია. სამტრედიის რაიონის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობისთვის ძებნილი, 22 წლის ლაშა ფესვიანიძე, რომელიც 2000 წლის 28 სექტემბერს ყაჩაღურად თავს დაესხა სამტრედიაში მცხოვრებ კლავდია აკულოვას ოჯახს, 2002 წლის 21 აპრილს კი სოფელ იანეთში მცხოვრებ ეთერ კოპალეიშვილის ოჯახს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის ისან-სამგორის რაიონის პოლიციამ დააკავა თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურატურის მიერ ძებნილი, 20 წლის ზვიად ასისტაშვილი.

თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის პოლიციამ დააკავა რუსთავში მცხოვრები, 19 წლის თემურ გაგოშიძე, რომელმაც თბილისში ურთიერთშელაპარაკებისას ბასრი საგნით მუცელში დაჭრა 22 წლის ივანე გელაშვილი. საქმეს პროკურატურა იძიებს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

ისრაელი. სამშაბათს 18 ამერიკელი ისრაელის ტერიტორიაზე არ შეუშვეს და აეროპორტიდან აშშ-ში გააბრუნეს. ისრაელი ასე ეპყრობა ყველა უცხოელს, ვინც ისრაელში პალესტინელებისთვის სოლიდარობის გამოცხადების მიზნით ჩადის.

ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თოვა ელისონის განცხადებით, ამერიკის მოქალაქეები თელ-ავივის ბენ გურიონის აეროპორტში ორშაბათს ჩავიდნენ და იქიდან დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში წასვლს აპირებდნენ. ამერიკიდან ჩამოსული ჯგუფი, ძირითადად, პაკისტანური, ეგვიპტური და ერაყული წარმოშობის პირებისგან შედგებოდა, რომლებმაც ამერიკის მოქლაქეობა ნატურალიზაციის შედეგად მიიღეს. ამ ჯგუფში ერთი ბრიტანელიც იყო, რომელიც სამშობლოში გააბრუნეს. ქვეყანაში შესვლის ნება ჯგუფიდან მხოლოდ ორ პირს დართეს, რადგან ისინი ისრაელის მოქალაქეები იყვნენ.

ელისონის განცხადებით, ამ პირებს "პალესტინელებისთვის სოლიდარობის გამოცხადება სურდათ. ისრაელი საომარ მდგომარეობაშია და ნებისმიერი სხვა ქვეყანა მის ადგილზე თავის მტრებს ან მათ მხარდამჭერებს ქვეყანაში შესვლის ნებას არ დართავდა". ისრაელმა პალესტინელების მხარდამჭერთა ქვეყანაში შეშვების აკრძალვის პოლიტიკა მარტიდან დაიწყო, როცა ისრაელის ჯარი დასავლეთ სანაპიროზე ფართომასშტაბიან ოპერაციებს აწარმოებდა. მას შემდეგ ისრაელის ტერიტორია, დაახლოებით, 120 უცხოელს დაატოვებინეს, ხოლო 200-ზე მეტი ქვეყანაში არ შეუშვეს. ელისონის განცხადებით, "შინაგან საქმეთა სამინისტრო კრძალავს და მომავალშიც აკრძალავს ქვეყანაში ტერორის მხარდამჭერთა და იმ პირების შესვლას, ვისაც ისრაელისთვის ზიანის მიყენება სურს" (Associated Press).

■ ■ ■

ჩილე. გადაწყვეტილება ჩილეს უზენაესმა სასამართლომ 5-დან 4 მოსამართლის ხმით მიიღო. ამგვარად, უზენაესმა სასამრთლომ სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს წინა გადაწყვეტილებით, გენერალ ავგუსტო პინოჩეტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი იმ მიზეზით შეწყდა, რომ იგი ფსიქიურად ჯანმრთელი არ არის. გენერალ პინოჩეტის წინააღმდეგ საქმე 1973-1990 წწ. ჩადენილი დანაშაულებებისთვის აღიძრა. მას აბრალებენ 18 ადამიანის გატაცებასა და 57 ადამიანის მკვლელობას. ეს ადამიანები პოლიტპატიმრები იყვნენ, რომლებსაც 1973 წელს, პინოჩეტის ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ სამხედრო დაჯგუფება "სიკვდილის ქარავანი" გაუმკლავდა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პინოჩეტის გამართლება არ მომხდარა, უბრალოდ, ის ფაქტი დაფიქსირდა, რომ ის ვერ წარსდგება სასამართლოს წინაშე გაუარესებული ჯანმრთელობის გამო. 86 წლის გენერალმა მფრინავებმა ვერ გაითვალისწინეს, რა კანონადა შეეძლოთ მოეწყოთ კბილებამდე შეიარაღებულ ავღანელებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პუშტუნებით დასახლებული ეს პროვინცია ცუდი რეპუტაციით სარგებლობს და თალიბების ერთ-ერთ დასაყრდენად ითვლება.

ამერიკელებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ სოფელს შეცდომით დაეცა ბომბდამშენ B-52-ის მიერ ჩამოგდებული ბომბი, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სოფელი AC-130 ტიპის თვითმფრინავმა დაბომბა, რომელიც 105-მილიმეტრიანი ქვემეხითა და ტყვიამფრქვევებით იყო შეიარაღებული. ინციდენტს შერეული ამერიკულ-ავღანური კომისია გამოიძიებს.

■ ■ ■

ავღანეთი. ტრაგიკული ინციდენტი მოხდა ავღანეთში. აშშ-ს ავიაციამ შეცდომით დაბომბა უზურგანის პროვინციის სოფელი დეჰ რავუდი, სადაც ქორწილი მიმდინარეობდა. ქორწილში, პუშტუნების ტრადიციის მიხედვით, სტუმრები ჰაერში ისროდნენ. აშშ-ს ავიაციამ ეს სროლა მისი თვითმფრინავების წინააღმდეგ მიმართულად ჩათვალა და სოფელს ცეცხლი გაუხსნა. სხვადასხვა ინფორმაციით, 30-დან 100-მდე ადამიანი დაიღუპა, ძირითადად, ქალები და ბავშვები. ავღანეთში აშშ-ს ძალების წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა კინგმა განაცხადა, რომ ზეიმის სროლით აღნიშვნის ტრადიცია მათთვის ნაცნობი იყო, მაგრამ ცეცხლი გაცილებით უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე ეს ზეიმს შეეფერება. როგორც ჩანს, ამერიკელმა მფრინავებმა ვერ გაითვალისწინეს, რა კანონადა შეეძლოთ მოეწყოთ კბილებამდე შეიარაღებულ ავღანელებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პუშტუნებით დასახლებული ეს პროვინცია ცუდი რეპუტაციით სარგებლობს და თალიბების ერთ-ერთ დასაყრდენად ითვლება.

ამერიკელებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ სოფელს შეცდომით დაეცა ბომბდამშენ B-52-ის მიერ ჩამოგდებული ბომბი, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სოფელი AC-130 ტიპის თვითმფრინავმა დაბომბა, რომელიც 105-მილიმეტრიანი ქვემეხითა და ტყვიამფრქვევებით იყო შეიარაღებული. ინციდენტს შერეული ამერიკულ-ავღანური კომისია გამოიძიებს.

ყაჩაღურ თავდასხმას თავდამსხმელი ემსხვერპლა

გუშინ ვარკეთილში, ჩიქოვანების ოჯახში ატეხილ ორმხრივ სროლას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, სამი დაიჭრა. დაჭრილთაგან ერთი გაიქცა, ორი კი ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოათავსეს.

გავრცელებული ვერსიის თანახმად, ოჯახის უფროსმა ჯონი ჩიქოვანმა, შუადღის ოთხ საათზე, თავხედურად მომხდურ ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწია, რის დროსაც თავად დაიჭრა, თუმცა, მასზე გაპიროვნებული TT-ს სისტემის პისტოლეტით, ერთი ყაჩაღი მოკლა და ორიც დაჭრა. პოლიცია, რომელიც ჩიქოვანების მეზობლებმა გამოიძახეს, შემთხვევის ადგილზე მივიდა, მაგრამ უკვე ყველაფერი დასრულებული იყო. მათ მხოლოდ მოკლული და დაჭრილები დახვდნენ. მესამე თავდამსხმელი, რომელიც ჩიქოვანების მტკიცებით, დაჭრილი იყო, მიიმალა. თვითმხილველთა თქმით, ის ტაქსში ჩაჯდა და გაუჩინარდა.

ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს უფროსის თემურ ტურაბელიძის თქმით, გაქცეულის ვინაობა ცნობილია და მის დასაკავებლად მიმდინარე ოპერატიულ ღონისძიებაში კინოლოგიური სამსახურიცაა ჩართული.

ქალაქის პირველ საავადმყოფოში კი გუშინ პარალელურად უკეთდებოდათ ოპერაციები ჯონი ჩიქოვანსა და თავდამსხმელ დავით რუსიას. ჩიქოვანის მდგომარეობა ბევრად უფრო მსუბუქი აღმოჩნდა. მუცელში მოხვედრილი ტყვია მას ადვილად ამოუღეს და გუშინ ღამისთვის მდგომარეობა უკვე სტაბილური იყო. სხვაგვარადაა საქმე რუსიასთან დაკავშირებით. ფეხში მოხვედრილმა ტყვიამ მას ვენური და არტერიული სისხლძარღვები დაუზიანა. მისი მდგომარეობა, ექიმების თქმით, ძალზე მძიმეა და რთული ოპერაცია რამდენიმე საათის მუშაობას საჭიროებს. თუმცა, მისი გადარჩენის შანსებიც არსებობს.

თ. ტურაბელიძეს ყაჩაღობა ერთადერთ ვერსიად მიაჩნია

პოლიცია დაჭრილებს არავის აკარებს

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

ერთ შენობაში, სხვადასხვა სართულზე მყოფ პაციენტებს პოლიცია იცავს - არც ჟურნალისტებს და არც პაციენტთა ახლობლებს დაჭრილებს არ აკარებს.

ერთადერთი ვერსია, რასაც პოლიცია განიხილავს, ჩიქოვანის მხრიდან ყაჩაღებისგან თავდაცვაა. მომხდარი სამართალდამცველებში სხვა ეჭვს არ იწვევს.

"ძმასთან სტუმრად ვიყავი. ცოლი ერთი თვის წინ მოიყვანა და ქორწილისთვის ვემზადებოდით, -- გვიამბო ჯონი ჩიქოვანის დამ, რომელიც მომხდარის უშუალო მონაწილე გახლავთ, -- **ზარი დაირეკა. კარის გასაღებად მისულს მითხრეს, რომ თელასიდან არიან, მრიცხველი გაფუჭდა და უნდა შემოვიდეთ, შევამოწმოთო. არ ვაღებდი, ჯონიმ გამაღებინა. როგორც კი გავაღე, სროლა დაიწყეს. მე დავიხარე, ჯონი კი დაიჭრა. მერე სახლში კივილით შევვარდი, ჩემი რძალი კი აივანზე გავარდა ყვირილით. სროლის ხმა მესმოდა. სროლა რომ შეწყდა, ერთი თავდამსხმელი უკვე მკვდარი ეგდო სადარბაზოში, მეორე იქვე – დაჭრილი, მესამე კი კოჭლობით გარბოდა."**

მიუხედავად იმისა, რომ მომხდურებმა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრეს, ჯუნა ჩიქოვანს ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი დასაყაჩაღებლად იყვნენ მოსულები. სხვა მიზეზს ის კატეგორიულად გამორიცხავს და ამბობს, რომ არც მის ძმას, არც, საერთოდ, მთელ ოჯახს, მტრები არ ჰყავთ.

ამაში ეჭვი არ შეაქვს არც თემურ ტურაბელიძეს. ის ჯონი ჩიქოვანის წესიერებაზე საუბრობს, თუმცა ამბობს, რომ **"ყაჩაღების დანახვაზე ქალმა კივილი ატეხა. როგორც ჩანს, ყაჩაღები ამას არ ელოდნენ, იარაღი ამოიღეს და სროლა დაიწყეს."**

თემურ ტურაბელიძის თქმით, იყო თუ არა ჯონი ჩიქოვანი დაჭრილი, როცა მომხდურებს სროლა დაუწყო, ამას დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ შეიტყობს.

თემურ ტურაბელიძე ჩიქოვანების მეზობლების ჩვენებებზე დაყრდნობით ამბობს:

"როგორც ჩანს, დამნაშავეები დილიდანვე ზვერავდნენ სიტუაციას. მეზობლები ამბობენ, რომ სამ საეჭვოდ მოარულ ახალგაზრდას სახლის მახლობლად მთელი დილა ხედავდნენ."

პოლიცია გამოძიებას აგრძელებს. დღეს უკვე, ალბათ, ცნობილი გახდება, არის თუ არა ვინმეს სახელზე რეგისტრირებული შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ორი იარაღი. ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პირველი შესაძლებლობისთანავე დაიკითხება დავით რუსიაც, რომელიც, სამართალდამცველთა თქმით, ერთხელ უკვე არის ნასამართლევი ყაჩაღობისათვის. რაც შეეხება გარდაცვლილ ბექა აბრამიშვილს, როგორც თემურ ტურაბელიძემ გვითხრა, ცოტა ხნის წინ ისიც იყო პასუხისგებაში მიცემული მკვლელობისა და ყაჩაღობის ბრალდებით.

სომხეთის დემარში

ზაზა წულაძე

სომხური არქიტექტურის შემსწავლელი ორგანიზაციის ერევნის ოფისის ხელმძღვანელმა, სამველ კარაპეტიანმა ერევანში მოწყობილ სპეციალურ პრესკოფერენციაზე, საქართველოს სომხური ისტორიული ძეგლების განადგურებაში დასდო ბრალი. ***"თურქეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში სომხური ისტორიული ძეგლების მასობრივი განადგურება ხდება, გამონაკლისი მხოლოდ ირანია, სადაც ჩვენს ძეგლებს კანონით იცავენ,"*** *– განაცხადა კარაპეტიანმა.*

კარაპეტიანი ამტკიცებს, რომ სომხეთის მოსაზღვრე სამ სახელმწიფოში - თურქეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ისტორიული ძეგლების მასობრივი განადგურება ხდება. **"საბჭოთა პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სომხური კულტურის ძეგლებს პერიოდულად ანადგურებდნენ, ახლა კი ამ ძეგლებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და ხელისუფლება, უბრალოდ, ითვისებს. რეკონსტრუქციის მოტივით, დაახლოებით, 30-მდე სომხური ეკლესიის კედლებიდან წაშალეს სომხური ფრესკები, ასევე მოექცნენ 300-ზე მეტ ხაჩკარას (ქვა - ზედ ამოკვეთილი წარწერით. ზ.წ.) და საფლავის ქვას,"** – განაცხადა კარაპეტიანმა. სომხური არქიტექტურის შემსწავლელ ორგანიზაციას მაგალითად მოჰყავს სოფელ თელეთში მდებარე წმინდა გევორქის სახელობის ეკლესია. **"ამ ეკლესიას, ვითომდა აღდგენითი სამუშაოებით, აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენეს,"** – ბრძანა კარაპეტიანმა.

სომხური არქიტექტურის შემსწავლელი ორგანიზაციის მონაცემებით, ამ მხრივ, გაცილებით მძიმე ვითარებაა თურქეთსა და აზერბაიჯანში. **"თურქეთმა გაანადგურა იმდენი სომხური ეკლესია, რამდენიც შეძლო. თურქეთის ტერიტორიაზე სომხური არქიტექტურის 7000 ძეგლი იყო. 1915 წლის გენოციდის შემდეგ თურქებმა მხოლოდ 913 დატოვეს, რომელთაგან 464 სრულიად დაანგრიეს, 252 - ნაწილობრივ, ხოლო 197-ს სასწრაფო რეკონსტრუქცია სჭირდება,"** – აღნიშნა კარაპეტიანმა.

სომხეთი ძეგლების განადგურების ფაქტებს აფიქსირებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. **"აზერბიჯანელებმა ორი წლის უკან ბულდოზერებით დაანგრიეს ხაჩკარების 25 პროცენტი, რომელიც ნახიჩევანში, ჯუგის სომხურ სასაფლაოზე მდებარეობდა. ეს ქმედება ირანის მხრიდან შეამჩნიეს, რის შემდეგ ბაქო იძულებული გახდა, აღნიშნული ბარბაროსობა შეეჩერებინა,"** – განაცხადა კარაპეტიანმა. ერევნის მონაცემებით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდსა და გასულ ასწლეულში აშენებული 1600-მდე ძეგლია. **"მთიანი ყარაბაღიდან 18 კილომეტრში მდებარეობს სომხური ეკლესია ციცერნაკავანკი, რომელიც მეოთხე საუკუნეშია აშენებული. 1993 წელს კი ამ რაიონში აზერბაიჯანელებმა ორი ეკლესია ააფეთქეს,"** – აცხადებს კარაპეტიანი.

ერთადერთი მოსაზღვრე ქვეყანა, რომელთანაც სომხებს პრეტენზიები არ აქვთ, ირანია. **"სპარსეთში ჩვენი ძეგლები კანონით სათანადოდ არის დაცული,"** – აღნიშნა კარაპეტიანმა.

ლიახვმა საცხოვრებელი ბინები დატბორა

ვასილ გულეური

კოკისპირული წვიმების შემდეგ, მდინარე ლიახვი ადიდდა და გორში, წმინდაწყლის დასახლებაში მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები დაიტბორა. წყალში აღმოჩნდა როგორც მრავალსართულიანი, ასევე კერძო ბინების სარდაფები. როგორც ქალაქ გორის გამგეობის კომუნალური და სამეურნეო ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა გივი ხუროშვილმა გვითხრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე 1994 წელს გაკეთდა ჰორიზონტალური დრენაჟი, რომლითაც უნდა მომხდარიყო გრუნტის წყლების დაწრეტა მდინარე ლიახვში. პროექტი რამდენიმე სადრენაჟე მილის დაყენებას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ახლა კი ამისთვის ბიუჯეტში საჭირო სახსრები არ არის. "ჩვენი მოსვლისას ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული იყო, ცენტრალური ბიუჯეტიდან კი ამისთვის თანხას ვერ მოვითხოვთ, - თქვა გივი ხუროშვილმა, - ეს დასახლება 80-იან წლებში ლიახვის კალაპოტში გაშენდა ისე, რომ არც ნაპირგამაგრება გაკეთდა და არც კანალიზაცია გაძლიერდა." რაც შეეხება კერძო ბინებს, როგორც ბატონი გივი ამბობს, მათი დაპროექტებისას, მდინარესთან სიახლოვის გამო არ იყო გათვალისწინებული სარდაფები, რომლებიც მაცხოვრებლებმა თვითნებურად გააკეთეს. თუ ბიუჯეტში სადრენაჟო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა არ გამოინახა, მდინარის ადიდებისას ყოველთვის არის იმის საშიშროება, რომ მოსახლეობა წყალში აღმოჩნდეს. ეს პრობლემა კი მას შემდეგ არსებობს, რაც აქ დასახლება გაშენდა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე, კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

ავთანდილ ჯორბენაძეს ოთხი თვის ბიუჯეტის ჩავარდნა „შეუნდეს„

მთავრობა არგუმენტებზე მსჯელობს

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"წინა წლებში მიღებული გადაწყვეტილებები ძალიან აფერხებს ქვეყნის წინსვლას," - რამდენჯერმე გაიმეორა გუშინ ავთანდილ ჯორბენაძემ, თუმცა არც ერთხელ არ უცდია, დაეკონკრეტებინა, თუ რომელი ყოფილი ხელისუფლის რომელი გადაწყვეტილება ჰქონდა მხედველობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მინისტრის გამოსვლაში და შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემისას ჭარბობდა ზოგადი, ტრაფარეტული, შაბლონური განცხადებები.

"თუ კორუფციის დონეს არ შევამცირებთ, ეკონომიკის სერიოზულ წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია;"

"რაც უფრო ძლიერი იქნება ხელისუფლება, მით უფრო წარმატებული იქნება ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა."

ასეთი იაფფასიანი ილეთებით რომ ვერ გააცურებდა ოპოზიციას, ჯორბენაძემ, ალბათ, კარგად იცოდა, მაგრამ გუშინ მას არსენალში სხვა იარაღი არ აღმოაჩნდა და, ალბათ, არც იყო საჭირო - დღევანდელ მრავალპოლუსიან პარლამენტში არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ მტკიცე არგუმენტები გაგაჩნდეს და ფაქტებით დაუპირისპირდე ოპონენტებს. ასეთი იარაღის არარსებობის დროს, კანცელარიის ინტერესების დაცვას თავის თავზე პროშევარდნაძისტული ფრაქციები იღებენ და, როგორც წესი, ამას წარმატებით ახერხებენ.

სხვათა შორის, ბოლო ხანს პარლამენტში ეფექტურად მუშაობს როლების გადანაწილების მექანიზმი, რომელიც თითქმის ყველა ძალისთვის მომგებიანია. ამ სცენარის მიხედვით, ერთნი ხელისუფლების კრიტიკით იწერენ ქულებს, მეორენი პირიქით - ხელისუფლების დაცვით აგროვებენ პოლიტიკურ დივიდენდებს, მესამენი კი საერთოდ ხმას არ იღებენ და ვინაიდან "დუმილი ოქროა", ჩირგვში ჯდომის საფასურს იღებენ.

ხშირად ისეც ხდება, რომ გარიგებები კულუარებში კი არა, პირდაპირ სხდომათა დარბაზში ხდება. ასე მაგალითად, გუშინ სოციალისტური პარტიის ლიდერმა, მხარდაჭერისა და თანამშრომლობის სანაცვლოდ, სახელმწიფო მინისტრს მიანიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ბენზინის იმპორტში დღეისთვის დადგენილი თამაშის წესები ნაწილობრივ მაინც გადაისინჯება. გარიგებაზე არწამოსვლის შემთხვევაში კი ვახტანგ რჩეულიშვილი ავთანდილ ჯორბენაძეს მეტად საშიშ სურათს უხატავს.

"თუ ერთმანეთის ჭამას გადავყვებით, ეს იქნება ჩვენი ბოლო წელი პოლიტიკაში," - აფრთხილებს პარლამენტის სტუმარს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე.

თუ ვახტანგ რჩეულიშვილი სახელმწიფო მინისტრის მიმართ თავის კეთილგანწყობას არ მალავს, მისი პარტიული თანაბლოკელები - "აღორძინება" და "ტრადიციონალისტები" - პირიქით: ღიად გამოხატავენ ავთანდილ ჯორბენაძის პერსონით იმედგაცრუებას.

"გაცილებით უკეთესი ჯანდაცვის მინისტრი იყავით, ვიდრე სახელმწიფო მინისტრი ბრძანდებით," - უკმაყოფილოა ჯემალ გოგიტიძე, რომელსაც ჯერ არც ის დავიწყებია, **"თუ როგორ ერეოდა ჯორბენაძე თბილისსა და რიგ რაიონებში ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში."**

"სახელმწიფო მინისტრისგან ველოდი, რომ ის სერიოზულ საკადრო და ინსტიტუციონალურ ცვლილებებზე წავიდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა," - აცხადებს აკაკი ასათიანი.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის, რომან გოცირიძის აზრით, ის სიკეთეს არ უქადის არც პირადად ავთანდილ ჯორბენაძეს და არც, საერთოდ, ქვეყანას.

"ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის მონაცემები გაცილებით მძიმეა, ვიდრე ოთხის. თუ ოთხი თვის მიხედვით გარღვევა 38 მილიონი ლარია, ნახევარი წლის მონაცემებით უკვე 70 მილიონს აჭარბებს," - საკმაოდ შემაშფოთებელ ინფორმაციას იძლევა გოცირიძე.

ასე რომ, სახელმწიფო მინისტრის რანგში ავთანდილ ჯორბენაძის პარლამენტში გუშინდელი სტუმრობა წელს, ეტყობა, სულაც არ იქნება უკანასკნელი. ჩვენი "ეკონომიკის წინსვლის" ტემპებიდან გამომდინარე, რითაც აგრერიგად ამაყობს ჯორბენაძე, საშემოდგომო სესიაზე პარლამენტში მას აუცილებლად კიდევ ერთხელ მიიპატიჟებენ.

თბილისელთა არჩევანს მხოლოდ ერთი რიგითი იცავს

ასეა დაცული თბილისელთა არჩევანი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დაწყვეტილებას 5 ივლისამდე ბიულეტენების გადათვლის წესის შემუშავების შესახებ. როგორც ჩანს, კომისიაში ეს ნაკლებად ადარდებთ. ყოველ შემთხვევაში, წევრთა შორის დიდი აფორიაქება ნამდვილად არ შეინიშნება.

"24 საათი" არაერთგზის წერდა, რომ კამათს ბიულეტენების გადათვლა-არგადათვლის თაობაზე, ეწირება თბილისის მოსახლეობის ინტერესები. გუშინ ამ ფაქტმა პარლამენტარ ლეიბორისტს, ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲘᲜᲯᲘᲐᲡ, საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება გაუჩინა. იგი პლენარულ სხდომაზე ახალი ინიციატივით გამოვიდა და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს თბილისის საკრებულოს ფუნქციების შეთავსება შესთავაზა. მისივე თქმით, ამ პრობლემას იურიდიულად მოაგვარებს კანცელარიის რეგიონული მართვის სამსახური.

ფრიდონ ინჯიას წინადადება პარლამენტარებმა უყურადღებოდ დატოვეს. მეტიც, ფრაქცია "დემოკრატის" წევრმა რᲝᲛᲐᲜ ᲙᲣᲡᲘᲐᲜᲛᲐ ინჯიას ინიციატივას, რბილად რომ ვთქვათ, **"ამ საკითხებში არაკომპეტენტური ადამიანის ნააზრევი"** უწოდა.

რაც შეეხება თავად წესს, მისი პროექტი ჯერაც არ არის მზად. ყოველ შემთხვევაში, სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ჯგუფს ჯერ არ წარმოუდგენია გადათვლის წესის ყველასთან შეთანხმებული ვარიანტი. როგორც ჩანს, ბიულეტენების გადასათვლელად კომისია კვლავ მოითხოვს რამდენიმე თვეს.

ამ ფონზე კი ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აგვისტოდან საქართველოს ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა ჰყავდეს. გადაწყვეტილება პარლამენტმა ჯერ კიდევ საარჩევნო კოდექსში შესწორებების შეტანის დროს მიიღო. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, დღეს მოქმედმა კომისიამ ეს ურთულესი პრობლემა ახალს სრულიად უმტკივნეულოდ გადააბაროს, თვითონ კი უამრავ დარღვევაზე და შეცდომებზე პასუხისმგებლობა მოიხსნას.

სასამართლომ „ნაციონალები„ „სანახევროდ„ დააკმაყოფილა

სასამართლო პროცესზე

მარიკა ამპარველაშვილის ფოტო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელი განჩინებით სასამართლომ გამარჯვებული პარტიები საკრებულოში არ შეუშვა; მიუხედავად იმისა, რომ ისევ რჩება არჩევნების შედეგების გაუქმების უზარმაზარი შანსი, გუშინდელი გადაწყვეტილება "ნაციონალებისათვის" და ზოგადად, პოლიტიკური სიტუაციის გასარკვევად ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ.

"სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით გუშინ დაადასტურა, რომ ამ სარჩელების განხილვა და ბიულეტენების გადათვლა ერთმანეთთან კავშირში არ გახლავთ". - ასეთი იყო ის მოკლე კომენტარი, რომელიც "ნაციონალების" "გუშინდელმა ადვოკატმა" ირაკლი ოქრუაშვილმა განჩინების გამოტანის შემდეგ გააკეთა. მართალია, ოქრუაშვილი არ აკეთებს განმარტებას "სახალხოსა" და ედპ-ს სარჩელების საფუძვლიანობის შესახებ, მაგრამ ცხადია, რომ აქცენტი ამ სარჩელებისა და ხმების გადათვლის პროცესის ერთმანეთთან დაუკავშირებლობის შესახებ, შემთხვევით არ გაკეთდა.

ოქრუაშვილს, ჩანს, სურდა მიენიშნებინა, რომ, თუ სასამართლო ამ სარჩელებს მაინც დააკმაყოფილებს, მითი "ნაციონალების" მიერ საკრებულოს არჩევნების შედეგების გაუქმებისა და საკრებულოში შესვლისგან, ანუ პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მცდელობაზე უახლეს ისტორიას ჩაბარდება.

ეს კარგად ესმით "ნაციონალებს", რომლებმაც გუშინდელი ორი სარჩელი შევარდნაძის მახისგან თავის დაღწევის მიზნით შეიტანეს სასამართლოში.

თუმცა, ეს კარგად ესმით ხელისუფლებაშიც, რომელსაც გადასაწყვეტი აქვს - "ღიად ითამაშოს" და არჩევნების შედეგები ამ სამ დღეში გააუქმოს, თუ ისევ დაელოდოს საარჩევნო ბიულეტენების გადათვლას და სერიოზული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში (რაც, სავარაუდოდ, გარდაუვალია), არჩევნების შედეგების გაუქმება ისევ "ნაციონალების" მოთხოვნის აღსრულებას მიაწეროს.

ნებისმიერ შემთხვევაში, უცვლელი რჩება ძირითადი შედეგი – თბილისს საკრებულო არ ეყოლება. ანუ უგულებელყოფილი იქნება 2 ივნისს საარჩევნო ყუთებთან რეალურად მისული ამომრჩევლის ნება. სანაცვლოდ, ალბათ, "გაყალბებაში დამნაშავენიც" დაისჯებიან, თუმცა, საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, ესეც ვერაფერი მიღწევაა.

სხვათა შორის, დღეს საკმაოდ აქტიურად განიხილება ძველი საკრებულოსათვის უფლებამოსილებების გაგრძელების საკითხი. მართალია, "ნაციონალები", "აღორძინება" და "ლეიბორისტები" ამასთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ არ შეიძლება უფლებამოსილება გაუგრძელო იმას, ვისაც უფლებამოსილება უკვე შეწყვეტილი აქვს, მაგრამ ეს უკვე იურიდიული ნიუანსია. იურიდიული ნიუანსებისთვის გვერდის ავლის საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა კი, არ გამორიცხავს ნებისმიერ სიურპრიზს.

ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი „ორი ოსეთის„ გაერთიანებაზე აღარ ოცნებობს

ᲖᲐᲖᲐ ᲬᲣᲚᲐᲫᲔ

ქართულ-აფხაზური და ქართულ-რუსული დაძაბული მოლაპარაკების ფონზე ერთგვარად ჩრდილში მოექცა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარება. ექსპერტთა აზრით, ცხინვალში დღეს არსებული სტატუს კვო, როგორც ქართულ, ისე ოსურ მხარესაც აძლევს ხელს. გუშინ, მოულოდნელად, აღნიშნული მოსაზრება ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ძასოხოვმაც გაიზიარა. "ნეზავისიმაია გაზეთასთვის" მიცემულ ინტერვიუში ძასოხოვმა აღნიშნა, რომ "ორი ოსეთის გაერთიანების იდეაზე "ჩაციკვლას" არ აპირებს".

ალექსანდრე ძასოხოვი დარწმუნებულია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ბოლო 12 წლის მანძილზე წარმოქმნილი ეთნოკონფლიქტებიდან ქართულ-ოსური კონფლიქტი ყველაზე მალე მოგვარდება. **"ქართველებმაც და ოსებმაც უკვე დაიჯერეს კეთილმეზობლობის შესაძლებლობა, ისინი დადიან ერთმანეთთან სტუმრად, ქორწილებში, გასვენებაში... ვაჭრობენ. პოლიტიკოსებიც არ უნდა ჩამოვრჩეთ ხალხს,"** – აცხადებს ძასოხოვი.

ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერი ამბობს, რომ არ აპირებს ორი ოსეთის გაერთიანების იდეაზე "ჩაციკვლას". **"დღეისათვის ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის კავშირი აღდგენილია, უკეთესი გახდა გზები, ინფორმაციული გამჭვირვალობა... ჩვენ ფართოდ გავუღეთ ვლადიკავკაზის სასწავლებლების კარი სამხრეთ ოსეთის სტუდენტობას. ორივე ოსეთში მცხოვრები ოსები თავს ერთი ერის ნაწილად ვხედავთ, მაგრამ პროცედურულ საკითხებზე "ჩაციკვლას" არ ვაპირებთ, არც აქ და არც სამხრეთში,"** – განაცხადა ძასოხოვმა.

აფხაზეთის და აჭარის ლიდერების მსგავსად, ძასოხოვიც შეშფოთებულია საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების გამოჩენით. **"ეს შემაშფოთებელია. არ მინდა დავიჯერო, რომ ისინი საქართველოში დიდი ხნით დარჩებიან. მე არ მივეესალმები ქართული ანტიტერორისტული ბატალიონების მომზადებას, თუმცა ამ საკითხისადმი ნეიტრალურად ვარ განწყობილი. იმ შემთხვევაში, თუ ამ მომზადების მიზნები, სხვა არასასურველ ქმედებებში გარდაიქმნება, ჩემი რეაქცია მკაცრად უარყოფითი იქნება".**

ძასოხოვი თვლის, რომ ქართული ანტიტერორისტული ბატალიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ გამოყენება ნაკლებ სავარაუდოა. **"ეს იქნებოდა წარსულში დაბრუნება, რომელზედაც ქართველმა, ოსმა და აფხაზმა ხალხმა დიდი ხანია, უარი თქვა. ჩვენ არ უნდა დავუშვათ პრობლემის ძალით გამოყენებით გადაჭრის შესაძლებლობაც კი."**

ალექსანდრე ძასოხოვის ახალი პოზიცია, გარკვეულწილად, წინააღმდეგობაში მოდის 2001 წლის დეკემბერში სამხეთ ოსეთში პრეზიდენტად არჩეულ, რუსეთის მოქალაქე ედუარდ კოკოევის შეხედულებებთან. მაისის ბოლოს მოსკოვში მოწყობილ პრესკონფერენციაზე კოკოევმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკა მთლიანად ორი ოსეთის გაერთიანებისკენ არის მიმართული. ყოფილი საქმოსანი, რომელიც მანამდე მოსკოვში ბენზინის ბიზნესში მოღვაწეობდა, საქართველოსადმი მეტისმეტი აგრესიულობით გამოირჩევა. მისი ბოლო განცხადებებიდან აღსანიშნავია გამონათქვამი, რომ **"აფხაზეთზე თავდასხმის შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის ჯარები საქართველოს თავს დაესხმებიან".**

„მეტრომედია„ და „ბულკომი„ მთავრობას ულტიმატუმს უყენებენ

ანუ ვისი სქემით წავა "საქართველოს ტელეკომის" პრივატიზაცია

პირველი გვერდიდან

ეს პროცესი იმ ქართულ კომპანიებშიც გამოიწვევს პარტნიორთა შეცვლას, სადაც "მეტრომედიას" წილი გააჩნია. მათ შორისაა, "საქართველოს ტელეკომი". ამ კომპანიაში ქართულ მხარეს 51-პროცენტიანი წილი აქვს. 30 პროცენტს აკონტროლებს "მეტრომედია", 19 პროცენტს კი - კვიპროსის ოფშორულ ზონაში რეგისტირებული "ბულკომი".

"ამერიკული კომპანია დაინტერესებულია "ტელეკომში" თავისი 30-პროცენტიანი წილის მნიშვნელოვანი გაზრდით და შესაბამისი გეგმაც აქვს შედგენილი", - აცხადებს "მეტრომედიის" წარმომადგენელი ზურაბ ჩიგოგიძე. "წილის ყიდვის სურვილი უცხოელ პარტნიორებს, ჯერჯერობით, არ გამოუთქვამთ", - აღნიშნავს "საქართველოს ტელეკომის" პრეზიდენტი ოთარ ზუმბურიძე.

კომპანია იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს. მისი წესდების მიხედვით, რომელიმე პარტნიორის მიერ წილის გაყიდვისას მოქმედებს უპირატესი შესყიდვის წესი, რაც გასაყიდი წილის, პირველ რიგში, პარტნიორისთვის შეთავაზებას გულისხმობს. ამდენად, თუ ქართულმა მხარემ თავისი წილის გაყიდვა გადაწყვიტა, ჯერ "მეტრომედიასა" და "ბულკომს" უნდა დაეკითხოს. წესდების ეს მუხლი გახდა კიდეც ორი წლის წინათ "საქართველოს ტელეკომში" სახელმწიფოს კუთვნილი 40 პროცენტის გაყიდვის პროცესის ერთი-ერთი ხელის შემშლელი მიზეზი. იმ დროს საქართველოს მთავრობა ერთ პაკეტში, შემდეგ კი ცალ-ცალკე ყიდდა კუთვნილ წილს "საქართველოს ტელეკომსა" და "საქართველოს ელექტროკავშირში". მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, წილის გაყიდვა ღია ტენდერის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ეს კი "ტელეკომის" უცხოელი პარტნიორების პოზიციებს ეწინააღმდეგებოდა, რომლებიც წილის პირდაპირ შესყიდვას უჭერდნენ მხარს. ამ ნაბიჯზე მთავრობა, მსოფლიო ბანკის განრისხების შიშით, ვერ წავიდა. შედეგად, "ტელეკომში" წილობრივი სტრუქტურა უცვლელი დარჩა.

"საქართველოს ტელეკომი" 1994 წელს დააფუძნეს საქართველოს მაშინდელმა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (მინისტრი ფრიდინ ინჯია), შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირმა", "მეტრომედიამ" (დაფუძნების მომენტში - "ინტერნეშენელ ტელსელ ინკ.") და "ბულკომმა". მოგვიანებით, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს შეერწყა და მემკვიდრეობითობით წილის მფლობელი გაერთიანებული უწყება გახდა. რამდენიმე თვის წინ კი გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც სახელმწიფო წილების მართვის უფლება ქონების მართვის სამინისტროს ხელში გადავიდა.

"კარგი იქნება, ქონების მართვის სამინისტრო თუ გამოიყენებს უპირატესი შესყიდვის უფლებას, რადგან ამის შემდეგ სახელმწიფო წილს უფრო ძვირად გაყიდის", - აცხადებს "ტელეკომის" პრეზიდენტი. როგორც ჩანს, "მეტრომედიასაც" ანალოგიური სურვილი ამოძრავებს, რადგან საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე დღეს რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, ვიდრე ეს იყო 1994 წელს, როდესაც "ტელეკომი" ჩამოყალიბდა. მაშინ, ფაქტობრივად, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებს მხოლოდ ეს კომპანია ახორციელებდა. დღეს საქართველოში ათზე მეტი საერთაშორისო ოპერატორი საქმიანობს, რაც "ტელეკომის" შემოსავალს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ქონების მართვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ცოტა ხნის წინ მიიღეს წერილი "მეტრომედიასა" და "ბულკომისაგან", რომელშიც ისინი მათთვის "ტელეკომის" წილის დათმობას ითხოვენ. "ჩვენ ეს წერილი უკვე გადავუგზავნეთ მსოფლიო ბანკს და ამჟამად მათ რეაქციას ველოდებით", - აღნიშნა მინისტრის მოადგილე გენო მალაზონიამ. მისი თქმით, სამინისტროსთვის მიუღებელია წილის ასეთი სახით დათმობა. "მეტრომედიასა" და "ბულკომს" წილის ყიდვა ტენდერში მონაწილეობის შედეგად შეუძლიათ", - მიიჩნევს გენო მალაზონია.

წერილის ავტორებს სერიოზული პრეტენზიები აქვთ ქართველი პარტნიორებისა და "ტელეკომის" ქართული მენეჯმენტის მიმართ. წერილში მათ, ულტიმატუმის ფორმით, ქართველი პარტნიორების წილის მათთვის გადაცემა მოითხოვეს. "ტელეკომის" უცხოელი მეწილეები ქართველ პარტნიორებს თაღლითობაში სდებენ ბრალს. "მეტრომედიისა" და "ბულკომის" წარმომადგენლები საქართველოს მთავრობას წილის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ვადას 7 ივლისამდე აძლევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სტოკჰოლმის არბიტრაჟში ჩივილს აპირებენ.

ფრანგთა საამაყო კომპანია უფსკრულის პირას დგას

თორნიკე შარაშენიძე

ბოლო დროს ამერიკაში იმდენ კორპორაციულ გაკოტრებასა და სკანდალს ჰქონდა ადგილი, რომ დანარჩენი მსოფლიო ლამის ყველას გადაავიწყდა. არადა, ამ დროს ძველ კონტინენტზე არანაკლებ დამაინტრიგებელი ამბები ხდება. კერძოდ, გადადგა საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის, "ვივენდი იუნივერსალის" მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი ჟან-მარი მესიე. იგი გადადგა, რადგან, მის ხელში უდიდესი წარმატების შემდეგ, ფრანგთა საამაყო კომპანიას უდიდესი ჩავარდნის ხანა დაუდგა და ლამის გაკოტრების პირას დგას.

მესიეს ყოფილი კორპორაცია მართლაც რომ საოცარი ფენომენია. თუკი მსოფლიო ბიზნესში არსებობს საქმიანობის თანამიმდევრული განვითარებისა და გაფართოების მაგალითი, ეს, პირველ რიგში, სწორედ "ვივენდის" სახელთანაა დაკავშირებული. კომპანია, დაახლოებით, საუკუნე-ნახევრის წინ დაარსდა და თავისი მოღვაწეობა ნაგვის გატანით დაიწყო. შემდეგ, როცა ამ საქმემ შემოსავალი მოიტანა, კომპანიამ თავისი მოღვაწეობა გააფართოვა და წყლით მომარაგებაზე გადავიდა, ამას მოჰყვა დენით მომარაგება და... საუკუნე-ნახევრის განმავლობაში კომპანია ამგვარი ტემპით ვითარდებოდა და 2000 წლისათვის იგი მართლაც რომ ფენომენი იყო - ნაგვის გატანის, წყალმომარაგებისა და დენის განაწილების გარდა, "ვივენდი" აკონტროლებდა ცნობილ ტელეარხ "კანალპლიუსს," აკონტროლებდა საფრანგეთის სიდიდით მეორე კავშირგაბმულობის კომპანია "სიჟიტელს," წილი ჰქონდა "სქაიში," მას ეკუთვნოდა ცნობილი არყის, "სმირნოვის" მარკა და ვინ მოთვლის.

მაგრამ 2000 წელს წარმატებებით გათამამებულ "ვივენდის" მეტისმეტი მოუვიდა. კომპანიამ შეისყიდა "სიგრემი." ეს სახელი, ალბათ, ბევრს არაფერს ეუბნება მკითხველს, მაგრამ ისიც საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ "სიგრემი" ფლობს ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კინოსტუდიას, "იუნივერსალ ფიქჩერზს," რომელმაც სწორედ იმ წელიწადს ბლოკბასტერი "გლადიატორი" გადაიღო.

ამ შენაძენით "ვივენდიმ," რომ იტყვიან, ფართოდ შეაღო კარი ამერიკულ ბაზარზე, გარიგება კი ისტორიულად იქცა ფრანგულ კორპორაციულ ისტორიაში. ამ ქვეყნის საკანონმდებლო სპეციფიკიდან გამომდინარე (საფრანგეთში ხომ თითქმის ყველა სფერო და თითქმის ყველა მსხვილი კომპანია სახელმწიფოს ხელშია), მისი კომპანიები ბევრი ვერაფრით დაიკვეხნიდნენ საქმიანი მსოფლიოს ასპარეზზე და "ვივენდისა" და "სიგრემის" გარიგება ყველა ფრანგი ბიზნესმენისათვის სამაგალითოდ იქცა, ხოლო "ვივენდის" მთავარი აღმასრულებელი მესიე გმირად და ცოცხალ ლეგენდად იქნა შერაცხული.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ეს შენაძენი მეტისმეტი აღმოჩნდა. ის, რომ "სიგრემი" იოლი ჩასაყლაპი და მოსანელებელი არ იყო, მესიესაც მშვენივრად ესმოდა. გარიგების დასაფინანსებლად "ვივენდის" არაერთი ინტერესის (მათ შორის, "სმირნოვის") გაყიდვა მოუხდა., მაგრამ საბოლოოდ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი, კომპანია ვალებში ჩაფლული აღმოჩნდა, ზარალი ზარალს მოსდევდა მიუხედავად იმისა, რომ "იუნივერსალმა" ახალი ბლოკბასტერი "ბრწყინვალე გონება" გადაიღო, ხოლო "კანალპლიუსმა" კი - "ამელი." შედეგად, კომპანიის აქციათა ფასი 80 პროცენტით დაეცა და თუკი "სიგრემის" შესყიდვის შემდეგ ფრანგული კომპანიის საბაზრო ფასი (აქციის ფასი გამრავლებული აქციათა რაოდენობაზე) 100 მლრდ დოლარი იყო, ახლა ეს მაჩვენებელი ხუთჯერ ნაკლებია.

ყოველივე ამის გამო, მთელი რისხვა, ცხადია, მესიეს დაატყდა თავს. ერთ დროს გმირად შერაცხული საქმოსნის საქმეები იმ გარემოებამაც გაართულა, რომ მას ერთობ ავი თვალით უყურებდნენ კომპანიის ახალი, არაფრანგი მოწილეები. საქმე ისაა, რომ "სიგრემთან" ისტორიული გარიგების შემდეგ გაერთიანებული კომპანიის აქციათა 5 პროცენტი ამერიკელების, ბრონფმანთა ოჯახის ხელში აღმოჩნდა. ამ უკანასკნელებმა იმდენი მოახერხეს, რომ, მესიეს გადაყენებასთან ერთად, დღის წესრიგში მისი ამერიკელით შეცვლის საკითხიც წამოწიეს. ასე რომ, მესიეს ნაღვაწმა უკვე ლამის "ვივენდის" ფრანგულობა დააყენა ეჭვქვეშ.

საბოლოოდ, მესიემ და "ვივენდის" ფრანგმა დირექტორებმა ის მაინც შეძლეს, რომ კომპანიის ახალ თავკაცად ისევ ფრანგი დაინიშნება (მესიე სწორედ ამ პირობით გადადგა). სავარაუდოდ, ეს იქნება ჟან-რენ ფურტუ, ფარმაცევტული კომპანია "ავენტისის" ვიცე-პრეზიდენტი. ამ უკანასკნელს მართლაც მძიმე სამუშაო ელის. უპირველეს ყოვლისა, კომპანია გაკოტრებას უნდა გადაურჩეს და ვალები გაისტუმროს, შემდგომი გაფართოება კი ჯერჯერობით შორეული მომავლის საქმეა.

მსოფლიო ბანკი მიწისძვრით დაზიანებულ სკოლებს აღადგენს

მაია ურუშაძე

გიორგი კალანდაძე

აგვისტოში მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭო საქართველოსთვის 56 მილიონი დოლარის ღირებულების სამი საინვესტიციო პროექტის დაფინანსების საკითხს განიხილავს. ბანკის აღმასრულებელი დირექტორის შენგმან ჟანგის განცხადებით, საქართველოს ამ ფულის მიღების დიდი შანსი აქვს, რადგან მთავრობამ მის მიერ აღებული ყველა ვალდებულება მეტ-ნაკლებად და თანაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეასრულა. სწორედ ამ დაგვიანების მიზეზია ის, რომ ბანკის დირექტორთა საბჭო ახალი კრედიტების გამოყოფის საკითხს ორი თვის დაგვიანებით, აგვისტოში განიხილავს.

შენგმან ჟანგი — მარიკა ამერელაშვილის ფოტო

"ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, შეასრულოს მსოფლიო ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანა გარდამავალ ეტაპზეა, რასაც თავისი სირთულეები ახასიათებს. ჩვენ გვესმის ეს სირთულეები და სწორედ იმიტომ ვართ აქ, რომ კარგად გავიაზროთ, როგორ შევძლოთ ქვეყნის დახმარება", - განაცხადა შენგმან ჟანგმა. სწორედ ამ "სირთულეების" გამო, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ მსოფლიო ბანკის ყოფილი რეგიონული დირექტორი ჯუდი ოკონორი აცხადებდა, რომ **"1998 წლიდან ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა შენელდა. გაიზარდა ნაპრალი საქართველოს პოტენციალსა და მის რეალიზაციას შორის. სინანულს იწვევს ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომელთაც შეუძლით ქვეყანაში რეფორმების გატარება, დროს ერთმანეთთან დისპუტებში ხარჯავენ".**

ჯუდი ოკონორს, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მეთვალყურეობის შემდეგ, მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონი გადააბარა. რაც შეეხება მის თანამდებობრივ მემკვიდრეს, იგი ამჟამად ცენტრალური ამერიკის რეგიონს კურირებს.

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის ვიზიტის დღის წესრიგში, საქართველოს ოფიციალურ პირებთან შეხვედრის გარდა, იმ საწარმოების მონახულებაც შევიდა, სადაც მსოფლიო ბანკის პროექტები წარმატებით შესრულდა. ასეთ პროექტებს შორის აღმოჩნდა "მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის" ერთწლიანი პროექტი, რომელიც 1999 წელს "თბილღვინოში" გახორციელდა.

"ტიპიური საბჭოთა წარმოებიდან, რომელიც კომუნისტური წყობის რღვევისთანავე გაჩერდა, მსოფლიო ბანკის დახმარებით თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი პერსპექტიული საწარმო მივიღეთ, რომლის პროდუქციის ექსპორტიც მსოფლიოს მასშტაბით თანდათან ფართოვდება. ახლა "თბილღვინო" ფლობს არა მარტო ღვინის ქარხანას, არამედ ვენახებსაც. მოკლედ, მეღვინეობის მთელი პროცესი - ყურძნის მოყვანიდან დაწყებული, ღვინის ჩამოსხმით დამთავრებული, ათვისებული აქვს და მალე კახეთსა და რაჭაში კიდევ 50 ჰექტარი ვენახის გაშენებასაც იწყებს," – მოახსენა ჟანგს "თბილღვინოს" გენერალურმა დირექტორმა ზაზა მარგველაშვილმა. ამჟამად "თბილღვინოს" საკუთრებაში ერთი ღვინის ქარხანაა, სადაც ერთი ჩამოსასხმელი ხაზი მუშაობს. თუმცა, საწარმო მოკლევადიანი ურთიერთობის ფორმით თანამშრომლობს სხვადასხვა ღვინის ქარხნებთანაც - ის იჯარით იღებს მათ და თავად აწარმოებს ღვინის ჩამოსხმას.

თუ შენგმან ჟანგის გუშინდელ განცხადებებს დავეყრდნობით, მსოფლიო ბანკს საქართველოს მიმართ ახლა უფრო ლიბერალური პოზიცია აქვს. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოსთვის ახალი კრედიტების გამოყოფას სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვდება. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი აპირებს, 10 მილიონი დოლარი გამოყოს თბილისში 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების აღსადგენად. ეს საკითხიც აგვისტოში, ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდება.

საქართველოს რუმინეთისთვის არაფრის შეთავაზება არ შეუძლია

გვანცა კვინიკაძე

"ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა სასურველ დონეს და რეალურ პოტენციალს არ შეესაბამება და, ამ მხრივ, ორივე ქვეყანას მეტის გაკეთება შეუძლია," *- განაცხადეს საქართველოსა და რუმინეთის პრეზიდენტებმა გუშინ გამართულ საქართველო-რუმინეთის ბიზნეს-ფორუმზე. მართლაც, რუმინეთს, ვაჭრობის 17 მილიონ დოლარიანი მოცულობით, შარშან საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის მოკრძალებული მეთორმეტე ადგილი ეკავა. ამ მოცულობის, ფაქტობრივად, მიზერული ნაწილი, 425 ათასი დოლარი საქართველოს ექსპორტზე მოდის. ექსპერტთა აზრით, საქართველოს არც თუ დიდი შანსი აქვს, რომელიმე პროფილის პროდუქციით რუმინეთი დააინტერესოს და, შესაბამისად, ექსპორტის მოცულობა გაზარდოს.*

ედუარდ შევარდნაძე და იონ ილიესკუ — გიგიტა ბუხაიძის ფოტო

ერთადერთი, რამაც საქართველო-რუმინეთის ბიზნეს-ფორუმს მეტ-ნაკლებად ინტერესი შემატა, მასში ორივე ქვეყნის პრეზიდენტის მონაწილეობა იყო. **შევარდნაძემაც** და **ილიესკუმაც** აღნიშნეს, რომ მათ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ არაინტენსიურია იმ ინტერესებთან შედარებით, რაც ამ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ და რასაც, თუნდაც, ბათუმსა და რუმინეთის უდიდეს პორტ კონსტანცას შორის არსებულმა საბორნე მიმოსვლამ განსაკუთრებულად შეიძლება შეუწყოს ხელი. წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა კიდევ უფრო შემცირდა. პირველ ხუთ თვეში ვაჭრობის მოცულობამ მხოლოდ 1.9 მილიონი დოლარი შეადგინა, ამასთან საქართველოდან რუმინეთში ექსპორტზე არაფერი გასულა. რუმინეთიდან კი საქართველოში, ტრადიციულად, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბანანი, ავეჯი, მაცივრები, გაყინული თევზი, სამკურნალო საშუალებები, ნაყინი და სხვა მსგავსი საქონლის იმპორტი გახორციელდა.

ქართული მხარე რუმინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების იმედს, ძირითადად, "ტრასეკას" სატრანსპორტო დერეფანს უკავშირებს. ბათუმი-კონსტანცას საბორნე გადასასვლელი საკმაოდ წარმატებით მოქმედებს, მაგრამ ილიესკუს ამ ხაზის კიდევ უფრო აქტიურად დატვირთვა სურს და აცხადებს, რომ რუმინეთი დაინტერესებულია ბათუმი-კონსტანცას მიმართულების დუნაის გავლით ჰამბურგისა და როტერდამის პორტებამდე გაგრძელებით. გარდა ამისა, რუმინეთის პრეზიდენტს საქართველოსთან ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის დაწყებაც სურს.

პრეზიდენტის ვიზიტისას შემდგარ შეხვედრებზე რუმინელმა ბიზნესმენებმა სატრანსპორტო, საბანკო, გადამამუშავებელი და საფეიქრო მრეწველობის სფეროებში პარტნიორობის სურვილი დაფიქსირეს. ექსპერტთა აზრით, საქართველოსთვის რუმინეთთან თანამშრომლობის ყველაზე მისაღები ფორმა სწორედ ერთობლივი საწარმოების შექმნა შეიძლება იყოს. ამის მიზეზად ექსპერტები რუმინეთში ქართული პროდუქციის ექსპორტის გაზრდის მეტად მცირე შესაძლებლობას ასახელებენ. მათი აზრით, ალკოჰოლური სასმელებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსხვილი მწარმოებლის - რუმინეთის ანალოგიური ქართული პროდუქციით დაინტერესება საკმაოდ რთული იქნება, სხვა სახის საქონლის შეთავაზება კი ქართულ მხარეს, უბრალოდ, არ შეუძლია.

ცაავას „საქგაზის„ კეთილი ნების იმედი აქვს

სოფიკო ოხანაშვილი

"საქგაზისა" და "თბილგაზის" მონაცემები დავალიანების დაფარვის შესახებ ერთმანეთს კვლავ არ ემთხვევა. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, გუშინ საღამოს "საქგაზის" ანგარიშზე 550 ათასი ლარი ჩაირიცხა. ამ ფაქტს არ ადასტურებენ "საქგაზში". მათი ინფორმაციით, "საქგაზის" ანგარიშზე მხოლოდ 268 ათასი ლარი იყო ჩარიცხული, თბილისი კი სამშაბათსაც გაზის გარეშე დარჩა.

"მე ავუხსენი დეიკალოს, რომ ამაზე მეტის გადახდა ფიზიკურადაც არ შემიძლია. იმედი მაქვს, რომ "საქგაზის" ხელმძღვანელი გაითვალისწინებს იმ მიზეზებსაც, რომ ფინანსთა სამინიტრომ არ გადმომირიცხა თანხა და ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს. არ მგონია, დეიკალომ დარჩენილი 150 ათასის გამო უარი გვითხრას გაზის გამოშვებაზე. მე შევპირდი მას, რომ დარჩენილ თანხას მოსახლეობიდან ამოვიღებ, ბუნებრივი აირის გაშვებიდან სამ-ოთხ დღეში", - განაცხადა ვახტანგ ცაავამ.

"საქგაზის" პრესცენტრის განცხადებით, მათი მოთხოვნა უცვლელი რჩება. "ჩვენ გამაფრთხილებელი ნაბიჯი მაშინ გადავდგით, როცა გაზი გამოვრთეთ და საქართველოს მთავრობას მოთხოვნა წავუყენეთ. ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება მანამ, სანამ მილიონ შვიდასი ათასი ლარი მთლიანად არ ჩაირიცხება ჩვენს ანგარიშზე", - აღნიშნა "საქგაზის" პრესმდივანმა მაკა არახამიამ.

თბილისისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი საბოლოდ დღეს გადაწყდება. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი "საქგაზის" ხელმძღვანელის პასუხზე დიდ იმედებს ამყარებს.

ავიაკატასტროფა გერმანია-შვეიცარიის საზღვარზე

REUTERS

გერმანიის სამხრეთში სამგზავრო და სატვირთო თვითმფრინავები ერთმანეთს შეეჯახა. შეჯახების შედეგად 71 ადამიანი დაიღუპა.

სამგზავრო თვითმფრინავი "ტუ 154" ავიაკომპანია "ბაშკირეთის ავიახაზებს" ეკუთვნის. რუსული თვითმფრინავის ბორტზე რუსეთის 69 მოქალაქე იმყოფებოდა, აქედან 52 ბავშვი, რომლებიც არდადეგებზე ესპანეთში მიჰყავდათ. ბავშვები, ძირითადად, ბაშკირეთის პოლიტიკური ელიტის ოჯახებიდან იყვნენ და ბარსელონაში იუნესკო-ს ფესტივალზე მიდიოდნენ.

"ბოინგ 757" ტიპის სატვირთო თვითმფრინავის ორი პილოტი დაიღუპა. თვითმფრინავი საერთაშორისო საფოსტო მომსახურების კომპანია DHL–ს ემსახურებოდა.

თვითმფრინავების შეჯახება გერმანია-შვეიცარიის საზღვართან, კონსტანსის ტბის თავზე მოხდა. რუსული თვითმფრინავის პილოტმა შვეიცარიის საჰაერო მოძრაობის კონტროლის სამსახურის ინსტრუქციებზე, ფრენის სიმაღლის შეცვლის თაობაზე, რეაგირება მხოლოდ მესამე გაფრთხილების შემდეგ მოახდინა. სამსახურისთვის გაუგებარია, რატომ იყო პილოტის რეაქცია ასე შენელებული.

სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რეგიონის პოლიციის უფროსის განცხადებით, არსებული ინფორმაციის გათვალსაწინებით, კრიმინალთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

გერმანული საჰაერო მიმოსვლის კონტროლის სამსახურის წარმომადგენელი კატასტროფის ორ შესაძლო მიზეზს ასახელებს: ან პილოტებმა მიიღეს საჰარეო მიმოსვლის სამსახურიდან არაზუსტი მონაცემები თავიანთი მარშრუტების შესახებ, ან ერთ-ერთმა თვითმფრინავმა დაარღვია დადგენილი კურსი.

კატასტროფის ადგილზე სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს. უკვე ნაპოვნია რუსული თვითმფრინავის შავი ყუთები, რომელთა გაშიფვრის შემდეგ კატასტროფის მიზეზი დადგინდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლის განმავლობაში "ტუ-154" ტიპის თვითმფრინავებმა არაერთხელ განიცადეს კატასტროფა. "ირანული ავიახაზების" ამ ტიპის თვითმფრინავი თებერვალში ჩამოვარდა, რის შედეგადაც 119 ადამიანი დაიღუპა. ერთი წლის წინ რუსულმა "ტუ-154"-მა ციმბირში განიცადა კატასტროფა, დაიღუპა 145 ადამიანი. **(Reuters).**

ჯერჯერობით, ქართული სახელმწიფო პროგრესის რამე ნიშანწყალს არ ამჟღავნებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

-თუ თურქეთის ევროკავშირში განევრიანების პროცესი გაჭიანურდა, ხომ არ გამოიწვევს ეს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სერიოზულ გადახალისებას?

-რა თქმა უნდა, გამოიწვევს, მაგრამ თურქეთი ეკონომიკურად იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპასთან, რომ მისთვის ზურგის შექცევა, თითქმის, შეუძლებელია. საერთოდ, რეალურად, თურქეთს სულ ორი არჩევანი აქვს: პირველი, თურქეთი არის ევროპაზე ორიენტირებული და ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ განვითარებასა და შიდა სტაბილურობაზე; შედარებით ნაკლებად — მეზობელ ქვეყნებზე. მეორე შემთხვევაში, თუ ევროპასთან ურთიერთობები გართულდა, მაშინ სამხედროები შეინარჩუნებენ ქვეყანაში წამყვან როლს და მისი საგარეო პოლიტიკა ფოკუსირებული იქნება ორ მთავარ მოკავშირეზე, აშშ-სა და ისრაელზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თურქეთი აქტიურად ჩაერთვება რეგიონის სტრატეგიულ თამაშებში და გაზრდის სამხედრო კავშირებს საქართველოსა და აზერბაიჯანთან. საითაც არ უნდა წავიდეს თურქეთი, საქართველო მაინც არ დაზარალდება.

-თუ თურქეთში ისლამისტებმა იმძლავრეს?

-ჭეშმარიტი ისლამისტური ფრთა თურქეთში დიდი ხანია მოკვდა. 1995 წლის არჩევნებში მათ 20 პროცენტი აიღეს. მაგრამ არა იმიტომ, რომ მოსახლეობაში ისლამისტური განწყობაა ძლიერი. უბრალოდ, ყველა სხვა პარტია კორუმპირებული და არაეფექტური აღმოჩნდა, ხოლო ისლამისტები აქამდე არანაცადი, ერთადერთი ალტერნატივა იყვნენ. როდესაც მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხალხმა დაინახა, რომ ისინიც ზუსტად ისეთები იყვნენ, როგორც სხვა პარტიები; ამიტომ შემდეგ არჩევნებში ისლამისტები დამარცხდნენ და უკვე, იმავე მიზეზით, ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს. დღეს ისლამისტები ლიდერობენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით; მაგრამ ეს არა იმდენად მათი, რამდენადაც მმართველი პარტიის "დამსახურებაა", რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა გაანადგურა. ისლამი პოპულარობას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება მუდმივად მის ჩახშობას ცდილობს. თანაც 1996-1997 წლების შემდეგ ისლამისტებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს და საკმაოდ ზომიერები გახდნენ. ასე რომ, ვფიქრობ, ეს საფრთხე ნაკლებად რეალურია.

-უკანასკნელ ხანს საკმაოდ გააქტიურდა კონტაქტები სომხეთსა და თურქეთს შორის, გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების სამი შეხვედრა. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ კონტაქტებმა?

-ვფიქრობ, ეს მცდელობა განწირულია. ევროკავშირი და, გარკვეულწილად, აშშ-ც დაჟინებით მოითხოვს თურქეთისგან საზღვრების გახსნას, ამიტომ თურქეთი იძულებულია, მოლაპარაკებები აწარმოოს. მან რომ დღეს საზღვარი გახსნას სომხეთთან სერიოზულ დათმობაზე წასვლის გარეშე, ეს იმის აღიარებას ნიშნავს, რომ იგი ამდენი ხნის მანძილზე ცდებოდა. თურქეთი კი ამას არ იზამს, განსაკუთრებით — ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ისლამისტები არიან.

-თუ ხედავთ რაიმე პროგრესს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში?

-არა, პროცესი ჩიხშია შესული. სომხეთი ოკუპირებული ტერიტორიების დათმობას არ აპირებს. აზერბაიჯანს კი სურს კომპრომისზე წასვლა, მაგრამ სომხეთიდან არაფერს იღებს. ამიტომ, შეთანხმების მიღწევა გამორიცხულია. ვშიშობ, რომ დაახლოებით ხუთ წელიწადში კიდევ ერთი ომი დაიწყება. ალიევის წასვლის შემდეგ დაიწყება მემკვიდრეობისთვის ბრძოლა, რომელშიც მთავარი საკითხი იქნება ყარაბაღის ომის გზით დაბრუნება. ამასობაში აზერბაიჯანი ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მომძლავრდება, 2004-2005 წლებში, ალბათ, ნავთობსადენებიც აშენდება. რაც შეეხება სომხეთს, იგი ნელ-ნელა იცლება მოსახლეობისგან და მისი არმიის საბრძოლო სულისკვეთებაც კლებულობს. ამიტომ, აზერბაიჯანელები ირწმუნებენ, ადრე თუ გვიან მათ ომის მოგება შეუძლიათ და საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებენ; სხვა საკითხია - მოიგებენ თუ არა. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ ახალი სისხლისღვრის გარეშე ყარაბაღში არაფერი შეიცვლება.

-მაგრამ ახალ ომზე საუბრისას თურქეთისა და რუსეთის ფაქტორებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში.

-მართალია, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ პუტინის "ახალ პრაგმატიზმსა" და დასავლეთთან მის მეგობრულ ურთიერთობებზე, მაგრამ რუსეთი ხელს არ გაანძრევს ყარაბაღის, ან კავკასიაში არსებული სხვა კონფლიქტების მოსაგვარებლად, რადგან მათი არსებობა მის ინტერესებში შედის. ვერ ვხედავ რაიმე მიზეზს, რის გამოც რუსეთი თავის პოზიციას შეცვლის.

-მაგრამ სომხეთის ინტერესებში რომ არ შედის მოვლენათა ამგვარი განვითარება?

-დღევანდელი სომხეთის ორი ყველაზე გავლენიანი პიროვნება, კოჩარიანი და სარქისიანი, ყარაბაღიდან არიან. ერთი ყარაბაღის პრეზიდენტი იყო, მეორე — თავდაცვის მინისტრი. ისინი ყარაბაღის ინტერესებს ყოველთვის სომხეთისაზე წინ დააყენებენ. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, იგი ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ ძალიან ნელა მწიფდება. სანამ ხელისუფლებაში კოჩარიანი და სარქისიანი არიან, მათი ალტერნატივა ნამდვილად არ არსებობს, არაფერი შეიცვლება.

-შეიძლება, რომ გათვლა გაკეთდეს სომხეთის, ან საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების გრძელვადიან სტაბილურობაზე?

-აზერბაიჯანსა და საქართველოში ძალაუფლების გადაცემის პრობლემა ძალზე მწვავედ დგას. მართალია, ალიევი აცხადებს, რომ 2008 წლამდე აპირებს დარჩენას, მაგრამ საკითხავია, რამდენად მისცემს ჯანმრთელობა ამის საშუალებას. საქართველოში ეს პროცესი კიდევ უფრო ახლოსაა. ორივე ქვეყანაში სახეზეა მოსახლეობის მასობრივი იმედგაცრუება არსებული ვითარებით და, რაც მთავარია, პროგრესის არარსებობით. ეს კი ძალზე სერიოზული პრობლემაა.

-რა როლი მიენიჭებათ გარეშე ძალებს ამ პროცესებში?

-რაღაც როლი ექნებათ, მაგრამ საკითხავია — როგორი. ახლა 1991 წელი აღარ არის, რომ რუსეთი ღიად ჩაერიოს პროცესებში. პრინციპში, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დაიცავს აშშ თავის ინტერესებს რეგიონში და განსაკუთრებით, საქართველოში.

ამერიკელების ყოფნა რეგიონში ხელს შეუწყობს სტაბილურობას, თუ ის გრძელვადიანი იქნება და მასპინძელი ქვეყნები ამაში დარწმუნებულნი იქნებიან. ცენტრალურ აზიაში ახლა ნამდვილი ქაოსია, რადგან არავინ იცის, რამდენ ხანს დარჩებიან ამერიკელი ჯარისკაცები და საით წავა აშშ-რუსეთის ურთიერთობები. თუმცა, ჯერ თავად ამერიკელებსაც არა აქვთ ზუსტად განსაზღვრული თავიანთი გრძელვადიანი მიზნები. ამგვარად თუ მივუდგებით, ამერიკელების ყოფნა რეგიონში არასტაბილურობას უფრო უწყობს ხელს.

-თუ ამერიკას ნათლად არა აქვს თავისი ინტერესები განსაზღვრული, მაშინ გამოდის, რომ ბუშისა და პუტინის ერთობლივი დეკლარაცია არაფრისმომცემი დოკუმენტია...

-ყველამ დავინახეთ, რომ ამ დეკლარაციის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში პუტინი გამოდის და ამბობს, რომ ვერც ქართველები და ვერც ამერიკელები პანკისის ხეობაში რუსების გარეშე ვერაფერს გახდებიან. დასკვნები თავად გააკეთეთ.

სვანტე კორნელი

-თქვენ ვერ ხედავთ რეგიონში ვითარების გამოსწორების შანსს?

-ცოტა უცნაური ნათქვამია, მაგრამ ვიმეორებ, იმისათვის, რომ ყველაფერი გამოსწორდეს, ყველაფერი უნდა აირიოს.

-მოდით, ახლა რეგიონის კიდევ ერთ სახელმწიფოზე, ირანზე, ვისაუბროთ. თითქოს გამოიკვეთა ირან-აშშ-ს დაახლოების ტენდენციები, შემდეგ ყველაფერი ჩაიშალა, რატომ?

-ჯერ ერთი, ირანი აგრძელებს პალესტინელი ექსტრემისტების მხარდაჭერას, ახორციელებს ძალისმიერ პოლიტიკას კასპიის ზღვაში; არსებობს სანდო სადაზვერვო მონაცემები, რომ ტალიბანისა და ალ-ყაიდას ხალხი ავღანეთიდან ირანის გავლით გაუჩინარდა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის უკან არა პრეზიდენტი ხათამი, არამედ კონსერვატორი კლერიკალები დგანან. ხათამისთან შეიძლება საუბარი, მაგრამ იგი რეალურ ძალაუფლებას არ ფლობს, თუმცა სახალხო მხარდაჭერით სარგებლობს. ვიღაცამ თქვა, რომ ირანი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პრეზიდენტი, ამავე დროს, ოპოზიციის ლიდერიც არის. როგორც კი ამერიკელები ამას მიხვდნენ, ირანთან დიალოგის ყოველგვარი მცდელობა შეწყვიტეს. ვფიქრობ, სანამ ირანი არ შეიცვლის პოზიციას ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით, აშშ-ს დამოკიდებულება მისადმი არ შეიცვლება. ირანი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. აზერბაიჯანული სეპარატიზმი აქ მუდმივად ძლიერდება, ამიტომ, რაც უფრო გვიან მოხდება ლიბერალიზაცია ირანში, მით უარესია მისთვის. თუ ჩრდილოეთ ირანში პრობლემები გაჩნდა, კავკასია ავტომატურად ჩართული აღმოჩნდება მასში: აზერბაიჯანელები თვალს არ დახუჭავენ თანამოძმეთა მიმართ შესაძლო ანგარიშსწორებაზე და გაჩნდება ლტოლვილთა უზარმაზარი არმია.

-სად იკვეთება რეგიონში რუსეთისა და ირანის ინტერესები?

-მათ საერთო სტრატეგიული ინტერესები აქვთ; პირველ რიგში, თურქეთისა და ამერიკის შემოსვლისთვის წინააღმდეგობის გაწევა და აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა, თანაც რუსეთი ირანში ყიდის დიდი ოდენობის იარაღს. ეს ორივე ქვეყანა ერთად ახორციელებს ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო კორიდორის პროექტს ინდოეთი-არაბეთის ზღვა-ირანი-კასპიის ზღვა-რუსეთი-ევროპის მიმართულებით, რომელიც ახალი აბრეშუმის გზის კონკურენტია.

-შეუძლია თუ არა აშშ-ს, გააწონასწოროს რუსეთის ინტერესები კავკასიაში და, იმავდროულად, შეინარჩუნოს სტაბილურობა?

-რუსეთზეა დამოკიდებული. აქამდე, როდესაც პუტინი ხედავდა ხოლმე, რომ ამერიკელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ამაო იყო, იგი წინააღმდეგობას წყვეტდა და თანამშრომლობის გზას ადგებოდა. ვფიქრობ, რუსეთი ამჟამად საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას ელოდება. აქ ეს პროცესი ბევრ უსიამოვნებას მოიტანს. რუსეთი დილემის წინაშე დგას. მას, რასაკვირველია, სურს საქართველოს დასუსტება (რასაც მიაღწია კიდეც), მაგრამ არანაირად არ აძლევს ხელს აქ სრული ქაოსის დაწყება, რადგან ეს პრობლემებს შექმნის ჩრდილოეთ კავკასიაში. ამიტომ, მათ ჯერ არ გამოუყენებიათ ჯავახეთის კოზირი. ვფიქრობ, რუსები შეეცდებიან, თავიანთი კანდიდატი წამოაყენონ შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში.

ჯავახეთი კავკასიის ყველაზე დიდი პოტენციური პრობლემაა და ამას ყველა ხვდება. საქართველოს ხელისუფლებას არანაირი რესურსი, არანაირი მექანიზმი არა აქვს იმისათვის, რომ ჯავახეთში, სომხების გააქტიურების შემთხვევაში, პრობლემის მოგვარება შეძლოს. სომხეთის ხელისუფლებამ რომც არ დაუჭიროს მხარი "ჯავახეთის სომხებს", ამას სომხეთის საზოგადოების ერთი ნაწილი აუცილებლად გააკეთებს და, რასაკვირველია - სომხური დიასპორა, რომელიც ამ საკითხის წამოწევას დიდი ხანია ცდილობს. თუკი საქართველოსა და სომხეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, აზერბაიჯანი მაშინვე შეეცდება შანსის გამოყენებას და სომხეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტს გახსნის. სომხებს, მოგეხსნებათ, ბევრი შერეული, რუსულ-სომხური დანაყოფი აქვთ, ამიტომ ომში ავტომატურად აღმოჩნდებიან ჩართულნი რუსეთი და თურქეთი. აი, თქვენი დიდი კავკასიური ომი. ამ საფრთხის რეალობა აშკარაა, ჯავახეთში ვითარების გამწვავებას სომხური დიასპორის გარდა ყველა უფრთხის.

-თქვენს ბოლო წიგნში ძალზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვით იმ გამოსავალის შესახებ, რომელსაც ამგვარი ვითარებიდან ავტონომია და ფედერალიზმი გვთავაზობს.

-სამწუხაროდ, იქ სადაც უკვე არსებობს კონფლიქტი (აფხაზეთი, ყარაბაღი) ავტონომიის გარდა სხვა გადაწყვეტილების პოვნა შეუძლებელია, მაგრამ საქართველო მაქსიმალურად უნდა ერიდოს ახალი ავტონომიის შექმნას. ავტონომია ნიშნავს სახელმწიფოს შიგნით საზღვრების გავლებას, უმცირესობისთვის ძალზე სერიოზული ინსტიტუტებისა და შესაძლებლობების გადაცემას და იმის აღიარებას, რომ სატიტულო ერმა და უმცირესობამ ცალკ-ცალკე უნდა იცხოვრონ. იმ ვითარებაში, როდესაც შეიძლება გამოჩნდეს ბევრი ქვეყანა, რომელიც შუღლის გაღვივებით იქნება დაინტერესებული, ახალი ავტონომიის შექმნა, შესაძლოა, დამღუპველი იყოს, თანაც, თუ 120 ათას სომეხს ავტონომიას მისცემთ, რას უშვრებით 400 ათასამდე აზერბაიჯანელს? თბილისმა აუცილებლად უნდა დააბრუნოს ჯავახეთი ქართული სახელმწიფოს ორბიტაში. ახლა ჯავახეთში რომ მოხვდეთ, ახალციხეზე უნდა გაიაროთ. უნდა აშენდეს გზა, რომელიც ჯავახეთს ქართული ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად აქცევს. საჭიროა ინტეგრირება და არა გაყოფა. ამჟამად რუსული სამხედრო ბაზა ჯავახეთში მოქმედებს როგორც ეკონომიკური ავტონომიის ფუნქციონალური ეკვივალენტი. ეს რუსებმა მშვენივრად იციან და იყენებენ კიდეც. საქართველო სამხედრო თვალსაზრისითაც ვერ აკონტროლებს ჯავახეთს. აქ პრაქტიკულად არ მოქმედებს ქართული ბიუროკრატია, სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ელემენტარულ სოციალურ მოთხოვნებს. როგორც კი ქართული ადმინისტრაცია სრულად შეძლებს ჯავახეთის გაკონტროლებას, ეს პრობლემა მოიხსნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჯავახეთიდან რუსული ბაზის გაყვანა.

ჯერჯერობით, ქართული სახელმწიფო პროგრესის რამე ნიშანწყალს არ ამჟღავნებს. ის დაპირისპირება, რაც პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებობს, ალბათ, კიდევ უფრო გაღრმავდება. ქვეყანა ფრაგმენტაციისკენ მიდის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე რეგიონი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. უბრალოდ, ცენტრალურ ხელისუფლებას არ ექნება რესურსები, განახორციელოს რეგიონებზე ეფექტური კონტროლი, რაც რამდენიმე რეგიონში ხდება კიდეც. ეს ტენდენციები შევარდნაძის წასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდება.

ესაუბრა შოთა უტიაშვილი

ᲑᲣᲨᲘ ᲗᲣ ᲒᲝᲠᲘ - ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲐᲣᲜᲓᲘ 2004 ᲬᲔᲚᲡ

მართალია, ალ გორს ჯერ არ წამოუყენებია თავისი კანდიდატურა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ ამერიკული მასმედიის მტკიცებით, იგი უკვე ემზადება წინასაარჩევნო კამპანიისათვის და ინტენსიურად მართავს შეხვედრებს დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან თუ შესაძლო სპონსორებთან და, ამასთანავე, საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს პრეზიდენტ ბუშს.

დემოკრატიული პარტიის რიგებში ბევრს სჯერა, რომ გორი, რომელსაც 2000 წლის არჩევნებში პრეზიდენტობა ფლორიდელმა რესპუბლიკელებმა და უზენაესი სასამართლოს კონსერვატორმა წევრებმა "მოჰპარეს", კიდევ ერთ შანსს იმსახურებს.

გასულ კვირას გამართულ არაოფიციალურ შეხვედრაზე გორმა აღიარა წინა არჩევნების დროს დაშვებული მთავარი შეცდომა: იმის ნაცვლად, რომ გულწრფელად ესაუბრა ამომრჩევლებთან ქვეყნის მომავლის მისეული ხედვის შესახებ, იგი მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი კონსულტანტების რჩევებსა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებს, ანუ გორი ამბობდა არა იმას, რაც უნდოდა, არამედ იმას, რასაც, მისი მრჩევლების აზრით, ამერიკელები კარგად მიიღებდნენ.

დღეს ბუშის პოპულარობა საკმაოდ მაღალია - ამერიკელების 70 პროცენტი მას დადებითად აფასებს, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხის მტკიცებით, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ომი ტერორიზმის წინააღმდეგ ნელ-ნელა კარგავს თავის "შარმს", ეკონომიკური მაჩვენებელები არადამაჯერებლად გამოიყურება და დიდ კორპორაციებთან დაკავშირებული სკანდალები ძირს უთხრის ადმინისტრაციისადმი სახალხო ნდობას. იმასაც იხსენებენ, რომ 1991 წელს, სპარსეთის ყურეში მოგებული ომის შემდეგ ბუში-მამის რეიტინგი 90 პროცენტი იყო, წელიწად-ნახევრის შემდეგ გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში კი უფროსი ბუში პირწმინდად დამარცხდა დემოკრატ კლინტონთან.

დემოკრატების ნომინაციის მოპოვებაში გორის შესაძლო კონკურენტებად სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი, წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების ლიდერი რიჩარდ გეპჰარდტი, სენატის უმრავლესობის ლიდერი ტომ დეშლი, სენატორები ჯონ კერი და ჯონ ედუარდსი ითვლებიან. არ არის გამორიცხული, ნომინაცია დემოკრატიულ პარტიაში საკმაოდ პოპულარულმა ჰილარი კლინტონმაც მოიპოვოს.

ᲩᲮᲠᲔᲙᲐ ᲙᲐᲠᲐᲯᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

სამშაბათს დილით ნატო-ს ჯარების ქვედანაყოფი, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინაში არის დისლოცირებული, ჩხრეკის საბაბით ცნობილი ბოსნიელი (წარმოშობით სერბი) პოლიტიკოსის რადოვან კარაჯიჩის სახლში შეიჭრა. ჩხრეკის მომენტში სახლში კარაჯიჩის ცოლი იმყოფებოდა. თვითონ კარაჯიჩი იმალება, მასზე ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალს ძებნა აქვს გამოცხადებული. ნატო-ს სამხედროებმა უარი განაცხადეს რეიდის ზუსტი მიზეზის დასახელებაზე. მათ განაცხადეს, რომ კარაჯიჩის სახლში ჩატარდა იარაღის ამოღების ჩვეულებრივი ოპერაცია (Reuters).

მოღნისის ეკლესიის მეზობლად მცხოვრებთა სიცოცხლე საფრთხეშია

მარიკა ამერველაშვილის ფოტო

ქეთი ქადაგიშვილი

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ითხოვს მოღნისის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა გასახლებას. მიწისძვრის შემდეგ თბილისის ისტორიული ძეგლებიდან ყველაზე მეტად ეს ეკლესია დაზიანდა. ეკლესიას მთელი მხოლოდ გუმბათიღა შემორჩა. იქვე, რამდენიმე მეტრში, საცხოვრებელი სახლებია, რომელთა საპირფარეშოებიც ეკლესიის კედლებზეა მიბჯენილი. მთლიანად მოშლილია საკანალიზაციო სისტემა, ამიტომ ეკლესიის საძირკველი ნადგურდება დაზიანებული საკანალიზაციო მილიდან ჩასული წყლით. უკეთეს მდგომარეობაში არც შენობის კედლებია, ცალი მხარე სადაცაა ჩამოინგრევა. მის ახლოს კი ხშირად ბავშვები თამაშობენ.

"მოსახლეობა სასწრაფოდ უნდა გაასახლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, დაზარალდნენ. ამ საკითხზე პასუხისმგებელ უწყებებს, თითქმის, ყოველდღიურად ვაწუხებთ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს", - ამბობს დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე.

მოღნისის ეკლესია უკეთ არც მიწისძვრამდე გამოიყურებოდა. უკვე ათეული წლებია, რაც ნგრევის პირას არის, მიწისძვრამ კი მთლიანად მოუღო ბოლო. ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ძეგლთა დაცვის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მაინც მოხერხდება ეკლესიის აღდგენა. მაგრამ, თუ ხელისუფლებამ მომავალშიც მასზე ზრუნვა ძველებურად გააგრძელა, ეკლესიიდან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩება.

როგორც მერიაში გვითხრეს, თბილისის შენობათა თითქმის ნახევარი მოღნისის ეკლესიის მსგავს მდგომარეობაშია. მოსახლეობა იქიდანაც გასასახლებელია. ქალაქის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ, უპირველესად, უნდა იზრუნოს მიწისძვრის დროს დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენაზე, ამიტომ მიწისძვრის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილ ფონდში ეკლესიის აღსადგენად თანხა ჯერ არ არის გათვალისწინებული.

ვარძიას ქართველი ინკოგნიტო მეცენატი გამოუჩნდა

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში აღნიშნავენ, რომ ვარძიის გადაუდებელი საკონსერვაციო სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ უკვე შემუშავებულია პროექტი და, რაც მთავარია, გამოჩნდა ინკოგნიტო ქართველი სპონსორი, რომელიც ძეგლის სარესტავრაციო თანხებს გაიღებს. კულტურის სამინისტრომ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს გამოუყო თანხა, რომელიც მხოლოდ ინსპექტირებისთვისაა საკმარისი.

უმძიმეს მდგომარეობაშია ვარძიის ცენტრალური ნაწილი, სადაც დიდი ნაპრალია გაჩენილი და აღმოსავლეთის გვირაბი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია.

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ჩამონგრევის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მედიის მიერ აგორებულ ცრუ განგაშს უწოდებს. თუმცა, მისი თქმით, ძეგლი მრავალსაუკუნოვანია (სავარაუდოდ, 1184-85 წლებშია აშენებული) და მდებარეობს სეისმურ ზონაში, სადაც ბიძგები ხშირად შეინიშნება, ამიტომ დროდადრო მას მცირე ნაწილები სცვივა. (მედია-ნიუსი)

აფხაზეთში ქართველ არქეოლოგებსაც არ უშვებენ

დიოსკურიის (აფხაზეთი) 2.500 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში, შესაძლოა, ქართველმა არქეოლოგებმა მონაწილეობა ვერ მიიღონ.

დიოსკურიის ნაკვალევი, რომლის მოძიებასაც სამომავლოდ რუსი, ბერძენი და აფხაზი არქეოლოგები აპირებენ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა.

დიოსკურიის, ე.წ. ცხუმის უძველეს ტერიტორიაზე სამი ათასი წლის წინანდელი სამარხები და არქეოლოგიური ძეგლები ქართველი არქეოლოგების კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა.

როგორც არქეოლოგიურ კვლევით ცენტრში აცხადებენ, ომის შემდეგ აფხაზეთში ქართველ არქეოლოგებსაც აეკრძალათ კვლევა-ძიება, თუმცა აფხაზ არქეოლოგებთან თანამშრომლობა დღესაც შესაძლებელია. (მედია-ნიუსი)

ბათუმში კავკასიური უნივერსიტეტების პირველი კონფერენცია გაიმართება

ბათუმში 5-12 ივლისს კავკასიის ქვეყნების უნივერსიტეტების პირველი საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია "მედიცინა კლასიკურ საუნივერსიტეტო განათლებაში" გაიმართება.

როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მალხაზ კერესელიძემ განაცხადა, კონფერენცია მიეძღვნება საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევების ინტეგრაციას.

მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ დსთ-ის თუ ევროპის თეორიული მეცნიერებისა და კლინიკური მედიცინის წამყვანი სპეციალისტები. კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდება.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტები და მედიკო-სოციალური კავშირი "კავკასიის მედიკოსი". (ინტერ-პრესი)

იურიდიულ განათლებაში კორუფცია „ოდითგან„ იყო

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

იური ლომოდინის ფოტო

დალი კუპრავა

ჩვენში, როცა უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციაზე საუბრობენ, უპირველესად, იურიდიულ განათლებას გულისხმობენ. რეალობაა, როცა ახალგაზრდა იურისტობას დააპირებს, მისი პროფესიული არჩევანი საერთო-სანათესაო პრობლემად იქცევა-ხოლმე. მხოლოდ ნაცნობობაც საქმეს არ შველის და აბიტურიენტის ოჯახს იურიდიული განათლების მიღება იმდენად ძვირი უჯდება, რომ დანახარჯის ამოღება ბევრისთვის ვენდეტად იქცევა. უკვე პროფესიონალები, ანუ დიპლომიანები ანგარიშს იმავე მეთოდით საზოგადოებას უსწორებენ, რომელმაც ისინი აიძულა, პროფესიაში კანონგარეშე ჩაედო ფული. ეს მოვლენა არ არის ახალი. ჩვენში ეს, უკანონობის, უკანონო მახინჯი ნაყოფის შობის სტაჟიანი ტრადიციაა.

"იურიდიულ განათლებაში კორუფცია "ოდითგან" იყო. სტაჟი რომ მჭირდებოდა, ფულით გამიკეთეს, მისაღებ გამოცდებზეც... ნუ მათქმევინებთ, უხერხულია, ხალხი მიცნობს და მაფასებს, როგორც იურისტს," - განაცხადა "24 საათთან" საუბრის დროს შუახნის კვალიფიციურმა იურისტმა. დღევანდელი სტუდენტებიც და მათი მშობლებიც ასახელებენ თანხას, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება და იზრდება."10 000 დოლარი იყო შარშან, წლეულს ამბობენ, უფრო მეტი იქნებაო და რა გვეშველება, არ ვიცი", - წუწუნებს მშობელი და მიუხედავად პროცენტიანი ვალის ჯოჯოხეთური პერსპექტივისა, სასოწარკვეთილი არც კი ფიქრობს ალტერნატიულ ძალაზე – ცოდნაზე.

როგორც პრაქტიკოსი იურისტები აღნიშნავენ, მდგომარეობა უკიდურესად სავალალოა, სოკოებივით მომრავლდა იურიდიული ფაკულტეტები, განათლების კონსტიტუციური უფლება ირღვევა და ძალიან დაბალია პროფესიული დონე. უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი განურჩევლად ყველას ანიჭებს კვალიფიკაციას. საქართველოში ძალიან დიდია და დაუძლეველი ცალცალი "კალოშის" "აზიაცკებად" ქცევის სურვილი.

26 ივნისს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, რომელიც დიდი ხანია მუშაობს იურიდიული განათლების რეფორმაზე, კონცეფცია გააცნო მასმედიას, რომელსაც "დაავალა" საკითხის მართებული მიტანა საზოგადოებამდე.

კონცეფცია რადიკალურად ცვლის იურიდიული განათლების მიღებისა და იურისტის კვალიფიკაციის მინიჭების სისტემას და კონკრეტული მექანიზმებით მიმართულია ზოგადად იურიდიული არაპროფესიონალიზმის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ კონცეფციაში შემოთავაზებულია ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, პირს მიენიჭოს თუ არა იურისტის კვალიფიკაცია. უმაღლეს სასწავლებლებს ექნება აკადემიური ცოდნის მიცემის პრიორიტეტი.

ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის გარეშე ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ვერ იქნება კვალიფიციური იურისტი. "რამდენი იურისტია დღეს საჭირო, ამის თქმა ძნელია, ეს ბაზარმა უნდა დაარეგულიროს, ისევე, როგორც – რომელ უმაღლესს უნდა დარჩეს ლიცენზია და რომელს - არა. თავისუფალი კონკურენციის პირობებში, მნიშვნელობა არ ექნება, რომელი სასწავლებელი დაამთავრა იურისტმა. ისინი აბარებენ სახელმწიფოს ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდას. რატომ არ შეიძლება, გამოცდა ვერ ჩააბაროს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა და ჩააბაროს, მაგალითად, გორაბერაჟოულის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომანტმა, ან პირიქით," - თქვა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ ზაზა რუხაძემ.

როგორც მან აღნიშნა, ამ იდეას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. ცოტა ხანში, ალბათ, ამაზე იმსჯელებს სახელმწიფო კომისიაც. 3 ივლისს კი, სასტუმრო "თორში", იუსტიციის სამინისტროსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეხვედრაზე შეეცდებიან, შეაჯერონ იურიდიული განათლების ორი კონცეფცია - სახელმწიფო და არასამთავრობო. "იურიდიული განათლების კონცეფცია არ უნდა იქცეს უსაფუძვლო სკანდალების თემად, რათა არ დაიკარგოს ის ხელსაყრელი მომენტი, რომელიც დღეს ამ საკითხის დასარეგულირებლად არსებობს," - თქვა ზ. რუხაძემ.

ვინ აანალიზებს წყალდიდობისგან მიყენებულ ზარალს?

თამარ მაისურაძე

ჩვენს ისედაც გაჭირვებულ მთავრობას, როგორც იტყვიან, ქვა აღმართში მიეწია. მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემების მოგვარება არ დასცალდათ, რომ კიდევ ერთი საფიქრალი – წყალდიდობისგან მიყენებული პრობლემების მოგვარება დაემატათ.

საგზაო დეპარტამენტის მონაცემებით, დღეისთვის შემოწმებულია ყველა დაზარალებული რეგიონი. სამხრეთ საქართველოს გარდა, საქართველოს მასშტაბით დაზიანებული და დანგრეულია ხიდებისა და გზების დიდი ნაწილი, რომელთა უმეტესობის აღდგენა შეუძლებელია. წყალდიდობამ განსაკუთრებით კახეთის რეგიონი დააზარალა. კახეთში ორი ხიდი დაინგრა და ორივე თავიდან არის ასაშენებელი. მდინარე არაგვმა მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის მიმართულებით სამანქანო გზას ძირი გამოურეცხა და დღეს გზის ერთი მონაკვეთი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ცაგერისა და ლენტეხის რაიონებშიც ანალოგიური სიტუაციაა. ლენტეხის რაიონის ზედა ზონის სოფლებთან ხიდის ჩანგრევის შემდეგ კავშირი აღარ არსებობს. **"წყალდიდობისგან მიყენებული ზარალის განსაზღვრა დღეს ძნელია. მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც დაზიანებულ ადგილებს აღწერს. სავარაუდოდ, 5-6 დღეში გვეცოდინება, წყალდიდობამ რეგიონებს რა თანხის ზარალი მიაყენა",** – გვითხრა საგზაო დეპარტამენტის საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსმა გოგი წერეთელმა. დეპარტამენტის მთავარი პრობლემა, პირველ რიგში, მსოფლიო მნიშვნელობის გზების აღდგენაა. რაც შეეხება წყალდიდობით დაზარალებულ მოსახლეობას, ეს ცალკე პრობლემა გახლავთ. მათი დახმარების შესახებ ჯერ არაფერი თქმულა.

პრეზიდენტის ბრძანებით, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელმაც პრეზიდენტს 10 დღეში უნდა წარუდგინოს ახალი პრობლემის გადაჭრის (თანხების მოძიების) გზები. კომისიის ერთ-ერთი წევრის ილო ჭრელოშვილის თქმით, **"დღეს ან ხვალ შეიკრიბებიან კომისიის წევრები. კომისიაში დარგობრივი სამინისტროების ხელმძღვანელები ან მათი მოადგილეები არიან გაერთიანებულნი. ჩვენი ბიუჯეტის სიმწირის ამბავი ხომ იცით. მოგვიწევს, უცხოეთიდან დაწყებული, შინაურებით დამთავრებული, ყველგან ვეძიოთ ფინანსები."**

წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები "ჰაერს არ გამოიცვლიან"

ირმა ქახურაშვილი

მაღალსართულიანი, კომფორტული აგარაკების ალყაში მოქცეულ ღობემორყეულ წყნეთის ბავშვთა სახლში ამჟამად 130 აღსაზრდელია. აქ ყველას ერთნაირად არ გაუმართლა - ზოგიერთი ბავშვის მშობელი ლოთი, ნარკომანი ან მსუბუქი ყოფაქცევისაა, ზოგს საერთოდ არავინ ჰყავს. მათი მომავალი ბუნდოვანია. 6 წლის ასაკის შემდეგ ბავშვებს სპეციალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისია შეამოწმებს და დეფექტების მიხედვით სხვადასხვა დაწესებულებაში გაამწესებს.

ბავშვთა სახლში კვებას არავინ უჩივის: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ოთხჯერადია. ბავშვთა სახლებს, რომელთა რიცხვი საქართველოში 126-ია, მსოფლიო სასურსათო პროგრამა და სახელმწიფოს მიერ თითოეულის კვებაზე გამოყოფილი 1,80 ლარი ეხმარება.

"მთავარი პრობლემა ღობეა, რომელიც შეცვლას ჯერ კიდევ 1996 წელს საჭიროებდა. იგი ყველა მხრიდან არის გარღვეული", - ამბობს წყნეთის ბავშვთა სახლის დირექტორი მანანა წილოსანი. თუმცა, ჩვენი საუბრის შემდეგ ღობის "აქტუალური" პრობლემა უკანა პლანზე გადადის. უკვე ოთხი წელიწადია წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს არსად დაუსვენიათ. **"რატომღაც აგრესიას ვიწვევთ... გვეუბნებიან, თქვენი ბავშვები ისედაც სუფთა ჰაერზე ცხოვრობენო. ადამიანებს არ ესმით, რომ ვიღაცისთვის ეს კურორტია, ამ ბავშვებისათვის კი დახურული სივრცე",** - ამბობს დირექტორი.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი კერძო მფლობელობაში გადავიდა და დასვენებაც ძვირი სიამოვნება გახდა, ზაფხულს ჩვეული რეჟიმით ატარებენ. დირექტორი ვარაუდობს, რომ საქმეები დღეს მეტწილად ნაცნობობით კეთდება: **"ორი წლის წინ სოროსის ფონდში პროექტი წარვადგინე. მინდოდა ბავშვებისათვის ლოგოპედიური კაბინეტის გახსნა. ბავშვების დიდი ნაწილი გამართულად ვერ მეტყველებს. ჩვენი პროექტი ვერ გავიდა. ყველაფრის იმედი დავკარგე".**

ბავშვთა სახლს არც გამდიდრებულ-დამეზობლებული ჩინოვნიკების იმედი აქვს. დირექტორი იხსენებს შემთხვევას, როცა ზამთარში წყლის გარეშე დარჩენილი წყნეთის მოსახლეობა წყაროს წყალს ეზიდებოდა. ბავშვთა სახლის პედაგოგები ქვაბებით და კასრებით გრძელ რიგში იდგნენ. იქვე, ბავშვთა სახლთან გამავალ გზაზე ყოველ 10 წუთში წყლით დატვირთული ცისტერნები მდიდრების უბნისკენ მიემართებოდნენ. დირექტორის თხოვნას, ბავშვებისთვის წყალი მიეწოდებინათ, არავინ გამოეხმაურა. მაშინ გზა გადაკეტა და ძალით დააცლევინა ბავშვთა სახლში 4-ტონიანი ცისტერნა. **"უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა, კინაღამ გადაგვიყოლეს",** - გვიყვება წილოსანი. წყნეთში წყალი დღემდე პრობლემად რჩება.

ეზოში მწყობრიდან გამოსულ "რაფს" ვამჩნევ. ამბობენ, მის შეკეთებას იმხელა თანხა სჭირდება, რომ უმჯობესია, ახალი შეიძინონ. ეს კი უფრო ოცნებას ჰგავს, ვიდრე რეალობას. რეალობის შემყურენი კი ოცნებას, დიდი ხანია, გადაეჩვივნენ.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სასამართლო დარბაზი

გახმაურებული მკვლელობის გაუხმაურებელი დეტალები

ხათუნა ჭანგირაშვილი

საზარელი მკვლელობა, რომელიც ერთი წლის წინ დიღომში მოხდა, დიდი მითქმა-მოთქმისა და მსჯელობის საგნად იქცა. საკუთარ ბინაში, ტახტის სათავსოში ჩამარხული ცოლ-ქმრის გვამები პოლიციამ მკვლელობიდან მეხუთე დღეს აღმოაჩინა. მკვლელობის ავტორად და შემსრულებლად გამოძიებამ ოცი წლის არჩილ ძეგველიშვილი დაასახელა და ბრალიც წაუყენა. ხალხს თავისი ვერსიები ჰქონდა მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებამ კი თავისი თქვა.

- არ ვიცი... არ მახსოვს...

ძირითადად ასეთ პასუხებს აძლევდა სასამართლო გამოძიებას გუშინდელ პროცესზე დედ-მამის მკვლელობაში ბრალდებული განსასჯელი არჩილ ძეგველიშვილი, რომელმაც წინასწარი ძიების დროს დანაშაული მთლიანად აღიარა და თავი დამნაშავედ ცნო.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, არჩილ ძეგველიშვილს ხშირად ჰქონდა უსიამოვნება მშობლებთან, რაც ბანქოში წაგებულ და ტოტალიზატორ "აჭარაში" დახარჯულ თანხებს უკავშირდებოდა. მშობლების მოთხოვნა, მევალეებს შეხვედროდნენ და სიტუაცია გაერკვიათ, არჩილ ძეგველიშვილმა შეურაცხყოფად მიიღო და მშობლების მოკვლა გადაწყვიტა, მძინარე მშობლებს თავზე დაადგა და სანადირო ორლულიანი თოფით ჯერ მამას ესროლა გულმკერდის არეში, შემდეგ - დედას. "ვინაიდან მამა ჯერ კიდევ ხრიალებდა, სანადირო თოფში ახალი ტყვია ჩადო და მამამისს კიდევ ერთხელ თავში ესროლა," – ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში, რომლის მიხედვითაც, არჩილ ძეგველიშვილმა მეორე დღეს მშობლების გვამები გვერდზე ოთახში, ტახტის შიდა სათავსოში მოათავსა და ტახტი ქვიშით ამოავსო. იმავე დღეს სისხლიანი ნივთები მინდორში წაიღო და დაწვა. გამოძიება იმასაც ამტკიცებს, რომ ძეგველიშვილს მშობლების უძრავ-მოძრავი ქონების დაუფლების დიდი სურვილი ჰქონდა.

გუშინდელ ზედმეტად დაძაბულ და უარყოფითი ემოციებით დატვირთულ პროცესზე, რომელიც, განსასჯელის ისტერიული და პრეტენზიული მოთხოვნის გამო, ვიდეოკამერებისა და ფოტოკორესპონდენტებისთვის დახურული აღმოჩნდა, არჩილ ძეგველიშვილმა ვერ თუ არ გაიხსენა ეჭვმიტანილად და ბრალდებულად დაკითხვის ოქმების შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა – ჩემი ხელით არის დაწერილიო. გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები უარყო და სასამართლოს განუცხადა, კარგი მშობლები მყავდა, რატომ ჩავიფიქრებდი მათ დახოცვასო. თუმცა, პროკურორის მიერ დასმულ შეკითხვებზე ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იძლეოდა. მონოტონურად იმეორებდა, რომ მამა მას ძალიან ხშირად ეჩხუბებოდა და სცემდა. **"ორი წლის ბავშვივით მტუქსავდნენ, მამცირებდნენ, სახლში დაგვიანებისთვის მირტყამდნენ. იმ საღამოს ოცი ლარი ვითხოვე, საკურსოს ქსეროქსზე გადასაღებად მჭირდებოდა. ამას მოჰყვა ჩხუბი, მამაჩემი გამომეკიდა და მცემდა, მე უცებ მისი სანადირო თოფი ავიღე და ორჯერ გავისროლე, თავიდან ვერ მივხვდი, დედაჩემს მოხვდა თუ მამაჩემს. ფეხზე რომ აღარ ადგნენ, მაშინ მივხვდი, რომ დაიხოცნენ"**, - ასე ახსნა მომხდარი განსასჯელმა. მოსამართლეც და პროკურორიც ბევრს ეცადნენ, გაერკვიათ, რანაირად მოხვდა ორლულიანი თოფიდან მესამედ გასროლილი ტყვია ვაჟა ძეგველიშვილს, მაგრამ განსასჯელისგან პასუხი ვერ მიიღეს.

პროცესზე მოწმედ დაკითხულმა ნინო ძეგველიშვილმა – განსასჯელის დამ, რომელსაც გამოძიებამ დანაშაულში თანამონაწილეობა ვერ დაუმტკიცა, იმდენად მშვიდად და აუღელვებლად გაიხსენა ერთი წლის წინ მის ოჯახში დატრიალებული საშინელი ამბავი, რომ მოსამართლემ დიდი ბოდიშის მოხდით ჰკითხა, განიცადა თუ არა მშობლების სიკვდილი და, საერთოდ, უყვარდა თუ არა ისინი. ამ შეკითხვას განსასჯელის დის საშინელი აღშფოთება მოჰყვა: **"საქმისთვის რამე მნიშვნელობა აქვს, როგორ განვიცადე მე ეს ყველაფერი? გადასარევი მშობლები მყავდა და ძალიანაც მიყვარდნენ... განვიცადე ისე, როგორც შემეძლო... მამა მომთხოვნი და მკაცრი იყო. ყველა წვრილმანზე ეჩხუბებოდა აჩიკოს. გამეტებით, დაუნდობლად სცემდა ხოლმე. იმ ღამეს დედამ ჩემი ძმა მამასთან ჩაუშვა, რასაც, როგორც ყოველთვის, მამაჩემის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ჩემთვის ეს ყველაფერი იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ არც დავინტერესებულვარ, რა ხდებოდა, შევედი ჩემს ოთახში და დავიძინე..."** – განუცხადა სასამართლოს განსასჯელის დამ. მისივე მონაყოლით, მკვლელობის ღამეს მისი ძმა მძინარეს დაადგა თავზე, მოუყვა, რომ მშობლები დახოცა და დას სთხოვა, რამდენიმე დღით სხვაგან წასულიყო. მეორე დილით ნინო ძეგველიშვილი ისე წავიდა მეგობართან, რომ მშობლების ცხედრები არ უნახავს. "აჩიკომ მითხრა, არ გირჩევ მათ ნახვას, ჯობს, როგორებიც იყვნენ, ისეთები დაგამახსოვრდნენო. დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო და სურვილი არ მქონდა, სისხლიანი მენახა," – მშვიდად უხსნიდა სასამართლოს მოწმე, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში სახლში არ დაბრუნებულა და არც მოუნდომებია, გაერკვია, რა მოხდა ოჯახში. მეოთხე დღეს, ძმამ მეგობართან მყოფი და სახლში დააბრუნა და უთხრა, რომ მის ოთახში დახოცილი მშობლების გვამები ეწყო.

"მე გასროლის ხმა არ გამიგია, მეძინა. როგორ დახოცა ისინი, ზუსტად არ უთქვამს, უბრალოდ, მითხრა, რომ მამას ორჯერ ესროლა. ხომ გახსოვს, რა დღეში ვიყავი, ახლა ვეღარ მეჩხუბებიანო, - მითხრა. ტახტში თუ მოათავსა გვამები, ნამდვილად არ ვიცოდი. პოლიცია რომ მოვიდა, აჩიკოს ოთახში ჩავიკეტეთ და კარი არ გავაღეთ, რამდენიმე წუთში პოლიციელები აივნიდან გადმოვიდნენ. მე მეზობელთან ჩამიყვანეს და იქ დამკითხეს", - ისე უემოციოდ და აუღელვებლად იხსენებდა ამ ყველაფერს განსასჯელის და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თან ძმას ამართლებდა - ძალიან ნერვიული და ემოციურია, ყველაფერს უზომოდ განიცდისო.

ერთი სიტყვით, და-ძმის მშვიდმა და პრეტენზიულმა განმარტებებმა სასამართლო კოლეგიაც და დარბაზში მყოფნიც ერთნაირად დაზაფრა და დააფიქრა.

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობამდე არჩილ ძეგველიშვილს დისთვის უკითხავს, როგორ ფიქრობ, მშობლების გარეშე ხომ უკეთესად ვიცხოვრებთო. საქმეში არის ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც განსასჯელის შერაცხადობას ადასტურებს. დღევანდელ სასამართლო პროცესზე სწორედ ამ დასკვნის შემდგენელი ფსიქიატრ-ექსპერტები დაიკითხებიან.

"ნინო აჩიკოს გვერდზე უნდა იჯდეს, ისინი ერთნაირად დამნაშავეები არიან, გადასარევი მშობლები ჰყავდათ, უბრალოდ, არ უყვარდათ ისინი... დახოცეს და დაისვენეს... მკვლელობის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში ნინო ჩემთან ცხოვრობდა, მაგრამ მის თვალზე ცრემლი არ მინახავს", - გვითხრა განსასჯელის მამიდამ.

სჭირდება თუ არა საქართველოს კანონი რელიგიის შესახებ

სოფიკო ბუკია

იური ლოგინოვის ფოტო

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული, "სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ" კანონპროექტი ისევ განხილვის საგნად რჩება. აღმოჩნდა, რომ იგი თითქმის არავის მოსწონს, იუსტიციის სამინისტროს გარდა. კანონპროექტმა საპატრიარქოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების უკმაყოფილება გამოიწვია. პრეზიდენტის დირექტივით შექმნილი კანონპროექტი ვერც მკალავიშვილის გემოვნებას აკმაყოფილებს, ვერც ბაპტისტებისას და ვერც იეღოველებისას.

გვჭირდება თუ არა კანონი რელიგიის შესახებ? რამდენად მისაღებია იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა? რა იურიდიული სტატუსი უნდა ენიჭებოდეს რელიგიურ ორგანიზაციას?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამ თემებზე სასაუბროდ მრგვალ მაგიდასთან არასამთავრობო ორგანიზაციები, იუსტიციის სამინისტროსა და რელიგიურ კონფესიათა წარმომადგენლები, მეცნიერ-თეოლოგები შეკრიბა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც შეკრებილი საზოგადოება ერთხმად შეთანხმდა, ის არის, რომ რელიგიის შესახებ კანონი საქართველოს არ სჭირდება. ანუ ქვეყანაში, რომლის კონსტიტუცია საკუთარ მოქალაქეს სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას აძლევს, სხვა დამატებითი გარანტიები უადგილოა. **"არის თუ არა საჭირო კანონი? ამაზე ცალსახა პასუხი არ გვაქვს. მე ვიცი, რომ საჭიროა რელიგია და მისი დაცვა. თუ ამას ცალკე კანონი დაარეგულირებს, მაშინ იგი საჭიროა, თუ სამოქალაქო კოდექსში შესწორებებია საკმარისი, კი ბატონო. უბრალოდ, გვინდა, გვქონდეს იურიდიული ქოლგა, რომ მშვიდად გავაგრძელოთ ჩვენი საქმიანობა,"** – ასე გამოხატავს თავის პოზიციას ბაპტისტი მოძღვარი მალხაზ სონღულაშვილი. ამ კანონის არსებობის წინააღმდეგია პარლამენტარი, "ახლი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძეც, რომელიც ამ შეხვედრას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიწვევით დაესწრო. **"რაიმე კანონის შექმნა მაშინაა საჭირო, როცა ვაკუუმია შექმნილი კანონმდებლობაში. მე ამგვარს ვერაფერს ვხედავ. რელიგიის კანონი საქართველოს არ სჭირდება,"** - აცხადებს იგი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა აზრით, გამოსავალი მარტივია: სამოქალაქო კოდექსის მეორე თავში შესაბამისი დამატებები უნდა შევიდეს, რომლებიც, არასამწარმეო პირების გვერდით, რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისა და შექმნის პროცედურულ საკითხებს განსაზღვრავს. რელიგიური ორგანიზაცია, ახალგაზრდა იურისტთა აზრით, უნდა დარეგისტრირდეს, როგორც კერძო სამართლის პირი.

დიდი დისკუსია გამოიწვია იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულმა კანონპროექტმა, განსაკუთრებით კი, ერთ-ერთ მუხლში ნახსენებმა "არაკეთილსინდისიერმა პროზელიტიზმმა". **"თუ კი ამ მუხლში საუბარია მატერიალური და სოციალური შეღავათების შეთავაზებით ადამიანის გადაბირებაზე, რატომ არ ეკრძალებათ ეს უკანასკნელი პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მუდმივად ამით არიან დაკავებულნი?"** - უკვირთ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და მიიჩნევენ, რომ კანონში ამგვარი ჩანაწერი ქველმოქმედების არაპირდაპირ აკრძალვას ნიშნავს. ამგვარი აზრისაა "თავისუფლების ინსტიტუტიც": **"ეს ნიშნავს ადამიანის სულში ხელის ფათურს,** აღნიშნავს გიგა ბოკერია. **"ეს მუხლი საშუალებას აძლევს ნებისმიერ 50-კაციან ჯგუფს რელიგიური გაერთიანების სახელი დაირქვას,"** - აცხადებს საპატრიარქოს წარმომადგენელი გიორგი ანდრიაძე. **"არაკეთილსიერი პროზელიტიზმი - კანონში ამგვარი ჩანაწერი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, იგივე ქმედებები განახორციელოს რელიგიურ გაერთიანებათა მიმართ, რასაც მკალავიშვილი მიმართავს,"** - ასეთია იეღოველთა ადვოკატის მამუკა ჭაბაშვილის პოზიცია.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი რელიგიურ გაერთიანებებს სტატუსიანებად და უსტატუოებადაც კი ჰყოფს; ანუ ამ კანონპროექტის მიხედვით, იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე 50 წლის განმავლობაში მოქმედებს, შეუძლია თავის დასახელებაში სიტყვა "საქართველო" შეიტანოს. კანონპროექტში არ არის მითითებული, როგორ აპირებს იუსტიციის სამინისტრო რელიგიურ გაერთიანებათა ასაკის დადგენას, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც წლების მანძილზე ათეიზმი მძვინვარებდა და ბევრი რელიგიური გაერთიანება, ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში მოღვაწეობდა. ასევე, არ მომხდარა მათი, როგორც რელიგიური ორგანიზაციების, რეგისტრირება დამოუკიდებელ საქართველოშიც. **"ამგვარი რამ პირველად მესმის, სად გაგონილა რელიგიის სტატუსი,"** - აცხადებს თეოლოგი, პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

ახალგაზრდა იურისტები მიიჩნევენ, რომ რელიგიური პრობლემები, რომლებიც დღეს საქართველოში არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების გულგრილობის "დამსახურებაა" და არაფერი აქვს საერთო კანონის არასრულყოფილებასთან.

გუშინდელი მრგვალი მაგიდის მონაწილეები კიდევ არაერთ შეხვედრას გეგმავენ და იმედოვნებენ, რომ საბოლოოდ შემუშავდება კანონპროექტში შესატანი შესწორებები, რომლებიც მისაღები იქნება ყველა რელიგიური გაერთიანებისა თუ მთელი საზოგადოებისთვის, მერე კი შეჯერებულ კანონპროექტს განსახილველად პარლამენტს წარუდგენენ.

ახალი დეტალები პიტერ შოუს გატაცების სურათის შესავსებად

სოფიკო ჩხაიძე

ინგლისელი ბანკირი კვლავ გამტაცებელთა ტყვეობაშია. ძალოვანები, რომლებიც უახლოეს მომავალში გვპირდებოდნენ პიტერ შოუს გათავისუფლებას, დღეს სხვაგვარად საუბრობენ. საკუთარ უუნაროებას ისინი გამტაცებელთა პროფესიონალიზმით ხსნიან.

პიტერ შოუს გატაცებიდან ორი კვირის თავზე შესაძლებელია მხოლოდ თვით გატაცების დეტალების დაზუსტება, რაც გამოძიებას მრავალმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. კერძოდ, გატაცების ფაქტის უშუალოდ შემსწრე პოლიციელთა დაკითხვამ ეჭვმიტანილთა წრე გარკვეულწილად შეავიწროვა, თუმცა, ამასთან ერთად, გამოძიების წარმატებით დაგვირგვინების შანსებიც შეამცირა.

მოგეხსენებათ, პიტერ შოუ იოსებიძის ქუჩაზე სამმა პოლიციელის ფორმაში გამოწყობილმა ბოროტმოქმედმა გააჩერა. შემთხვევის ადგილზე ნამდვილი პოლიციელებიც გამოჩდნენ, თუმცა, მათ გამოჩენას გამტაცებელთა მეორე მანქანის მიახლოვება მოჰყვა. მეორე მანქანიდან გადმოსული კამუფლიაჟიანი დამნაშავეები მაყუჩიანი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. გაუთვალისწინებელ შემთხვევაში სწრაფი რეაგირება, პროფესიონალური ნიღბები, რომელზეც გამტაცებლებს რკინის მუზარადებიც ეხურათ, შეიარაღების ტიპი — ეს ყველაფერი სამართალდამცველებს აფიქრებინებს, რომ გატაცება სპეცსამსახურების თანამშრომელთა მიერ იყო დაგეგმილი, ორგანიზებული და განხორციელებული. გამოძიება ასევე არ გამორიცხავს, რომ პოლიციელთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დანაშაულის ადგილზე გამტაცებელთა სხვა დამატებითი ძალებიც არ გამოჩნდებოდა. ანუ ვერსია, რომ პიტერ შოუს გატაცებაში სულ შვიდი კაცი მონაწილეობდა, შესაძლოა, სულაც მცდარი იყოს.

სამართალდამცველთა აზრით, გატაცების ოპერაციის სპეცსამსახურელთა მიერ განხორციელებაზე უნდა მიუთითებდეს არა მარტო გამტაცებელთა აღჭურვილობა, ორგანიზებულობა და ქცევის მანერა, არამედ სიმშვიდეც, რომლითაც ისინი მოქმედებდნენ.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, მანქანა, რომელიც პოლიციამ გატაცებიდან რამდენიმე საათში დიდი დიღმის დასახლების ერთ-ერთ კორპუსთან აღმოაჩინა, იქ რამდენიმე პირმა მიიყვანა. მანქანა დააყენეს, შემდეგ ერთ-ერთმა აუჩქარებლად, გულმოდგინედ გაწმინდა მანქანის შიგთავსი, სკამები, საჭე, მინები, კარებები, სახელურები. მერე მანქანა ჩაკეტეს და გასაღები იქვე სადარბაზოში, ლურსმანზე ჩამოკიდეს.

ასეთი სიმშვიდე პროფესიონალიზმისა და საკუთარ ძალების რწმენის შედეგია, -- მიიჩნევენ სამართალდამცველები და თვლიან, რომ სწორედ მშვიდი, გააზრებული მოქმედება იცავს პროფესიონალ ბოროტმოქმედებს შეცდომებისგან. შეცდომების მინიმალური რაოდენობა კი კიდევ უფრო ართულებს გამოძიებას.

პიტერ შოუს გატაცების საქმის გამოძიება კი უამისოდაც საკმაოდ რთული გახლდათ. საქართველოში უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ თავისი ექვსწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მან აქ ბევრი მტერი შეიძინა და მათ რიცხვში მხოლოდ გაკოტრებული ბანკების მფლობელები როდი არიან. ინფორმირებული წყაროს ცნობით, პიტერ შოუს "აგრობიზნესბანკის" მმართველობის პერიოდშიც ბევრი გაუნაწყენებია, რომელთა შორისაც არამარტო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მასთან წმინდა პროფესიონალური, საბანკო დარღვევების გამო ჰქონდა უთანხმოება, ბევრი - საქართველოს მასშტაბით მილიონერი ბრიტანელის მხრიდან - "გადაგდებას" უჩივის. თანხები კი ამ შემთხვევაში ისეთი სახელდება (ასიათასობით დოლარი), რომ სულაც არ არის გამორიცხული, სამშობლოში დასაბრუნებლად გამზადებული შოუ სწორედ ამ ფულის დაბრუნების მსურველებმა გაატაცებინეს.

თუ ასეა, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ პიტერ შოუს ისე განახორციელებინონ სასურველი საბანკო ოპერაცია და ისე გაამგზავრონ სამშობლოში, რომ ჩვენ ამის შესახებ ვერაფერი შევიტყოთ.

ჯერჯერობით კი, სამართალდამცველები ძიებას აგრძელებენ და თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ ბრიტანეთის მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება იმას, რომ აქამდე გამტაცებლები არავის დაკავშირებიან და შოუს გათავისუფლების პირობებიც არ წაუყენებიათ, გამოძიება ამასაც მათი პროფესიონალიზმით ხსნის და ამბობს, რომ არც ერთი ჭკუათმყოფელი ბოროტმოქმედი არ გადადგამს მომდევნო ნაბიჯს, სანამ არ დარწმუნდება, რომ მომხდარის გამო ძირითადი აჟიოტაჟი ჩაცხრა.

უცხოეთი

მდიდარმა მიწათმფლობელმა 10 წლის გოგონა იყიდა

პაკისტანის ერთ-ერთ პროვინციაში -- სინდში, მდიდარმა მიწათმფლობელმა 10 წლის შინამოსამსახურე გოგონას 830 დოლარი გადაუხადა და ცოლად იყიდა. ერთგული შინამოსამსახურე უსიტყვოდ დაემორჩილა ბატონის ბრძანებას და საქორწინო კონტრაქტი საკუთარი თითის ანაბეჭდით დაადასტურა.

გოგონას მამამ, რომელიც ქუჩაში ბოსტნეულის ვაჭრობით არჩენს ოჯახს, ქალიშვილი მოიტაცა და პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრს საჩივარი გაუგზავნა. პაკისტანში მოქმედი კანონის თანახმად, რომელიც კრძალავს არასრულწლოვან ბავშვთა ქორწინებას, მდიდარ მიწათმფლობელს სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს.

პაკისტანში ბავშვებით ვაჭრობა საკმაოდ ხშირია. მოსახლეობის 33,5 პროცენტი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, მათი თვიური შემოსავალი, დაახლოებით, 16 დოლარია. ზოგიერთი მშობელი, უბრალოდ, იძულებულია, ფულის არქონის გამო, საკუთარი შვილები გაყიდოს: გოგოები – ცოლებად, ბიჭები – მონური შრომის შესასრულებლად.

საჯარო გაუპატიურება პაკისტანში

პაკისტანში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მასტოს ტომის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

პაკისტანის ერთ-ერთი პროვინციის სოფელ მირვალაში მასტოს ტომის წარმომადგენლებმა 18 წლის გოგონას საჩვენებელი გაუპატიურების სცენა მოაწყვეს, რომლის ძმამაც ანალოგიური აქტი მირვალელ ქალთან ჩაატარა.

გოგონა აიძულეს, შიშველს გაევლო ათასობით ადამიანის წინ, რათა მასტოს ტომს მიყენებული სირცხვილი ჩამოებანა. მასტოს ტომის წევრებმა გოგონას ოჯახს თავიდანვე შესთავაზეს, თავისი ნებით აერჩიათ მსხვერპლი, ვისაც საჩვენებლად გააუპატიურებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მთელი სოფლის ქალების გაუპატიურებით იმუქრებოდნენ. პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ამ აქტის შემსრულებელთა წინააღმდეგ. პაკისტანში ასობით ტომი ცხოვრობს. ბევრი მათგანი დღესაც იცავს ე.წ. ღირსების კოდექსს, რომელიც სისხლის აღების წესსაც ითვალისწინებს.

მოსკოველი ათეისტები სასამართლოს მიმართავენ

ათეისტები სასამართლოს დახმარებით ეცდებიან სკოლებში "მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლების" სწავლების გაუქმებას.

მოსკოვის ათეისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოსკოვის ეპარქიასა და მოსკოვის განათლების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ.

ხელშეკრულება მოსკოვის ოლქების სკოლებში "მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლების" შესწავლას ითვალისწინებს. მოსკოველი ათეისტების აზრით, ამით ირღვევა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, კერძოდ, ფედერალური კანონები განათლებისა და სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ და მთელი რიგი საერთაშორისო აქტები. მოსკოვის ათეისტური ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, წელს თებერვალში მათ ამ პრეტენზიით სასამართლოს მიმართეს, თუმცა მოსამართლემ "ფორმალურ ბრძანებაზე დაყრდნობით" ორჯერ თქვა უარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. მან მომჩივანებს განუცხადა, რომ ისინი "მაინც ვერ შეძლებენ სასამართლო პროცესის მოგებას". მოსკოვის ათეისტთა საზოგადოების თავმჯდომარის ალექსანდრე კრაინევის თქმით, მოსკოვის ეპარქიასა და განათლების სამინისტროს შორის დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულება წარმოადგენს "საერო განათლების საქმეში ჩარევას". მისი აზრით, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოსკოვის ოლქის სკოლებში ისწავლებოდეს "მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლები" "სხვა რელიგიის აღმასარებლების უფლებების შევიწროებას" გულისხმობს და, აგრეთვე, მოცემული კურსის სკოლებში შესწავლის გადაწყვეტილების მიღებით ირღვევა მშობელთა უფლებები, ვისთან შეუთანხმებლადაც მიიღეს ეს ხელშეკრულება.

საბელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისერჩი

ჯორჯიან რისერჩი საბელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოგვეთავსება სრული მონაცემები საქართველოს საბელევიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.

- რამდენი სარეკლამო რგოლიანი გაშვებული თვეკნოვის საინტერესო არხზე ერთი დღის/კვირის/თვის/წლის განმავლობაში.
- რამდენი წამი/წუთი/საათი ეჭირა მოცულობა არხის ეთერში დროის მოცემულ შეალედის რეკლამის.
- როგორი იყო ამ მონაცემთა პროცენტული განაწილება არხებზე, რომელ საბელევიზიო გადაცემებია მოზიდული რეკლამის მაქსიმალური რაოდენობა (მაღალრეიტინგული გადაცემები).
- რომელ არხზე გავიდა ყველაზე მეტი რეკლამა.
- რომელი არხის ეთერში ეჭირაცა რეკლამის ყველაზე დიდი დრო და ა.შ.

ეს მონაცემები დაგეხმარებათ სარეკლამო კამპანიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ჩვენ შეგვიძლია მიღება შესაძლებელია ყოველკვირეულად ან 10 დღეში ერთხელ ყოველთვიურად. ეს შესაძლებელს ხდის ოპერატიულად შეცვალოთ სარეკლამო პოლიტიკა და უფრო მოქნილი გახადოთ იგი.

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

რა მოუტანა საქართველო-რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობების ათმა წელიწადმა

რუსიკო ნიკურაძე

საკ. კორ. მოსკოვში

მაინც, რა იყო ეს ათი წელიწადი და რა შემატა დროის ამ მცირე, მაგრამ დიპლომატიური კოლიზიებით მდიდარმა მონაკვეთმა ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობებს?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატი **ლევ მირონოვი** ამბობს: **"ჩემს ხელში გაიარა საქართველო-რუსეთის პრინციპული უთანხმოებებისა და ჰარმონიული დიპლომატიური შეხედულებების ჩამოყალიბების მთელმა ეპოქამ. ამ გზაზე ბევრი რამ დავკარგეთ, მაგრამ ბევრიც შევიძინეთ. მთავარია, არ ამოწურულა ჩვენს შორის საქმიანი კონტაქტების სურვილი".**

ქართული მხარის წარმომადგენელი, საქართველოს საელჩოს დესპანი **თეიმურაზ გამცემლიძე** ასე ახასიათებს ორი ქვეყნის ურთიერთობების ჩავლილ ათ წელიწადს:

"ბევრი დადებითი მომენტის მიუხედავად ეს იყო დრამატიზმით, წინააღმდეგობებით, შეცდომებით აღვსილი ათი წელიწადი-შეცდომებს ადგილი ჰქონდა რუსეთისა და საქართველოს მხრიდან...მაგრამ ისეთი გზა გამოვიარეთ და იმდენი სიმწარე თუ ლხინი ვიწვნიეთ ამ პერიოდში, იმდენი გულაცრუებისა და, ხშირ შემთხვევაში, გაოგნების მოწმენი შევიქენით, რომ გამოვლილი გზა ჩვენი მომავალი ურთიერთობების მაინც საუკეთესო იმედს მაძლევს. ძველი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ და ხარისხობრივად შეცვლილ ურთიერთობებში თანაცხოვრების დრამატიზმი უნდა უკუვაგდოთ. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვნახოთ საერთო ენა, ბევრი რამ ურთერთმიდგომაში უნდა შევცვალოთ. პირველ რიგში, რუსეთმა უნდა გადახედოს საქართველოსთან ურთიერთობებს. მოსკოვში მომუშავე ქართველ დიპლომატებს იმედი გვაქვს, რომ მომავალი ათწლეული განვლილზე უკეთესი იქნება". შეკითხვაზე, თუ რა დამახასიათებელ პრობლემებს გამოყოფდნენ ორი ქვეყნის ურთიერთობებში, რუსი დიპლომატები ერთხმად ასახელებენ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ხანგრძლივ, მომქანცველ პროცესს, რომელშიაც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა ურთიერთგაგებას ვერა და ვერ მიაღწიეს.

არის თუ არა ეს მხარეთა არასრულყოფილი მუშაობის შედეგი, ამაზე რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი კონფლიქტის დარეგულირებაში **ვალერი ლოშჩინინი** ასე პასუხობს:

"დარეგულირების თითქმის თორმეტინლიან მატიანეში მთავარი პრობლემა მხარეთა შორის უნდობლობა და კომპრომისების უგულებელყოფა იყო".

ლოშჩინინი დარწმუნებულია,რომ **"რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მსოფლიოში შეცვლილი სურათის შესაბამისად, ახლებურად შეხედავს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ეთნოკონფლიქტების მოგვარების პროცესს და მას მსოფლიოში არსებული გამოცდილებით გაამდიდრებს".**

კარგია თუ ცუდი, თუ საქართველო-რუსეთს შორის დღეს არსებული პრობლემების გადასინჯვა-გადახალისება გლობალური ანტიტერორისტული ოპერაციის ფონზე მოხდება?

ამ შეკითხვაზე "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის მემარჯვენეთა ერთ-ერთმა ლიდერმა **ირინა ხაკამადამ** ასეთი პასუხი გასცა:

"რუსეთი დღეს ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მისი ნებისმიერი ნიუანსი აისახება კავკასიის რეგიონში სიტუაციის ცვლაზე, ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობა მართებს საკუთარი ხალხისა და გეოგრაფიულად მეზობელი სახელმწიფოების მიმართ...შევარდნაძე რომ ბრძენი ლიდერი იყოს, დღეს ორი ქვეყნის ურთიერთობების ასეთ ტრაგიკულ შედეგამდე არ მივიდოდით. იმდენი საყვედური და გაუგებრობაა დაგროვილი, რომ მეეჭვება, კიდევ ათი წელი ეყოს ყველაფრის თავის კალაპოტში დაბრუნებას." (ამ და სხვა საკითხებზე ირინა ხაკამადასთან ვრცელ ექსკლუზიურ ინტერვიუს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ-**რედ.**) .

"ყველაზე მძიმე ის არის, რომ ეს პროცესი ორი ქვეყნის ხელისუფლების შეთანხმებული დუმილის ფონზე მიმდინარეობს, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ინერტულობის ფონზე ,რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მომავალსაც საფრთხით ემუქრება. ეჭვიც არ მეპარება, რომ პუტინი და შევარდნაძე დსთ-ს შეგნებულად ანგრევენ საჯაროდ დეკლარირებული ურთიერთშეუწყნარებლობის ფონზე," - განაცხადა "24 საათისათვის " მიცემულ ინტერვიუში დსთ ინსტიტუტის დირექტორმა **კონსტანტინ ზატულინმა**.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ "შეთანხმებულად ანგრევენ" თანამეგობრობის უდღეურ სივრცეს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები, ამაზე საუკეთესო პასუხი გასცა **ვლადიმირ პუტინმა** საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაყარების 10 წლისათვის გამო პრეზიდენტ შევარდნაძისათვის გაგზავნილ თავის წერილში:

"ეს მოვლენა მნიშვნელოვანი გეზია ჩვენი მეგობრული ქვეყნებისა და ხალხების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ერთობლივი ძალისხმევით შექმნილია ორმხრივი თანამშრომლობის სოლიდური ნორმატიული ბაზა. დაგროვილია დსთ-ს ფარგლებსა და "კავკასიურ ოთხეულს" შორის თანამშრომლობის დადებითი გამოცდილება. ჩვენი ქვეყნები თანამშრომლობენ ეუთოს, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში".

მოსკოველმა ანალიტიკოსებმა პუტინის წერილი შეაფასეს, როგორც, უბრალოდ, მოვალეობის მოხდა და იუბილეს მილოცვის ზრდილობიანი ტონი. დამკვირვებელთა ერთი ნაწილის აზრით, პრეზიდენტებს შორის ერთობლივ ანტიტერორისტულ ღონისძიებებზე პრინციპული შეთანხმება ჯერაც მიუღწეველია, ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანხმობის მიუხედავად. მოსკოვში ამბობენ, რომ პუტინი, ჯერჯერობით, ყოყმანობს და ვერ გადაუწყვეტია, საერთოკავკასიური ანტიტერორისტული ომი ვის მმართველობას დაამთხვიოს, რომელ ლიდერს შეახოცოს ჩეჩნების სისხლი...

სინამდვილეში კი, ყველაფერი უფრო სერიოზულად და რთულადაა, რადგანაც ზუსტად იმ დღეს, როცა საქართველოს საელჩოში რუსეთთან დაპლომატიური ურთიერთობების დამყარების ათი წლისთავს აღნიშნავენ, რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინიტროს ინიციატივით, "ალექსანდერ-ჰაუსში" სერგეი შოიგუს სტრუქტურა სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო პროცესის 10 წლისთავის შემაჯამებელ "მრგვალ მაგიდას " მართავდა.

■ ■ ■

არ შეიძლებოდა, მოსკოვში აღუნიშნავი დარჩენოდათ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 10 წლისთავი, თუმცა ამის თავი და ხალისი არავის ჰქონდა და, სიმართლე რომ ითქვას, მოსკოვში ქართველ დიპლომატებს ამ დღეებში სულაც არ ეზეიმებათ.

რა პერსპექტივა ელოდება ორი ქვეყნის დიპლომატიურ თანაცხოვრებას იმ გაუთავებელი ბრალდებების ფონზე, რასაც, ბოლო დროს, რუსეთის ხელისუფლება საგარეო საქმეთა სამინისტროს პირით აფრქვევს?

ბუნებრივია, ეს შეკითხვა აწვალებდა მოსკოვში საქართველოს საელჩოში გაშლილ ფურშეტზე მოსულ მცირერიცხოვან პუბლიკას.

რუსეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების პირველი პირების მაგივრად, საქართველოს საელჩოში მათი ადიუტანტების მცირე რაოდენობა გამოცხადდა, თუ არ ჩავთვლით ვალერი ლოშჩინინს - აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში პუტინის სპეცნარმომადგენელს. ჟირინოსკიც კი არ მოვიდა, რომელიც მოსკოველი ქართველების გარემოში ჭიქის გაწკარუნების შანსს ხელიდან არ უშვებს.

ასეა თუ ისე, მოსკოვში მაინც აღინიშნა საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ათი წელი.

საელჩოში, ამ დღეებში, ქართველი ეკონომისტი ექსპერტების სიმრავლეა. რუსი და ქართველი დიპლომატები, მთელი რიგი პროცესების პოლიტიკურ დარეგულირებას, სერიოზულად უკავშირებენ სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური პროექტების განხორციელებას, თუმცა...

- რომელ დიპლომატიურ ურთიერთობებზე შეიძლება საუბარი, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგებით, ერთი ხელის დაკვრით სპობს და ანადგურებს დღემდე ჩვენს ურთიერთობაში დაგროვილ რესურსს, - ამბობს ქართველების სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტი **დავით ბერიტაშვილი.**

ვალერი ლოშჩინინი კი მას არ ეთანხმება:

-მაშინ, როცა საუბარია რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების პერსპექტივაზე, არსებობს იმის დიდი იმედი, რომ ჩვენს დიალოგს წინ კონსტრუქციული გზა ელოდება, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში არსებული ხარვეზები, მხოლოდ ურთიერკომპრომისებით გადაწყდება, რისი დიდი იმედიც, მე პირადად, მაქვს. გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს.

ასე რომ, ალბათ, სახელმწიფოებრივი ურთიერთობების გამოსწორების უკანასკნელ იმედად ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება დარჩა. 5 ივლისს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ილია კლებანოვი და გერმან გრეფი მოსკოვში ორი ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ოქმს მოაწერენ ხელს.

თავი და თავი პრობლემისა არის ის, თუ ვინაა საქართველოში ხელისუფლების წყარო

ბადრი კოპლატაძე

ვინც ბოლო ათი დღის განმავლობაში, სხვადასხვა არხების საინფორმაციო გამოშვებებს თვალს ადევნებდა, ადვილად შეამჩნევდა ერთ მნიშვნელოვან მომენტს - ფაქტობრივად, დღე არ გასულა, რომელიმე რაიონში პრეზიდენტის დანიშნული ახალი გამგებლით უკმაყოფილო მოსახლეობას პიკეტი ან მიტინგი არ მოეწყო. ასეთი გამოსვლების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა - სამცხე-ჯავახეთიდან დაწყებული, ყაზბეგით დამთავრებული. ამიტომაც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს მოვლენები უკვე გარკვეული პროცესის სახეს იღებს, რომლის შედეგები შეიძლება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდეს.

თავი და თავი პრობლემისა არის ის, თუ ვინ არის საქართველოში ხელისუფლების წყარო. ჩვენი კონსტიტუციით, პასუხი ასეთია: ხალხი. რეალურად კი სიტუაცია უცვლელია. ხელისუფლების წყაროდ საქართველოში კვლავ რჩება პრეზიდენტი და სახელმწიფო კანცელარია.

თავის დროზე ადგილობრივი თვითმმართველობის თუ მმართველობის კანონი დიდი პოლიტიკური გარიგებების საგანი იყო. უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ უფრო შეცდა და ვინ - არა. დღეს უკვე იმ რეალობაზე უნდა ვიფიქროთ, რაც კანონმა მოიტანა. შედეგი კი საკმაოდ ადვილი დასანახია: ფაქტობრივად, ძალიან ბევრ რაიონში მოსახლეობა უკმაყოფილოა, რადგანაც გამგებლებად ინიშნებიან არა ის ადამიანები, ვისაც ხალხის მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს, არამედ ისინი, ვისაც სახელმწიფო კანცელარიაში მიესვლება. ბუნებრივია, მოსახლეობა ქუჩაში გამოვა, როდესაც ზოგიერთ რაიონში, რომელიმე პარტიას საკრებულოში, დავუშვათ, 9-დან 6 ადგილი აქვს და რაიონის გამგებლად სულ სხვა პარტიის წარმომადგენელი ინიშნება. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გამგებლების დანიშვნის სუბიექტური ფაქტორი არანაირად არ წაადგებოდა რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

1998 წელს მიღებული კანონის უფრო ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა, თუ მართვის ბერკეტების თავმოყრას და განაწილებას საკრებულოები მოახდენდნენ. ანუ საკრებულო თავადვე აირჩევდა გამგებელს, რისი ასევე ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა უკვე შემდგომში პირდაპირი არჩევნების ინსტიტუტზე გადასვლა, რაც სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. მაგრამ შედეგი, რაც დღეს გვაქვს, სრულიად განსხვავებულია.

თუ რეგიონებში ეს მიდგომები ასეთ ფორმას იღებს, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რა მოხდება ცენტრალურ დონეზე. მით უფრო, რომ დღეს არსებული პოლიტიკური სისტემა საკმაოდ ხისტია და სრულიად არ ამცირებს შიდა დაპირისპირებების საფრთხეს. თავის დროზე თვითონ მოქალაქეთა კავშირმაც კი ვერ შეძლო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მმართველ პარტიად გადაქცევა. მაშინ კონფლიქტმა კულუარული სახე მიიღო და პრესის ფურცლებს არ გასცილებელია. ახლა კი თვისობრივად განსხვავებული სიტუაციაა და 2003 წლის არჩევნებში გამარჯვებული პარტია ან პარტიათა ჯგუფი, ალბათ, არანაირად არ შეეგუება უბრალო სტატისტის როლს, რომელშიც მათ დღევანდელი სისტემა აყენებს (ამის დადასტურებაა ისიც, რომ ზოგიერთი დეპუტატი სახელმწიფო მინისტრს მარტო იმისთვის უხდიდა მადლობას, რომ პარლამენტში მივიდა და ჩავარდნილ ბიუჯეტზე ანგარიში ჩააბარა). პოლიტიკური ძალები გამოვლენ სრულიად ელემენტარული მოთხოვნით - მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების შედეგებმა უნდა განსაზღვროს, ვინ უნდა იყოს მთავრობაში. მით უფრო, რომ, თუ ადამიანი ვიღაცას ირჩევს, პასუხისმგებლობას საქმის გაკეთებაზეც და ვერგაკეთებაზეც მასვე აკისრებს.

დღეს საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრები შედარებით მიჩუმდა, თუმცა, ოფიციალურად პარლამენტში კვლავ არის წარდგენილი პრეზიდენტის საკონსტიტუციო ინიციატივა მინისტრთა კაბინეტის შესახებ. ამ პროექტის მიხედვით, პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი თავისი შეხედულებისამებრ არჩევს და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ პარლამენტი ორჯერ ჩააგდებს პრემიერის კანდიდატურას, პრეზიდენტს უკვე საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნაც შეუძლია. ფაქტობრივად, პარლამენტს ერთმევა იმის საშუალება, რომ თვითონ, ძალთა გადანაწილების მიხედვით, შექმნას მთავრობა.

ძნელი არ არის პროგნოზირება იმისა, როგორი იქნება არჩევნებში გამარჯვებული პარტიების პოზიცია, თუ იგივე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა სხვა პოლიტიკური ორიენტაციის იქნება. აქედანვე სჩანს ის კონფლიქტი, რომელმაც შეიძლება, უკვე თბილისის ქუჩებში გადაინაცვლოს. სიტუაციას გაამწვავებს ისიც, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ რაღაც ერთი წელი იქნება დარჩენილი. ასეთი არეულობა და დაპირისპრება კი ხელ-ფეხს გაუხსნის იმათ, ვის ინტერესშიც სულაც არ არის 2005 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა. ამიტომაც, თუ ხელისუფლება და პოლიტიკური ძალები დაინტერესებულნი არიან ამ საფრთხის აცილებით, უკვე დღესვე უნდა დაიწყოს იმ მოდელზე მუშაობა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს შიდა რისკებს.

თავის დროზე მინისტრთა კაბინეტის საკითხი ვიწრო პარტიულ ინტერესებს შეეწირა. დღეს პოლიტიკური განლაგება რადიკალურადაა შეცვლილი. პარლამენტში ძალთა ასეთი გადანაწილება ამ კუთხით შეიძლება საკმაოდ მომგებიანიც კი იყოს, რადგანც საკონსტიტუციო შესწორებების მიღება პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე ვერ მოხერხდება. ეს კი, თავის მხრივ, იძლევა იმის საშუალებას, რომ მივიღოთ რეალურად გაწონასწორებული და არავისზე მორგებული მოდელი.

ბუნებრივია, როგორც ყოველთვის, საკმაოდ მნიშვნელოვანი, თუ გადამწყვეტი არა, იქნება პრეზიდენტ შევარდნაძის პოზიცია. როგორც პრეზიდენტი ამბობს, ის არ აპირებს გადაუხვიოს დღევანდელ კანონმდებლობას და მესამედ იყაროს კენჭი. შევარდნაძის მხრიდან ამ თემის კიდევ ერთხელ და ახლა მაინც რეალურად წამოწევა, ქვეყანას და თვითონ შევარდნაძესაც ბევრ გაუთვლელ პროცესს ააცილებდა თავიდან. ამიტომაც რეალური უფლებებით აღჭურვილი პრემიერ- მინისტრი, რომელიც 2003 წელს არჩევნების შედეგების მიხედვით დაინიშნება, შევარდნაძის არც გრძელვადიან და არც ლოკალურ ინტერესებს არ უნდა ეწინააღმდეგობოდეს.

P.S. *რა თქმა უნდა, ეს ბოლო შეფასება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართებული, თუ პრეზიდენტი პოსტიდან წასვლის წინ მაინც იმოქმედებს ისე, როგორც სახელმწიფოსთვის მოღვაწე და ქვეყანაზე მოფიქრალი ადამიანი.*

ევრაზიის ფონდი და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" იწვევენ რეგიონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს ანგიკორუფციულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსი ჩაბარდება მხოლოდ 6 ქალაქში, სადაც ჩაბარდება კონსულტაცია-სემინარები:

ახალციხე: 8 ივლისი, 12:00, ოფიცერთა სახლი, შალვა ახალციხელის 2, მე-3-ე სართული
გორი: 8 ივლისი, 17:00, საზოგადოება „ბილიკის" ოფისი, ერთობის ქ. 25
ოზურგეთი: 11 ივლისი, 14:30, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, ჭავჭავაძის ქ. 3
ზუგდიდი: ივლისი, 16:00, ტვ „ოდიში", დ. აღმაშენებლის ქ. 17
თბილისი: 11 ივლისი, 13:00, NGO House, ნერეთლის 98,

OSGF
The Eurasia Foundation

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ევრაზიის ფონდი, კავსაძის ქ. 3, ტელ: 223264 ან 253942/43
azhvania@eurasia.org.ge

ნომრის სტუმარი

მთავარია, სწორად გავიაზროთ, რაც ბიბლიაში წერია

მეუფე ნიკოლოზი – დაიბადა 1961 წელს, თბილისში. სწავლობდა 55-ე და კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, თბილისის და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფიზიკის ფაკულტეტზე, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მულტიპლიკაციის სპეციალობით. ამავე პერიოდში მუშაობდა გაერთიანება "ქართული ფილმის" მულტგაერთიანებაში და 150-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად. 1987 წელს ჩაირიცხა თბილისის ახლადდაარსებულ სასულიერო აკადემიაში, სწავლის პერიოდში ეკურთხა დიაკვნად, შემდეგ – მღვდლად. იყო სვეტიცხოვლის და წყნეთის სიონის ტაძრების მღვდელი, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვარი, მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი. 1996 წელს ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად - ახალციხის ეპარქიის ეპისკოპოსად, ბოდბელ ეპისკოპოსად; 2001 წელს დანიშნეს მთავარეპისკოპოსად ცაგერისა და სვანეთის ეპარქიაში.

მაია ჭალაგანიძე

ერთხელ მეუფე ეზოს ბავშვებს ესაუბრებოდა. რელიგიაზე, რაღა თქმა უნდა. მოძღვრავდა... ეს ასე უნდა იყოს, ის – ისეო... თოთხმეტი წლის ბიჭი წამომდგარა და უკითხავს, ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ, დედას რომ შემაგინებენ, უნდა გავარტყა თუ არაო...

რა უპასუხეთ, საინტერესოა...

- ვერაფერი... არ ვიცოდი... ზუსტად არც ახლა ვიცი...

■■■

მეუფეს უყვარს ბავშვებთან საუბარი – პირდაპირ სვამენ შეკითხვებსო. ძალიან გამიჭირდება, მაგრამ შევეცდები, გადავინაცვლო ბავშვობაში, მის ეზოში და შევხვდე მეუფეს...

- მოძებნეთ პასუხი ამ კითხვაზე?

- დიდხანს ვფიქრობდი. ნებისმიერ სიტუაციას და მისგან გამომდინარე პასუხს, ალბათ, ვერ განსაზღვრავ. სახარება ამაზე ზუსტ პასუხს იძლევა – ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე ლოყა უნდა მიუშვირო. აგრესიაზე აგრესიით არ უნდა უპასუხო, მაგრამ იქ მრავალი სხვადასხვა ნიუანსი არსებობს...

როცა კითხვას მისვამდა, იმ ახალგაზრდამ, ალბათ, ჩემი, სასულიერო პირის პასუხიც იცოდა და როგორც კი მე ვუპასუხებდი, ის ადამიანი ჩემზე გულს აიყრიდა. დამისვამდა მეორე შეკითხვას (თუ არ დამისვამდა, გაიფიქრებდა) – თქვენ რომ შეგაგინონ, ასე მოიქცევით? სახარება რჩევებს და გარკვეულ პრინციპებს გვთავაზობს და არა გამზადებულ რეცეპტებს. რა თქმა უნდა, აგრესიას აგრესიით არ უნდა ვუპასუხოთ. ბოროტება და უსიყვარულობა მხოლოდ სიკეთითა და სიყვარულით შეიძლება დავამარცხოთ. მაგრამ, როცა ერთი პრინციპის დანერგვას ცდილობ, მეორე არ უნდა დაარღვიო. მცნების შეუსრულებლობა ცოდვაა, მაგრამ არ არის გამორიცხული, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ არ დაარტყა, ის უარესი ცოდვა იყოს - მაგალითად, თუ გეშინია ამ ადამიანის. შეიძლება იმ შემთხვევაში დარტყმა ნაკლები ცოდვა იყოს, ვიდრე შიში.

ძალიან მოკლედ რომ ვუპასუხოთ მოზარდებს, ასე ვიტყვი: რა თქმა უნდა, არ უნდა გაარტყას, ოღონდ, თუ არაფრის ეშინია.

■■■

ეს ინტერვიუ კი პირიქით დაიწყო, ანუ მეუფე ჩვენ გვისვამდა შეკითხვებს. აინტერესებდა ყველაფერი გაზეთის შესახებ – როგორ, რატომ, რა მიზნით, რისთვის და ა.შ...

- მეუფეო, ასე რატომ დაინტერესდით გაზეთის სტრუქტურით, მიზნებით, ამოცანებით, სამზარეულოთი?

- მეცხრამეტე საუკუნეში რუსებმა ასეთი პერსონაჟი გამოიგონეს – კოზმა პრუტკოვი. ამ კოზმას სხვადასხვა გამონათქვამი ჰქონდა. მათ შორის, ერთ-ერთი - "смотри в корень" – ჩემი სისუსტეა. ყველაფერი არსობრივად მაინტერესებს.

და ასე იყო ყოველთვის. როცა ის 55-ე სკოლის მოსწავლე პაატა ფაჩუაშვილი იყო. როცა ყველა საგანს ასე არსობრივად კარგად ფლობდა, როცა მასწავლებლები ბავშვების დასაწყნარებლად მის განათლებასა და თხრობის არაჩვეულებრივ უნარს იყენებდნენ – მთელი კლასი სულგანაბული ისმენდა "შერლოკ ჰოლმსისა" თუ "განძთა კუნძულის" ამბებს.

მისი მომავალი ვერც კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურმა სკოლამ და ვერც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტმა განსაზღვრა. ფიზიკოსის დიპლომი დედას საზეიმოდ აჩუქა და თეატრალურ ინსტიტუტში მულტიპლიკაციის სწავლას შეუდგა...

...ერთხელ, დედა შვილის სულიერ მოძღვართან, მამა დავითთან (მეუფე დანიელთან) მივიდა და დახმარება სთხოვა, პაატა არ სწავლობს, ლექციებს აცდენს და დამოძღვრეთო... აი, მაშინ შეიტყო, რომ ლექციებს კი არ აცდენს, ეკლესიაში დადის და ამიერიდან სულ ივლიდა...

- 27 წლის ვიყავი და, ჩემდა სამარცხვინოდ, არავითარი წარმოდგენა არ მქონდა საეკლესიო ცხოვრებაზე. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემში, გარკვეულწილად, იდო. იმდენად, რომ მოსკოვში ცხოვრებისას (მე იქ ვსწავლობდი და საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი), ჩემს მეგობრებს ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ ჩემთან შეიძლება გულახდილი საუბარი და მეც საათობით ვუსმენდი მათ.

- თქვენ ფიზიკოსი იყავით. მართლმადიდებლობა კი ეჭვით უყურებს იმას, რომ მეცნიერები ყველაფერს ლოგიკას უმორჩილებენ და სამყაროს შექმნის თეორიას სხვაგვარად, უფრო მატერიალურად ხსნიან...

- რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ჩემი ნათქვამი, ეს მეცნიერება როგორღაც, კომერციული გახდა. ვფიქრობ, დიდი მეცნიერი ის არის, ვინც საზოგადოებრივ აზრს კარგად არგებს თავის მეცნიერულ აღმოჩენებს და არა ის, ვინც კარგად იკვლევს.

მინდოდა, საპატრიარქოში შექმნილიყო მეცნიერთა, პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც რელიგიური თვალსაზრისით განიხილავდა მეცნიერულ აღმოჩენებს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საინტერესო სამყაროს შექმნის თეორიაა, რადგან დღესდღეობით არსებულ ევოლუციის თეორიას დიდი ნაკლი აქვს – მას აქვს პრეტენზია აბსოლუტურობაზე. ის თავის თავზე ამბობს, რომ არის ჭეშმარიტი თეორია და მის გვერდით სხვა თეორიის ადგილი არ არის... ეს დამოკიდებულება მცდარია. არ ვამბობ, რომ ეს თეორია არ უნდა არსებობდეს... იარსებოს და გააკეთოს თავისი დასკვნები, მაგრამ ეს მაინც თეორიაა და თანაც, ნაკლებად ცნობილი. ყველაფერი, რაც ჩვენამდე აღწევდა, საბჭოთა პრიზმაში გარდატეხილი მოდიოდა. ვიღებდით იმ ინფორმაციას, რაც ჩვენი პოლიტიკური საიმედოობისთვის იყო აუცილებელი. მეცნიერთა ამ ჯგუფის მიზანი მთავარ შეკითხვაზე პასუხის გაცემა იქნება - როგორ არის, რომ ბიბლია სხვაგვარად ასწავლის სამყაროს შექმნის თეორიას და დღეს არსებული ინფორმაცია სულ სხვაა. ეს ორი თეორია, თითქოს, ერთმანეთს გამორიცხავს.

ჩვენ, როგორც მორწმუნე ადამიანებს, არ შეგვიძლია, ეჭვი შევიტანოთ ბიბლიაში არსებულ ახსნაში, თუმცაღა, შეგვიძლია დავეჭვდეთ საკუთარ თავში, თუ რამდენად სწორად გვესმის ის, რაც ბიბლიაში წერია.

უცხოეთში არსებობს რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ეკრიაციონიზმს, ანუ სამყაროს შექმნის მეცნიერულ თეორიას სწავლობს. საინტერესო იქნებოდა მათთან ურთიერთობაც. მართლმადიდებელი ავტორებიც არიან, ვინც სერიოზულად შეისწავლეს ეს თემა.

ჩვენი ეკლესია აბსოლუტურად გახსნილია ამ საკითხებზე სერიოზული მუშაობისთვის. ახლა ხალხს, სახელმწიფოს სხვა - ყოფითი პრობლემები აწუხებს. თანდათანობით, როცა ჩვენი ცხოვრება სტაბილური გახდება, მერე დაგვაინტერესებს, ვინ ვართ, საიდან და სად ვართ, რამდენი ხანია ვარსებობთ და სხვა.

- ორთოდოქსი მორწმუნეებისგან მსმენია, მართლმადიდებლობა კი არ უნდა მოერგოს ადამიანს, პირიქით, ადამიანი უნდა გახდეს ისეთი, როგორსაც მართმადიდებლობა ითხოვსო... და ისიც მომისმენია, მართლმადიდებლობა და რეფორმა ერთად არ არსებობსო...

- მე პირიქით ვიტყვი - მართლმადიდებლობა მუდმივ რეფორმებთან არის დაკავშირებული. გააჩნია, რას ვიგულისხმებთ სიტყვა "მართლმადიდებლობაში", სიტყვა "რეფორმაში", "მორგებაში" – ეს ყველაფერი ტერმინებია. ზოგჯერ საუბრისას ადამიანები იმასაც ვერ ეგუებიან, როცა ტერმინების განმარტებას, მათ დეფინიციას ვთხოვ.

- დღეს ძალიან ძნელია, ერმა იცხოვროს მოთმინებითა და მორჩილებით. რთულია უბრალო ადამიანს მოთხოვო, არ გაბრაზდეს, ბილწი სიტყვა არ თქვას, არ უპასუხოს შეურაცხყოფას, იმარხულოს, როცა იძულებულია იშიმშილოს. ანუ, იმის კითხვა მინდა, როგორ მოვთხოვოთ უბრალო მოკვდავს ის, რომ საბოლოოდ არ დაშორდეს ეკლესიას. ამ საუკუნის პროდუქტმა ადამიანმა?

- პრინციპულად ვერ დავეთანხმები ამ განმარტებას. მინდა, რომ მე, თქვენ, ყოველმა ადამიანმა, იმაზე კი არ იფიქროს, რაც არის, არამედ იმაზე, როგორი უნდა იყოს, თუნდაც, თითოეული ჩვენგანი ხვალ.

რაც შეეხება, ბილწსიტყვაობას. მეც ძალიან გაწაფული ვიყავი მაგ საქმეში. მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, არაჩვეულებრივად შევითვისე რუსებისგან... არა მგონია, რომ ეს ორგანული იყოს ქართული ენისა და ქართველებისთვის. ქართულში სრულებითაც არ არის ეს საჭირო. მე არც ახლა ვარ ნაკლებად ემოციური და ექსპანსიური, მაგრამ ცუდი სიტყვების გარეშეც ზუსტად გამოვხატავ ჩემს ემოციას. რაც შეეხება დანარჩენს თქვენს შეკითხვაში - მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ადამიანის ყოფითი კულტურაა და უკეთესია, რომ ეს კულტურა გაცილებით მაღალი იყოს.

- როგორ ფიქრობთ, უნდა გაიიოლოს ადამიანმა ცხოვრება თუ მუდმივად ფიქრობდეს ჩადენილ საქციელზე, ფილოსოფიურად, მიზეზშედეგობრივად უდგებოდეს ყოველ ცისმარე დღეს? როგორ გახდეს ცხოვრება იოლი?

- ვფიქრობ, რომ მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ყოველ საღამოს ან კვირაში ერთხელ მაინც უნდა გაიხსენოს განვლილი დღე. მეც ასე ვიქცეოდი (ახლა, უბრალოდ ჩაწერა აღარ მჭირდება) და ვურჩევ ყველას - ჰქონდეს უბის წიგნაკი და ჩაიწეროს, რა დააშავა, ხოლო მერე მოინანიოს. მეჩვენება, ეს ერთადერთი გზაა იმისკენ, რომ ანალიტიკურად უყურონ საკუთარ თავს. ცუდი საქციელის მიფუჩეჩება და ყურადღების მოდუნება, გამოსავალი არ არის იმიტომ, რომ ადამიანს ორი მეხსიერება აქვს – გონებისა და გულისა. გონებიდან შეიძლება ამოიგდოს, მაგრამ გულში ეს დაილექება და თავის ცუდ შედეგს მაინც გამოიღებს.

მონანიება, თითქოს, მძიმე შრომაა, მაგრამ რეალურად ათავისუფლებს ცოდვისა და მისი მძიმე შედეგისგან. ამიტომ ვურჩევ ადამიანებს, თქვან, მონანიონ და მოიშორონ, რაც აწუხებთ. ამ დროს რაღაც მისტიკური ხდება და მართლა მიეტევება. დააშავებ - თქვი, კიდევ დააშავებ - კიდევ თქვი... ეს ძალიან მძიმეა... მეშვიდეჯერ, მერვეჯერ უფრო ძნელი ხდება, თუნდაც, ყველაზე პატარა დარღვევის თქმა. თუ პრინციპულად გადაწყვეტ გაცხადებას, ეს გადაწყვეტილება გაგათავისუფლებს, განგკურნავს.

■■■

ამბავი წმინდა მამათა ცხოვრებიდან: *ძველ დროს ერთი ადამიანი იყო, რომელსაც ბერების ცხოვრება აინტერესებდა. დადიოდა, ხვდებოდა და ესაუბრებოდა ბერებს. ერთხელ უდაბნოში განდეგილს წააწყდა. აღმოჩნდა, რომ ერთი ქალაქიდან იყვნენ. ძალიან გაუხარდა განდეგილს. 50 წელი იყო, რაც თავის ქალაქს განშორებოდა და გამოკითხა ამბავი. განდეგილი იმ დროს წამოსულიყო ქალაქიდან, როცა იდევნებოდა ქრისტიანობა, ღვთისმსახურნი. გაირკვა, რომ ახლა დიდ ტაძრებს აშენებენ, მღვდლები, ეპისკოპოსი ჰყავთ. გაიხარა ბერმა. მაგრამ შეწუხებულმა აღმწერმა უთხრა, რომ ქალაქი ეპიდემიამ მოიცვა და ხალხი იხოცებოდა... ბერმა გაიოცა - მერე, მაგაზე ადვილი რა არის, მღვდლებს ელოცათ და გეშველებოდათო... ეჰ, მამაო, მღვდლის ლოცვა რას უშველისო... ბერმა თავში წაიშინა ხელი, დავარდა, ტირილი დაიწყო... როგორ, სასწაულები არ ხდებაო? თქვენ რა ქრისტიანები ხართო, იცი, რწმენა რას შვრებაო? მთას რომ უთხრა, ადგილიდან მოწყდი და ზღვაში ჩავარდი, ასეც მოხდებაო... სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა ბერს, მთამ დაიგრუხუნა და ადგილიდან დაიძრა. ბერმა – გაჩერდი, მთაო, შენ კი არ გეუბნებიო... და მთა გაჩერდა...*

- თქვენ მუდმივად რთულ უბნებზე მოღვაწეობთ... როგორ უთავსებთ ერთმანეთს ერის სინამდვილეში არსებული სირთულეების მოგვარებასა და ბერულ, განმარტოებულ, ასკეტურ ცხოვრებას. თანამედროვე ბერისთვის, ეპისკოპოსისთვის, ჩემი აზრით, ეს ძალზე რთული საკითხი უნდა იყოს... ბერის სულს ეს, ალბათ, გარკვეულ დაღს ასვამს.

- როგორც კი ბერი განდეგილ ცხოვრებას იწყებს, ამბობენ, რომ ძალიან მალე სასწაულებს ახდენს. ამის უფლებას ადვილად არ აძლევენ. განდეგილად ბერი ძალიან დიდი გამოცდის შემდეგ შეიძლება გაუშვან და რატომ, იცით? თუ ბერს დიდი გამოცდილება არ აქვს, შეიძლება ძალიან მალე ჩავარდეს ხიბლში და დაიღუპოს – ეს დიდი განსაცდელია. ბერობაც ძალიან ძნელია დღეს და მღვდელმთავრობაც, ეპისკოპოსი ბერია, ერში ცხოვრობს და ბევრ პრობლემას აწყდება.

- სხვა სარწმუნოება და სექტები. რითი ხსნით იმას, რომ ზოგჯერ მართლმადიდებელი ქრისტიანი იცვლის სარწმუნოებას? რა დამოკიდებულება აქვს ქართულ, მართლმადიდებელ ეკლესიას მათ მიმართ? არიან თუ არა ისინი მართლაც უმცირესობაში და ჩაგრულნი? დღეს ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანაში ხომ არა მხოლოდ რელიგიურ უმცირესობათა და პატიმართა უფლებები ირღვევა...

- ჯერ რელიგიურ უმცირესობებზე მოგახსენებთ: თუ ისევ მათი უფლებების დარღვევაში არ ჩამეთვლება, ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ეს არარელიგიური მოსაზრებით ხდება. სექტანტობა დღეს არარელიგიური გამოხატულებაა. ჩვენი მთავარი პრობლემა მცირედმორწმუნეობა, არარელიგიურობაა.

ქაშუეთის ტაძარში მღვდელი ვიყავი. ქვემოთ პატარა ტაძარია, იქ ნაკლები ხალხია ხოლმე. ერთხელ ვწირავდი. შუა წირვაზე ახალგაზრდა შემოვიდა და ბოლომდე დარჩა. ავსტრიელი აღმოჩნდა. წირვა რომ დამთავრდა, შემომითვალა, გასაუბრება მინდაო. დავთანხმდი. მკითხა, როგორ ფიქრობთ, 2 საათს რომ წირავთ, ამდენ ხანს თანამედროვე ადამიანი მოვა და გაგიჩერდებათო? ყოველ კვირას ეკლესიაში დადიოდა, მოძღვარი ჰყავდა, მასთან ერთად ჩამოჯდებოდა ხოლმე კიბეებზე, გიტარაზე უკრავდა, მღეროდა და ეს ძალიან მოსწონდა... დავინტერესდი ამ ადამიანით, დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს, იცით, რა გაირკვა?! მისთვის რწმენა და რელიგიური ცხოვრება კი არა, ბიზნესი იდგა პირველ ადგილზე. კვირაობით კი ტაძარში იმიტომ დადიოდა, რომ თავისი ბიზნესი ამის საშუალებას აძლევდა...

დღეს შეიძლება ადამიანმა იცხოვროს თანამედროვე ცხოვრებით და რელიგიურობა იყოს მისთვის პირველი. ღრმად მწამს იმისი, რომ, ვინც უნდა იყოს, სადაც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, თუ გულწრფელად სურს, რომ მივიდეს ღმერთთან, მჯერა, ამის საშუალებას ღმერთი მისცემს და ბოლოს ჩვენი გზები გადაიკვეთება.

- არტისტები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, თქვენთან ურთიერთობისას იცვლებიან? არიან გულწრფელნი?

- მრევლთან, ვისთანაც სიღრმისეული ურთიერთობა მაქვს, არა მხოლოდ პიროვნული დამოკიდებულებები იცვლება, არამედ, საოცრებები ხდება, დიდი პრობლემები გვარდება მათ გარშემო, როდესაც თითქოს ამისი არავითარი იმედი არ არის და გამოსავალი არ ჩანს. ჩემთან მოდის ადამიანი, აქვს უამრავი ვალი, გაყიდა ყველაფერი, მევალეები კი ახრჩობენ... ის შველას მთხოვს. მე კი უცნაურ რამეს ვეუბნები - იმარხულოს, აღსარება თქვას, ეზიაროს და ყველაფერი კარგად იქნება. როცა ამას ვეუბნები, არ ვატყუებ, რადგან ვიცი, რომ მისი ტრაგედია არასწორი ნაბიჯებია. მისი მიზეზშედეგობრივი აზროვნება არასწორად არის ჩამოყალიბებული. როცა ვეუბნები, რომ ეს საკითხი მოაგვაროს, ვგულისხმობ, უნდა შეწყვიტოს შეცდომების დაშვება...

ჩვენ ხომ არ ვკურნავთ, უფალი კურნავს. როცა ადამიანი მოდის და 150 000 დოლარი აქვს ვალი, მე შემიძლია ვუთხრა, რატომ ჩავარდა ამ დღეში. მან კი უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა. მე დიაგნოზს დავუსვამ... ადრე თუ გვიან აუცილებლად გათავისუფლდება. მჯერა, რომ ღმერთი არსებობს და თუ არსებობს, ის კეთილია. ღმერთს შეუძლებელი შეუძლია...

- რას იტყვით ძველ და ახალ სტილზე... საერო და საეკლესიო შობა-ახალ წელიწადზე? რატომ არსებობს ეს განსხვავება?

-ჩვენ, პრაქტიკულად, ახალ სტილზე ვართ. ნებისმიერ მღვდელს ჰკითხეთ, დღეს რა რიცხვია... ყველა გეტყვით, რომ დღეს 3 ივლისია, არავინ გეტყვით, რომ დღეს 20 ივნისია. ძველი სტილი საათზე მაქვს დაფიქსირებული, ისიც იმიტომ, რომ ნათლობის საბუთების შევსებისას რეალური დრო ვაჩვენო. ყოფითი თვალსაზრისით, ახალ სტილზე ვართ. ახალი სტილის ყველაზე დიდი მომხრეებიც კი არ არიან წინააღმდეგი, რომ მათი შვილის ნათლობის თარიღი ძველით იყოს. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა იწყება ახალ წელს, რადგან მარხვის დარღვევის ცდუნების წინაშე დგება ადამიანი. ის მაინც არ იმარხულებს, სტილიც რომ შეიცვალოს.

თუ საღვთისმეტყველო კუთხით შევხედავთ, ეს არ არის დოგმატური საკითხი.

მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი გადასულია ახალ სტილზე. მე რომ ბერძნებთან მოვხვდე შობას ან ახალ წელს, სადაც ჩვენზე ადრე აღინიშნება ეს დღესასწაული, არ უნდა მივიღო მონაწილეობა? რასაკვირველია, უნდა მივიღო. ეს უფრო კანონიკური ტიპის ცდომილებაა. მიგვაჩნია, რომ უფრო სწორია ახალ სტილზე ყოფნა, მაგრამ არასდროს გადავალთ ახალ სტილზე, რადგან ეს კონფლიქტის მეტს არაფერს შეგვიქმნის. ის, ვინც ითხოვს ახალ სტილზე გადასვლას, არარელიგიური ადამიანია. მრევლში არ მქონია ასეთი პრობლემები.

- მცირედმორწმუნეთ, ალბათ, სწორედ ამ მიზეზის გამო, უჭირთ ეკლესიაში მისვლა (დროის დეფიციტი, საეკლესიო წესების სიმკაცრე და ა.შ.). რას ფიქრობთ ფორმულაზე "ეკლესიაში არ დავდივარ, მაგრამ სანთელს ვანთებ, ვშრომობ, ახლობლებზე ვზრუნავ, არაფერს ვაშავებ..."

- ცოტა განვავრცოთ თქვენი კითხვა. ამბობენ, რომ პატიოსანი, მშრომელი ადამიანი ვარ, ათ მცნებას ვიცავ... კაცი არ მომიკლავს, არ ვიპარავ, არ ვმრუშობ... ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ათი მცნების შესრულება ათივეს შესრულებას ნიშნავს. უფალმა ათი მცნება დაგვიტოვა შესასრულებლად და არა ცხრა, არა შვიდი. ერთ-ერთი მცნება კი ამბობს, ექვსი დღე იშრომე და ერთი დღე უფალს მიუძღვენიო... სხვათა შორის, ეს მესამე მცნებაა, ის კი - მეშვიდე... ეს მცნებები სულაც არ არის შემთხვევით დანომრილი.

- საქართველო... - დღეს რის წინაშე დგას იგი?

- საშინელებაა, მაგრამ უმეცრების წინაშე დგას საქართველო. თუ გნებავთ, თვითონ ჩაატარეთ ექსპერიმენტი. მე ამას ვაკეთებ... საზოგადოების ნებისმიერი სეგმენტი გამოკითხეთ და ნახავთ, რამდენს აქვს წაკითხული "კაპიტან გრანტის შვილები", "შერლოკ ჰოლმსი." – იცით, როგორი ჰუმანურია, იცით, როგორი ქრისტიანული მორალია ჩადებული ამ ნაწარმოებში? მე ასე გავიზარდე... რა, არ არის ეს საჭირო? არ არის საჭირო "გრაფი მონტე კრისტო?"...

კარგით, მაშინ "მამაო ჩვენო" დააწერინეთ. გადააწერინეთ – რამდენი დაწერს სწორად. როცა სტუდენტებთან მქონდა ურთიერთობა, სამჯერ, ოთხჯერ ვუბრუნებდი გასასწორებლად.

- შვილები და თქვენი ოჯახი...

- ამ მხრივ ბედმა გამიღიმა. ოჯახი თავისთავად, ბუნებრივად შევქმენი. არ მახსოვს, რაიმე სერიოზული კონფლიქტი მქონოდა ოჯახში - ყოფილი მეუღლე მყავს მხედველობაში... არ მახსოვს ოდესმე, სადმე მარტო წავსულიყავი, ყველგან ერთად ვიყავით და ამაზე მეტად არაფერი გვიხაროდა.

ადამიანი, ზოგადად, სოციალური ცხოველია, მაგრამ ცხოველისგან სიკეთით განსხვავდება. უნდა დაინტერესდეს, საიდან აქვს ეს ყველაფერი, რამდენად უპირობოა ეს. სულ მეშინოდა, ახლა რომ შინ მივიდე და არ დამხვდნენ, ან ხანძარი, ან რაღაც ამგვარი... რა უნდა ვქნა? ყველაფერი ღვთის მოცემულია და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, აღარც იყოს. როგორღაც უნდა გამოხატო მადლიერება. ხომ არ შეიძლება, კაცი ომში არ წავიდეს იმიტომ, რომ ცოლი ჰყავს?.. მე რომ ეს ნაბიჯი არ გადამედგა, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს შინ მივსულიყავი და მის თვალებში სითბო და სიყვარული ვეღარ დამენახა...

ნელ-ნელა, ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტ დროს ვატარებდი ოჯახს გარეთ და, სანამ ამას ოფიციალურად გავაფორმებდი, პრაქტიკულად, თვეების განმავლობაში სახლში არ ვიყავი. გადაწყვეტილება ოჯახმა მიიღო. მე კი მინდოდა, მაგრამ ოჯახმა ნება მომცა, რომ წამოვსულიყავი. უპირველეს ყოვლისა, მეუღლემ და მერე - ჩემმა მშობლებმა, რომლებთანაც ჩემი ოჯახი ახლა ცხოვრობს, და, გარკვეულწილად, ბავშვებმაც.

■■■

აფხაზეთის ომის დროს მეუფე დანიელმა, მამა პავლემ და მონაზვნებმა 26 სექტემბრის საღამოს სოხუმის ახლოს ლოცვა აღავლინეს და ამ მიზეზით სოხუმის დაცემის დღეს ქალაქში არ იყვნენ...

მერე კოდორის უღელტეხილი იყო... ფეხმოტეხილი მამა პავლე ტყეში რამდენიმე დღე მარტო იყო... სახლში არაფერი იცოდნენ. ხმა დაირხა, მეუფე დანიელი და სასულიერო პირები დაიღუპნენო... ოჯახმა ჩუმად გამოიტირა... მხოლოდ მაშინ გაიღიმეს, როცა დაინახეს, როგორ ამოჰყავდა ორ კაცს კიბეზე....

- სევდა არ გიპრყობთ?

- თავიდან მიპყრობდა... მერე მივხვდი, რომ ეს სანტიმენტალობაა.

- შვილების აღსარებას ისმენთ?

სამწუხაროდ, ვეღარ ვახერხებ. ისე კი, რა თქმა უნდა... თუ აღსარების თემას შევეხებით, საიდუმლოების გაუთქმელობა მღვდლობის უმთავრესი პრინციპია...

როცა თქვენ ცოდვებს გამიმხელთ, ჩემი დამოკიდებულება არ უნდა შეიცვალოს თქვენდამი. მე ეს მხოლოდ იმიტომ მოვისმინე, რომ შეგინდოთ, იმიტომ მანდეთ თქვენი მტკივნეული ადგილი, რომ გიმკურნალოთ... ძნელი კი არის, მაგრამ შვილთანაც ასევეა...

■■■

მეუფეს უფროსმა შვილმა ანამ წლეულს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია დაამთავრა. მისი დები - სალომე და მარიამი - ამავე გიმნაზიაში სულ ხუთებზე სწავლობენ. უფროსი ქალიშვილი თან დაჰყვებოდა მამას, წმინდა ნინოს გზაზეც არაერთხელ ყოფილა, თითქმის მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვლილი.

ანა: მეუფე ჩემი მოძღვარიც არის. წერილობით ვაბარებ აღსარებას. ერთხელ დამსაჯა და არ მაზიარა. ისე კი, ძალიან მკაცრი არ არის. თვითონ მირჩევდა წიგნებს, მაძლევდა მუსიკალურ ჩანაწერებს და მეც ძალიან შემიყვარდა კლასიკური მუსიკა...

მეუფეს მამა, ბატონი გივი, მხატვარი-კერამოკოსია. ახლაც აკადემიაში ასწავლის, კათედრის პროფესორია. დედა კი, ქალბატონი მზია - ჟურნალისტიკის განყოფილების პირველი გამოშვების კურსდამთავრებულია...

ქალბატონი მზია: ახლა კი ვცხოვრობთ ეკლესიურად, მაგრამ მაშინ ამისთვის მზად არ ვიყავი. მეუფეს და - ცისია - 25 წლის იყო, ეკლესიაში რომ გადავიდა საცხოვრებლად. ახლა ჩემი ცისიკო დედა პარასკევაა, ჭიათურის დედათა მონასტრის წინამძღვარი. ძალიან გამიჭირდა ქალიშვილის გაშვება, მეუფეს მაინც ოჯახი, შვილები ჰყავდა და ეს მძიმე პერიოდი უფროსმა შვილიშვილმა გადამატანინა.... ისე კი, შვილებს ხანდახან საერო სახელებს ვეძახი... წამომცდება ხოლმე...

1980 წელს, "ლამაზი საყდრის" სარესტავრაციო სამუშაოებზე, უნივერსიტეტის სტუდენტები ერთად მოხვდნენ. იქ გაიცნო მეუფემ ნინო კანდელაკი და მალე ოჯახიც შექმნეს... მერე იყო ის, რაც ზემოთ გიამბეთ. 1996 წლის გაზაფხულზე კი მამა პავლე სვეტიცხოველში ეპისკოპოსად აკურთხეს.

ნინო: რადგან პატრიარქის კურთხევა იყო, დავემორჩილე და მივიღე, როგორც ღვთის ნება. ამან გამიადვილა მეუფეს ოჯახიდან წასვლა. ადამიანურად კი, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო. ხანდახან ახლაც ძალიან ძნელია...

თუ გახსოვთ, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როცა მეუფემ ბეთლემის გამოქვაბული აღადგინა და მყინვარწვერზე ალუმინის პატარა ტაძარი ჩადგა. იქ შობის წირვა აღავლინა, მონათა კიდეც ერთი მოხევე და თავისი ნათლობის წყალი ზურგით ატარებინა 300 მეტრის სიმაღლეზე... აი, ნათლობა ის იყო.

შარშან, ამ დროს, პატრიარქის კურთხევით არარატის მთაზე იყო, როგორც წმინდა მთაზე.

- თავისუფლება – რა არის ეს?

- თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ რაც გინდა, იმას გააკეთებ? ეს არ არის თავისუფლება. თუ იმას აკეთებ, რაც გინდა, მონობაში ხარ... რაც სწორია, ის უნდა აკეთო – აი, ეს არის თავისუფლება. პავლე მოციქული ამბობს: რაც კარგი მინდა, იმას ვერ ვაკეთებ და ცუდი - რომელიც არ მინდა - ვაკეთებო. მთავარი პრობლემა ადამიანშია. სამწუხაროდ, ჩემი ვნებებისა და მიდრეკილებებისგან არა ვარ თავისუფალი. ზოგჯერ რაღაც ჟინს, განწყობას ავყვები და ვიცი, რომ ცუდია, მაგრამ ვაკეთებ... თუ ამას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გადავიტანთ - თავისუფლება გარყვნილება არ არის. გარყვნილების უფლება არ არის. ეს, ჯობია, აკრძალული იყოს.

■■■

ერთხელ, მონასტრული ცხოვრების აყვავების ხანაში, იმ დროს, როცა ბერები ფუსფუსებდნენ მონასტრებში, ანტონ დიდს ჰკითხეს - ყოველთვის ასე იქნებაო? ანტონ დიდმა უპასუხა – დადგება დრო, როდესაც ბერები დიდ ქალაქებში დაიწყებენ ცხოვრებას (ალბათ, ჩვენ დროზე ამბობდა), მაგრამ მათ შორის ჩვენზე დიდებიც იქნებიანო. და, იცით რატომ? გაცილებით ძნელია, ცდუნების წინაშე იყო და არ ცდუნდე, ვიდრე წმინდანების გვერდით ცხოვრობდე და შენც წმინდანი იყო...

მეუფე

1996 წელი. სვეტიცხოველი. ეპისკოპოსად კურთხევა

სალომე, ანა, მარიამი

ალან პარკერი კვლავ კინემატოგრაფისტთა საბჭოშია

ცნობილი რეჟისორი ალან პარკერი კიდევ ორი წლის განმავლობაში იქნება ბრიტანეთის კინემატოგრაფისტთა საბჭოს თავმჯდომარე. პოპულარული "ევიტასა" და "შუაღამის ექსპრესის" რეჟისორმა ეს თანამდებობა 1999 წელს დაიკავა და მას შემდეგ კინოინდუსტრიის პოლიტიკასა და ინვესტიციების რეგულაციის საკითხებითაა დაკავებული. მანამდე პარკერი ბრიტანეთის კინემატოგრაფიულ ინსტიტუტს თავმჯდომარეობდა და ხშირად აკრიტიკებდა ოფიციალურ კინოორგანიზაციებს, მათ შორის, კინემატოგრაფიულ საბჭოსაც.

ალან პარკერი მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს ორ საქმეს. მისი ძირითადი საქმიანობა მაინც რეჟისურაა, საბჭოში ის ენთუზიაზმზე მუშაობს.

1999 წელს ბრიტანეთის კინემატოგრაფისტთა საბჭოს თავმჯდომარედ პარკერის დანიშვნას ყველა დიდი სიხარულით შეხვდა. ბრიტანული კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს დიდი ხანია, უნდოდათ, რომ საბჭოს სათავეში რადიკალური შეხედულებებისა და დიდი ავტორიტეტის მქონე ადამიანი მოსულიყო.

ამჟამად ბრიტანეთის კინემატოგრაფისტთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს ეროვნულ კინოსაგენტოებთან და არაერთი წინადადება აქვს ქვეყნის კინოინდუსტრიის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მარკების ახალი სერია ჰოლ მაკარტნის დიზაინით

კუნძულ მენზე 1 ივლისს, პოლ მაკარტნის დიზაინის მიხედვით, საფოსტო მარკების სერია გამოუშვეს. ლეგენდარული "ბითლზის" წევრის მიერ შექმნილმა სერიამ ბრიტანეთის დედოფლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ასეთი სამარკო სერიის გამოშვების იდეა კუნძულის საფოსტო სამსახურის უფროსს, დოტ ტილბერის მაშინ გაუჩნდა, როდესაც მოისმინა მაკარტნის გამოსვლა რადიოთი. რადიოინტერვიუში მაკარტნი თავის გატაცებაზე საუბრობდა. მუსიკოსი კარგა ხანია, დაინტერესებულია ფერწერით. მის გამოფენას, რომელიც ნიუ-იორკში მოეწყო, დიდი წარმატებაც ხვდა წილად. 2002 წლის მაისში მაკარტნის ნამუშევართა გამოფენა მის მშობლიურ ქალაქ ლივერპულშიც გაიხსნა. გამოფენის მთავარ ექსპონატს ჰიზერ მილსისადმი მიძღვნილი ნახატი წარმოადგენდა.

"მაკარტნის რადიოგამოსვლას რომ მოვუსმინე, მაშინვე ვიფიქრე, რომ შესანიშნავი იქნებოდა, თუ პოლ მაკარტნი რამდენიმე მარკას დაგვიხატავდა და წერილი გაუვგზავნე, ისიც დამთანხმდა," - განაცხადა ტილბერიმ ჟურნალისტებთან საუბარში. ნათელ ფერებში შესრულებულ მარკების კოლექციას "ცისარტყელა" შეარქვეს. კოლექცია მუსიკოსის ბავშვობისა და ახალგაზრდობის იმ მოგონებებს ასახავს, რომლებიც კუნძულთანაა დაკავშირებული.

მაკარტნის მარკების 170 ათასი კომპლექტი დაიბეჭდა. მარკების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი მუსიკოსის მეუღლის, ჰიზერ მილსის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე გადაირიცხება.

ძროხების ლონდონური აღლუმი

ცხენებს თუ არ ჩავთვლით, ლონდონის ქანდაკებებში ცხოველებს მაინცადამაინც არ გაუმართლათ. თუმცა, აქაც არის გამონაკლისები: დინოზავრები და ძროხები. დინოზავრებით ინგლისელები მხოლოდ სტივენ სპილბერგის ცნობილი ფილმის გამოსვლის მერე არ დაინტერესებულან, ამას ბროლის სასახლის არსებობაც მოწმობს.

1864 წელს, როდესაც ლონდონის სამხრეთით, სიდნემში ბროლის სასახლე გაიხსნა, მის ბაღში დინოზავრების უზარმაზარი სკულპტურები დადგეს. ეს სასახლე აქ ჰაიდ პარკიდან გადაიტანეს. 1936 წელს სასახლეში ხანძარი გაჩნდა, სასახლე დაიწვა, მაგრამ რკინის, აგურისა და თაბაშირისგან დამზადებული დინოზავრები გადარჩნენ. პარკში სულ 29 დინოზავრია, დროდადრო ამ დინოზავრებს რესტავრაციას უკეთებენ. დინოზავრების ავტორია მოქანდაკე უოტერჰაუზ ჰოკინსი. დინოზავრების შექმნაში მონაწილეობას პალეონტოლოგი რიჩარდ ოუენიც იღებდა.

ამ ზაფხულს დინოზავრებს ძროხებიც არ ჩამორჩებიან. ლონდონის მცხოვრებლები ასეულობით ძროხას შეხვდებიან. ციურიხის ერთ-ერთი კომპანიის ინიციატივით, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გაიმართება აქცია "ძროხების აღლუმი", რომელიც მიზნად ისახავს ახალი, აქამდე უცნობი მხატვრების სახელების მოძიებას. კომპანიამ მოქანდაკეებს ძროხების ესკიზები შეუკვეთა. აქციაში მონაწილეობა პროფესიონალებთან ერთად მოყვარულებსაც შეეძლოთ. ორგანიზატორების მიერ არჩეული ესკიზების მიხედვით, მხატვრები ძროხების ნატურალური ზომის ქანდაკებებს მოხატავენ და ასე მორთულ-მოკაზმულ სკულპტურებს ლონდონის სხვადასხვა ქუჩებსა თუ პარკებში დადგამენ.

ძროხების პირველი გამოფენა-აღლუმი ციურიხში გაიმართა 1998 წელს, მეორე - ჩიკაგოში, 2000 წელს ძროხები არნჰეიმის, ზალცბურგისა და ნიუ-ორკის ქუჩებშიც გამოვიდნენ. სხვათა შორის, ამერიკაში ამ გამოფენას დიდი სკანდალიც კი მოჰყვა, რადგან აღლუმის ორგანიზატორმა იურისტებმა ინიციატორთა უფლებები მიითვისეს.

უნდა ითქვას, რომ ეს აქციებს ძალიან შემოსავლიანია. ძროხების მოხატული ფიგურები ქუჩებში გამართულ აუქციონებზე იყიდება, მიღებული შემოსავლის ნაწილი კი საქველმოქმედო ფონდების ანგარიშებზე გადაირიცხება.

ლონდონში ასეთი აქციის მოწყობას ჯერ კიდევ გასულ წელს აპირებდნენ, მაგრამ პირუტყვში გავრცელებული ეპიდემიის გამო ინიციატორებმა თავი შეიკავეს.

ძროხების ფიგურების შეღებვისა თუ მხატვრული მორთულობის შექმნის მეთოდი ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა. თეთრ ტანზე, ანუ თეთრ ფონზე, მხატვრები ხატავენ ყველაფერს, რაც კი მოესურვებათ, ქალაქის პეიზაჟებსა და წიგნის თაროებს, ავტობუსების ინტერიერსა თუ აბსტრაქტულ კოლაჟებს. ხალხი აღტაცებულია, მნახველები ძროხებთან ერთად ფოტოებს იღებენ და ასეთი აქციების დროს გვარიანადაც ერთობიან. ასე რომ, მიზანი მიღწეულია.

ჯერ სიცილი და ცეკვა, შემდეგ - ფიქრი

ჯორჯ მაიკლი ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ

ჯორჯ მაიკლი შიდსით დაავადებულთა კაფეში

REUTERS

გუშინ MTV-სა და VH1-ის ეთერით ჯორჯ მაიკლის უკვე სკანდალურად ქცეული ვიდეოს პრემიერა უნდა გამართულიყო. როგორც გაირკვა, Shoot the Dog გაცილებით უფრო სენსაციურ დეტალებზეა აგებული, ვიდრე ეს კლიპის ჩვენებამდე ჩანდა.

მუსიკოსმა სიმღერაზე მუშაობა 11 სექტემბრამდე დაიწყო, მაგრამ ტერაქტების გამო ვიდეოს გამოსვლა კარგა ხნით გადაიდო. ჯორჯ მაიკლის თქმით, მისი სიმღერის მთავარი მოტივი გახდა ის, რომ პრეზიდენტი ბუში ანტი-ტერორისტულ ომში საზოგადოების აზრებსა და კონსულტაციებს ნაკლებად ითვალისწინებდა. "ისეთი გრანდიოზული მნიშვნელობის საკითხზე, როგორიც ერაყის დაბომბვაა, როგორ შეიძლება ჩვენი აზრი გამოხატო, როცა სინამდვილეში არც კი გიკითხავს, რას ვფიქრობთ?", - უკვირს მაიკლს.

ვიდეოს ერთ-ერთ ნაწილში ტონი ბლერი გემის კაპიტანია. გემს ბრიტანეთის ფორმა აქვს და აშშ-ს მიმართულებით მიცურავს, მაგრამ ბლერი ვერ ხვდება, რომ საპირისპირო სურვილის მიუხედავად, ის მაინც ევროპაზეა მიჯაჭვული. ჯორჯ მაიკლი ამ ეპიზოდის ასახსნელად აცხადებს, რომ ის შეშფოთებულია ბუშისა და ბლერის მჭიდრო ურთიერთობით. "ანტი-ამერიკელობას ნუ დამწამებთ. ეს გამორიცხულია, მე ხომ ექვსი წელია, ტეხასელი ამერიკელი მიყვარს. უბრალოდ, ჯორჯ ბუშთან განსხვავებული გრძნობები მაკავშირებს. ვიცი, რომ მარტო არა ვარ, ვინც მისი პოლიტიკის შესახებ ჩემნაირად ფიქრობს. იმედი მაქვს, ჩვენს ტონის ბუშზე დადებითი გავლენა ექნება", - დასძენს ის. ჯორჯ მაიკლი არც იმას უარყოფს, რომ მის ვიდეოს პოლიტიკური სარჩული უდევს. ავტორის განმარტებით, ხანდახან სიმღერასაც შეუძლია პოლიტიკური ვითარების შეცვლა. "ეს ვიდეო, არც მეტი, არც ნაკლები, პოლიტიკური სატირაა. იმედი მაქვს, ის მსმენელს ჯერ სიცილსა და ცეკვას მოანდომებს, შემდეგ კი – ცოტა ფიქრსაც", - აცხადებს მაიკლი.

ანიმაციურ ვიდეოში ტონი ბლერი და მისი მეუღლე, ჯორჯ ბუში, დედოფალი ელისაბედი და თეთრი სახლი "მონაწილეობენ". ერთ კადრში ჯორჯ მაიკლი და შერი ბლერი საწოლში წვანან, მეორეში – თეთრი სახლის ეზო ჩანს, სადაც ჯორჯ ბუში პუდელის ტანისა და ტონი ბლერის სახის მქონე უცნაურ არსებას ეფერება, ერთ-ერთ კადრში კი აშშ-სა და ბრიტანეთის ლიდერები ტანგოს ცეკვავენ, ბლერს ცეკვისას გაშვებული კაბა აცვია. სატირულად არის აღქმული დედოფალი ელისაბედიც, მთელი სამეფო ოჯახით.

ბუნებრივია, ვიდეოს შინაარსი სკანდალური თუ არა, საკამათოა. ჯორჯ მაიკლი უარყოფით გამოხმაურებას ელის კიდეც. შეიძლება, საქმე ისე გართულდეს, რომ "ლოს ანჯელესში პოლიციასთან შეხლა-შემოხლა ჩაის სმის უწყინარ საღამოდ მომეჩვენოს", - ასეთ პროგნოზს აკეთებს მომღერალი.

ჯერჯერობით, დაუნინგ სტრიტი მომღერლისთვის პრემიერის ჩაშხამებას არ აპირებს. პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლები კომენტარზე უარს ამბობენ. სამაგიეროდ, ხმა უკვე აიმაღლა სამაუწყებლო სტანდარტების კომისიამ. ამ უწყებამ არხი BBC ONE ვიდეოს 21 საათამდე გადაცემის გამო გააკრიტიკა, რადგან, ექსპერტების მტკიცებით, კლიპს ზედმიწევნით სექსუალური შინაარსი აქვს. კლიპის პრემიერა BBC ONE-ზე გადაცემაში Top of the Pops შედგა.

ძველი ფილმის ვიდეო-პრემიერა

დასტინ ჰოფმანი

REUTERS

Straw Dogs - ფილმი, რომელსაც გაუპატიურების რამდენიმე სცენის გამო გამოსვლისთანავე მძაფრი კრიტიკა ხვდა წილად, ამჯერად ბრიტანული კინოს ცენზურას უვნებლად გადაურჩა. კინოს კლასიფიკაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, Straw Dogs-ი ვიდეო-კასეტებზე სრული სახით გამოვა. 1971 წელს გამოშვებული ფილმს ვიდეოზე გამოსვლის უფლება მას შემდეგ მისცეს, რაც კინოს ექსპერტები ფსიქოლოგებთან კონსულტაციების შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მძაფრი სცენები მაყურებლის ფსიქიკას ზიანს არ მიაყენებდა.

რეჟისორ სემ პეკინპას ამ ნამუშევარში დასტინ ჰოფმანი და სუზენ ჯორჯი თამაშობენ.

რამდენიმე წლის წინ, Straw Dogs-ს ოჯახურ თავყრილობებზე არავინ უყურებდა. ფილმის დისტრიბუტორები კადრების ამოჭრის იდეას კატეგორიულად უარყოფდნენ. თუმცა, უკან არც კინოს საბჭო იხევდა. 1999 წელს მათ თავიანთი უარი ასე ახსნეს: "ვიდეო-კასეტის სახით გამოსული ფილმები, რომლებიც სექსუალური ძალადობის სცენებს შეიცავს, ადამიანის ფსიქიკას უფრო მეტად ვნებს, რადგან მისი გამეორებით რამდენჯერმე ნახვაა შესაძლებელი". თუმცა, რამდენიმეწლიანი ბრძოლის შემდეგ Straw Dogs დაჭრა-დაჩეხვას მაინც აცდა. მაგარი ნერვების მაყურებელი მას სრული სახით იხილავს.

საშუალოდ „საშუალო მამაკაცი„

დალი კუპრავა

როცა აღნიშნავენ, რომ საქართველოში ჯერჯერობით საშუალო ფენა ვერ წარმოიქმნა, ავიწყდებათ, რომ ქართული ხასიათი ცნება "საშუალოს" ვერ ეგუება.

აი, ბრიტანეთში კი საშუალო ფენა - ფენად, და სოციოლოგებს არც იმაზე უბრაზდებიან, საშუალო ბრიტანელი მოქალაქის ტიპზე რომ მუშაობენ.

ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის ბიურომ და მამაკაცების ჟურნალმა GQ- მ გადაწყვიტეს გაერკვიათ, თუ ვინ არის ის "საშუალო ბრიტანელი", რომელიც მიიღებდა წოდებას "მისტერ საშუალო". მრავალრიცხოვანი გამოკითხვისა და კვლევის შედეგად მიიღეს თანამედროვე ბრიტანეთის მოქალაქის ტიპიური სახე.

საშუალო ბრიტანელი მამაკაცისთვის პირველ ადგილზეა სექსი.

მამაკაცური "საბრძოლო აღჭურვილობიდან" შემდეგი ორი რამ, რის გარეშეც საშუალო ბრიტანელი საკუთარი თავის პატივისცემას დაკარგავს, წვერის გაპარსვა და წინდებია.

საშუალო ბრიტანელი მამაკაცი ცხოვრების 3 500 საათს, ანუ 144 დღე-ღამეს პარსვას ანდომებს. ეს დრო რომ სხვა საქმიანობისთვის მოეხმარა, რვამეტრიანი წვერით, ყარაბას ბარაბასი იქნებოდა.

რაც შეეხება წინდებს, საშუალო ბრიტანელს, საშუალოდ 22 წყვილი აქვს. ამჯერად, უკვე არა მთელი ცხოვრების მანძილზე, არამედ გამოკითხვის მომენტში. მკვლევარები წინდების რაოდენობამ ეჭვში ჩააგდო და გადაწყვიტეს, რომ მისტერ საშუალოს ორჯერ მეტი წინდა აქვს, მაგრამ ნახევარი მენყვილის გარეშეა.

წინდების თემას თუ მოვწყდებით, მაგრამ კვლავ ტუალეტის გარშემო ვიტრიალებთ, მაშინ იმასაც გავიგებთ, რომ საშუალო ბრიტანელს დროის სატარებელი, ე.წ. საგარეო 15 პიჯაკ-ქურთუკი აქვს, მაგრამ ამავე დანიშნულების მხოლოდ ექვს შარვალს ფლობს. სტატისტიკას მიზეზი არ აინტერესებს.

მოვრჩეთ ბრიტანელი კაცის აღკაზმულობაზე "ღადაობას", მით უმეტეს რომ ჯერომ ჯერომი ამას ჩვენზე უკეთ ახერხებს, და გადავიდეთ სხვა მონაცემებზე, კერძოდ, ზომა-წონაზე. "იგი" სიმაღლით 177 სანტიმეტრია, 35 წლისაა და ზედმეტი წონის პრობლემა აშკარად აქვს. ზომა-წონის სხვა მონაცემებს სტატისტიკა არ გვაწვდის.

ზნეობრივად აღვირახსნილმა საუკუნემ მორალურად არ დასცა საშუალო ბრიტანელი და, როგორც სტატისტიკა ამაყად გვამცნობს, ის აუცილებლად ცოლიანია. ქორწინდებიან, დაახლოებით, ოცდაათი წლის ასაკში, ერთი წლის შემდეგ ჰყავთ შვილი, მაგრამ აღიარებენ, რომ დაოჯახება სანანებლად რჩებათ.

ახალგაზრდობის გახსენებისას, იგონებენ, რომ 17 წლის ასაკში 8 პარტნიორი ჰყავდათ გამოცვლილი და სულაც არ იყო სავალდებულო, ყველა მათგანი ქალი ყოფილიყო. 35 წლის მორალური ბრიტანელი ერთი პარტნიორის ამარა რჩება და თან, ხოშდაკარგული.

სამაგიეროდ, ის დიდი მოგზაურია - ძირითადად, საკუთარი ავტომობილით. წელიწადში საშუალოდ 15 000 კილომეტრს სერავს, თუმცა, ავტომობილი მის საშუალო მისწრაფებებს განეკუთვნება.

მოგზაურობის გარდა, ერთი სამწუხარო სისუსტეც ჰქონიათ: შესაბამისი რანგის სუსტ სქესზე სამჯერ უფრო მეტად მიისწრაფიან თვითმკვლელობისკენ.

და სიცოცხლის ბოლოს მათი უკანასკნელი სურვილი აუცილებლად დიდი სტეიკი იქნება, კარგად გამომშრალი ან წვნიანი, გააჩნია საშუალო გემოვნებას.

გია გელეშვილისა და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

ნაზი ფერადი ჯვრები
8-07
www.online.ge

ლიანა ისაკაძე ახალ ფესტივალს გვიძღვნის

მომავალ წელს „ხელოვნების ზეიმს„ პიერ კარდენი უმასპინძლებს

ნანა კობაიძე

მაშინ, როცა თბილისში ჯერ კიდევ "მძვინვარებს" ჯაზის საერთაშორისო ფესტივალი, გვინდა მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთ კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლის შესახებ ვაუწყოთ - 13-დან 27 ივლისის ჩათვლით ბორჯომი ლიანა ისაკაძესა და მის მიერ დაარსებულ "ხელოვნების ზეიმს" უმასპინძლებს.

მათ, ვინც ავადსახსენებელი კომუნისტების, ბევრისთვის ტკბილადმოსაგონარ, დროს მოესწრნენ, ალბათ, არ დავიწყებიათ ბიჭვინთის მუსიკალური ფესტივალი "ღამის სერენადები", რომელიც ძალზე პოპულარული იყო როგორც მაშინდელ საბჭოთა კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იყო ბევრი კარგი მუსიკა, პროფესიონალიზმი, საინტერესო სახეები, ახალი ნაცნობები, ლამაზი საღამოები... თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად დასრულდა, რომ ამ ფესტივალის სულისჩამდგმელი ლიანა ისაკაძე, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა. სწორედ "ღამის სერენადების" გახსნის დღეს დაიწყო ის ავადსახსენებელი ომი, რომლის კანონების თანახმადაც მუზები სდუმან. ბიჭვინთის ფესტივალიც დადუმდა, თუმცა, ქალბატონ ლიანას ამ ათი წლის განმავლობაში მისი განახლების სურვილი ყოველთვის ჰქონდა. გერმანიაში ყოფნისას დააარსა კიდეც ფესტივალი ანალოგიური სახელწოდებით, რომელიც რამდენიმე წელიწადს ტარდებოდა. ბოლოს მაინც იმ გრძნობამ იმძლავრა, სისხლის ყივილს რომ უწოდებენ. რაღა გერმანელები ვასიამოვნო, საქართველოში განვაახლებ "ღამის სერენადებსო", უფიქრია ერთ მშვენიერ დღეს და ადგილიც შეურჩევია – ბორჯომი. ოთხი წლის წინათ ეს იდეა ქართველებს გაუზიარა. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი კარგად იყო და ფესტივალის გამართვას ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ორჯერ ჩაიშალა. წელს, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა.

ლიანა ისაკაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბორჯომი-დიტცენბახის პირველი საერთაშორისო ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი" - ასე ეწოდება ოფიციალურად ამ ფესტივალს. სად ბორჯომი და სად დიტცენბახიო, – იკითხავს მკითხველი. საქმე ის არის, რომ ლიანა ისაკაძემ ეს ფესტივალი უკვე გამართა გერმანიის ერთ პატარა ქალაქ დიტცენბახში. თუმცა, გერმანულისგან განსხვავებით, ქართული "ნაწილი" საკმაოდ ფართომასშტაბურია. პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, მუსიკას ენიჭება. გარდა ამისა, ლიანა ისაკაძის სურვილით, წარმოდგენილი იქნება ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრი – კინო, მუსიკა, თეატრი, პოეზია, მხატვრობა. წელს მხოლოდ ქართველები მიიღებენ მონაწილეობას, მომავალ წელს კი უცხოელთა ჩამოყვანასაც ვარაუდობს. რაც შეეხება მუსიკოს-შემსრულებლებს, ლიანა ისაკაძის თქმით, ფესტივალზე ჩამოვა 15 ქვეყნის ასამდე მუსიკოსი. მათ შორის იქნებიან ცნობილი ფრანგი პიანისტი გაბრიელ ტაკინო, იტალიელი სოპრანო ლუიზა კასტელანი, გერმანელი დირიჟორი იუსუს ფრანცი, რომლის სახელსაც უკავშირდება თავის დროზე საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის გამგზავრება და დაფუძნება გერმანიაში. ფესტივალის მონაწილეთაგან ლიანა ისაკაძემ გამოყო ცნობილი მევიოლინე, დავით ოისტრახის ერთ-ერთი პირველი მოწაფე და ტრადიციების გამგრძელებელი ვიქტორ პიკაიზენი, რომელიც ქართველი სტუდენტებისთვის მასტერ-კლასებს გამართავს (თუმცა, არა მხოლოდ მათთვის – პიკაიზენის მასტერ-კლასზე დასასწრებად სტუდენტები თურმე იაპონიიდანაც ჩამოდიან).

ლიანა ისაკაძის თქმით, ფესტივალზე საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმობათ ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლებს. "ხელოვნების ზეიმზე" ორი მარათონი გაიმართება, რომელშიც სახელგანთქმულ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობას ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსებიც მიიღებენ. ქალბატონ ლიანას თქმით, ეს მათთვის დიდი სკოლა და სტიმული უნდა იყოს. ერთ-ერთ მარათონზე შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა ფონდში.

ფესტივალი ბორჯომის კომპოზიტორთა სახლის დარბაზში გაიმართება, რომელიც 500-მდე მსმენელს იტევს. იმის გამო, რომ ბორჯომში წამსვლელთა რაოდენობა გაცილებით მეტია, გამოითქვა მოსაზრება, მისი ღია ცის ქვეშ გადატანის შესახებ, თუმცა ფესტივალის გენერალურმა სპონსორმა, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ გულღიად დაპატიჟა ყველა – დარბაზში შევიჭყლიტებით და გაცილებით მეტი დავეტევითო. შეჭყლეტის რა მოგახსენოთ, მაგრამ კონცერტებზე ადამიანურად დასწრების მსურველთ რუსთაველის თეატრის სალაროებში საკმაოდ იაფფასიანი (5-დან 10ლარამდე) ბილეთების შეძენა შეუძლიათ.

გახდება თუ არა სამომავლოდ "ხელოვნების ზეიმი" ტრადიციული, იმაზეა დამოკიდებული, როგორ ჩატარდება წლევანდელი ფესტივალი. ლიანა ისაკაძის თქმით, მომავალ წელს იგი გერმანიის ნაცვლად საფრანგეთში გაიმართება, და, იცით, სად? ნიცას მახლობლად არის ერთი ულამაზესი ადგილი – თეუ, სადაც პარფიუმერიის კორიფეები და ცნობილი მწერლები ცხოვრობენ. სწორედ აქ აქვს ულამაზესი სახლი პიერ კარდენს, ამოტრიალებულ ჭურებს რომ ჰგავს ფორმით. ფრანგი მოდელიერის სახლის სცენა მომავალ წელს ლიანა ისაკაძესა და მის ფესტივალს დაეთმობა. თუმცა, მანამდე დიდი დროა. ჯერ კი წინ ბორჯომი და მისი "ხელოვნების ზეიმი" გველოდება.

24-ე ბლინი პირველივით კუტია

მოსკოვის 24-ე კინოფესტივალის შედეგები

ოლეგ მენშიკოვი გრან-პრის გადასცემს ვიტორიო ტავიანის

ИТАР-ТАСС

გიორგი გვახარია

"Фестиваль, блин!" - ამაყად უთქვამს ნიკიტა მიხალკოვს მოსკოვის 24-ე საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის ცერემონიალზე, როცა კინოთეატრ «პუშკინსკის» დიდ დარბაზში ყველაფერი არეულა: ჟიურის თავმჯდომარეს, ჩინგიზ აიტმატოვს «შპარგალკა» დაუკარგავს და დავიწყებია, ვის უნდა გადასცეს პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, გაკვირვებულ ჟაკლინ ბისეს კი პირდაპირ განუცხადებია სცენიდან «არ მესმის, რა ხდებაო».

ამის შემდეგ მიკროფონი მიხალკოვს ჩაუგდია ხელში. მოსკოვის კინოფორუმის დირექტორმა ჯერ იმით გაიმართლა თავი, რომ «პირველი პური კუტია», მერე კი დაუმატა «რას დაწერენ ხვალ ჟურნალისტები, - ამას არა აქვს მნიშვნელობა, ტელევიზორში მაინც ნორმალურად აისახება ყველაფერიო»

მიხალკოვმა ყველაფერი ზუსტად იწინასწარმეტყველა. რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიამ, რა თქმა უნდა, «ამოჭრა» უხერხული სცენები, პრესამ კი დეტალურად აღწერა აურზაური, რომელსაც ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე ჰქონდა ადგილი. თუმცა, ყველა გაზეთმა - არა; რუსეთის ტელევიზია და «პატრიოტული გაზეთები» მოსკოვის კინოფორუმს ხომ ფესტივალის გახსნის დღიდან აქებდნენ, ბეჭდავდნენ ინტერვიუს მიხალკოვთან, რომელიც ისევე, როგორც ზამთრის ოლიმპიადის დროს (იგი ფიგურისტთა სკანდალური შეჯიბრის კომენტატორადაც კი მოგვევლინა), ამტკიცებდა, რომ რუსული კულტურა და სპორტი არნახულ აღმავლობას განიცდის...

მიხალკოვთან შეამხანაგებულმა «პატრიოტებმა» ფესტივალის დასკვნითი საღამოც, დაახლოებით, ასე აღწერეს - «ფესტივალზე გაიმარჯვა რუსულმა კულტურამ» - მთავარი პრიზით აღინიშნა ძმები ტავიანების «აღდგომა», (ლევ ტოლსტოის რომანის ეკრანიზაცია), საუკეთესო რეჟისორად კი ალექსანდრ როგოჟკინი აღიარეს. გარდა ამისა, როგოჟკინის ფილმში, «გუგული» მთავარი როლის შესრულებისთვის ფინელ მსახიობს, ვილე ჰაანსალოს «ვერცხლის წმინდა გიორგი» გადაეცა. რუსები იმითაც ამაყობდნენ, რომ წლევანდელ კონკურსში ერთდროულად სამი რუსული ფილმი იყო წარმოდგენილი.

«პატრიოტულ პრესაში» არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ მოსკოვის კინოფესტივალის კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს პაველ ტოდოროვსკიმ და თვით მიხალკოვის ღვიძლმა ძმამ, ოღონდ სხვა, უფრო «არისტოკრატული გვარით» - ანდრეი მიხალკოვ-კონჩალოვსკიმ, რომ ტავიანების ფილმის ჩვენების დროს დარბაზი ერთ საათში თითქმის სრულიად დაცარიელდა, საკონკურსო ფილმების ჩვენებებზე კი «პუშკინსკი» სანახევროდაც ძლივს ივსებოდა.

ყველაფერი ეს როცა შევიტყვე, ვიფიქრე: საბოლოოდ «დავიკმაყოფილებ» ჩემს ანტიმიხალკოვურ ვნებას-მეთქი, და დავურეკე ერთ მოსკოველ კოლეგას, ქალბატონს, რომელიც აქამდე ნიკიტა მიხალკოვთან ალიანსში არ შემიმჩნევია. «სისულელეა, ძალიან მაგარი ფესტივალი გამოვიდა, როგოჟკინის ფილმი კი ისეთი პაციფისტურია, შენ აუცილებლად მოგეწონებაო». ცოტა დავეჭვდი (და არა მარტო იმიტომ, რომ ქალბატონმა პაციფისტების არმიაში გამაწევრიანა)... და ახლა «იმეილით» ერთ გერმანელ კრიტიკოსს დავუკავშირდი, რომელიც მოსკოვის კინოფესტივალზე მეგულებოდა. პასუხი მაშინვე მივიღე: «ეს მოსკოვის ფესტივალის დასასრული იყო. კრიტიკოს ქალბატონს კი, რომელსაც შენ ელაპარაკე, მიხალკოვმა მომავალი ფესტივალის შემრჩევ კომისიაში მუშაობა შესთავაზაო».

მე, თუ გინდათ მომკალით, გერმანელების უფრო მჯერა. მითუმეტეს, რომ ნიკიტა მიხალკოვს თვლა აშკარად აერია. 24-ე ფესტივალი უბრალოდ არ შეიძლებოდა «პირველი ბლინი» ყოფილიყო. იმ «ბლინის» მსგავსი, რომელიც 1959 წელს ჩატარდა დევიზით «კინოხელოვნების ჰუმანიზმისთვის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისთვის». იმ «ბლინის» მსგავსი, რომელსაც თან ახლდა პოლიტიკური სკანდალები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ფელინის «რვანახევრის» დაჯილდოება ფესტივალის მთავარი პრიზით, რასაც ნიკიტა ხრუშჩოვის განრისხება ("дурацкая картина!"-ც და ფესტივალის დირექციის განთავისუფლება მოჰყვა.

მოსკოვის 24-ე კინოფესტივალზე საპატიო "წმინდა გიორგით" აღნიშნეს კინორეჟისორ გრიგორი ჩუხრაის დამსახურება (გარდაცვალების შემდეგ). 1963 წელს ჩუხრაი ჟიურის თავმჯდომარე იყო. კრემლის მითითების მიუხედავად, მან მაინც გარისკა და ფელინის დიდი პრიზი გადასცა.

დამოუკიდებელ რუსეთში ჩუხრაის საქციელი გმირობად შეაფასეს. მოსკოვის კინოფესტივალის დირექცია, რომელსაც "პატრიოტი" და "ანტიკომუნისტი", ნიკიტა მიხალკოვი ხელმძღვანელობს, დარწმუნებულია, რომ "საბჭოთა სინდრომისგან" დიდი ხანია განთავისუფლდა. ფელინი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო და თავისი ახალი სურათი მიხალკოვის ფესტივალზე წარმოედგინა, "წმინდა გიორგი", რა თქმა უნდა, გარანტირებული ექნებოდა. მაგრამ მსოფლიო კინო, დიდი ხანია უკვე, დიდი რეჟისორების დეფიციტს განიცდის. მსოფლიოში კინოფესტივალების რიცხვი იზრდება, თავად კინოს ხარისხი კი კატასტროფულად ეცემა და, თუ კარგი იქმნება რამე - მოსკოვში ამ კარგს არავინ გამოაგზავნის...

რაღა რჩება შესადარებლად? ფესტივალის ორგანიზაცია, პატრიოტული განცხადებები და "ხალხთა მეგობრობის" ლოზუნგი, რომელიც წლევანდელი ფესტივალის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, არ შეცვლილა. 24-ე პირველივით კუტი აღმოჩნდა.

მოკლევადიანი ვიზიტი მილიარდით შთაგონებულ ჯოჯოხეთში

სცენა სპექტაკლიდან "მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი"

იური ლოგოდინის ფოტო

დავით ბუხრიკიძე

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრმა სეზონი დიურენმატის "მეორედ მოსვლით" დაასრულა...პირველის გასაქარწყლებლად

სანდრო ახმატელის სახელობის თეატრში, რომელიც გლდანსა და მიმდებარე უბნებს ბოლო წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად შთამაგონებელი ოპუსებით ანათლებს ("ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" აკა მორჩილაძის მოთხრობების მიხედვით, ჰაროლდ პინტერის ჩვენში აუთვისებელი "ღალატი", ფრიდრიხ დიურენმატის ცნობილი პიესა "მოხუცი მანდილოსნის ვიზიტი"), კვირას ბოლო ზარი დარეკეს. სწორედ დიურენმატი აჟღერდა დასკვნით აკორდად თეატრში, რომლის სახელგანთქმული პიესა სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა დავით ანდღულაძემ "მეორედ მოსვლად ანუ ვიზიტად" მონათლა. კონკრეტულ შემთვევაში სპექტაკლის სახელწოდება გამართლებულია, რადგან აპოკალიპსისის მოტივი ფინალში თითქმის სრულყოფილად ისმის.

თეატრი, რომელიც წლების განმავლობაში მიჩვეული იყო თითქმის აუტსაიდერის სტატუსს, "მარჯანიშვილიდან" გამოძევებულმა რეჟისორმა საკუთარ შესაძლებლობაში დაარწმუნა. ეს იგრძნობა არა მხოლოდ განახლებული დარბაზისა და ფოიეს მიხედვით, რომელიც ადრე საეჭვო დანიშნულების კლუბს მოგაგონებდათ, არამედ სპექტაკლების ხარისხითაც. "ვიზიტის" ნახვის შემდეგ ნამდვილად არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ მამა-პაპისეულ ტექნოლოგიაში გამომწყვდეული, ძველი და კეთილი სანახაობა შემოგაჩეჩეს. თუმცა, დარწმუნებული ვარ სცენიური ძონძები და სიმარტივით გამართლებული სცენოგრაფიული სიღატაკე, ჩემი არ იყოს, თქვენც ყელში ამოგივიდათ. ამიტომაც, ნებისმიერი სცენური თუ კონცეფტუალური "სისუფთავე" მისასალმებელია.

ამ პროვინციულ და სტერილურ ქალაქში ყველაფერი ხაზგასმულად პრიალა და მოპირკეთებულია - დაწყებული მყიფე მეტაფორად გააზრებული, სცენის სიღრმეში გამავალი მატარებლის "ჩონჩხით" და დამთავრებული საგულდაგულოდ გაპიწკინებული თეთრი სამოსით (სცენოგრაფია - აივენგო ჭელიძე, კოსტიუმები - თემურ და ანა ნინუები). შესაძლოა, სცენურმა სივრცემ ჩეხოვური ასოციაციებიც გიკარნახოთ, რაც სულაც არ იქნება შემთხვევითი. რადგან რეჟისორს უკვე აქვს "პალატა №6" გამოცდილება. ამ სპექტაკლმა 90-იანი წლების დასაწყისში "შმაგი როლანდივით" ჩაიქროლა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე და უკვალოდ გაუჩინარდა.

დავით ანდღულაძე სცენაზე ქმნის ლითონის კონსტრუქციისა და ცინიზმთან დამეგობრებული პოეზიის უცნაურ, მაგრამ მაინც ლოგიკურ ნაზავს. ცინიზმი კლარასათვის წარსულის ამოშანთვის საუკეთესო საშუალებაა, ზუსტი და გამომწვევი. მაგრამ რვაჯერ გათხოვილი ქალის საშინელი განაჩენი – იგი მილიარდს უხდის ქალაქს ყოფილი საყვარლის მკვლელობის საფასურად - მარტოობის მორიგი ნიღაბი და განაჩენია. "მოქალაქეთა ქორო" – ასე ეწოდებათ ამ საშინელ, საცოდავ, ხარბ და ცოდვის ჩადენისათვის მუდმივად მზადყოფნაში პერსონაჟებს, რომელთათვისაც რეჟისორი კონკრეტულ დახასიათებას იმეტებს და, ცხადია, ესეც დასის ანუ ქოროს გასამხნევებლად.

კარგა ხანია ასეთი ვნებით განსაზიერებული მთავარი გმირი სცენაზე არ მინახავს. რუსთაველის თეატრიდან გლდანში მივლენილი სახალხო პრიმა, ნანა ფაჩუაშვილი ტალანტს შესაბამისი კურსითა და გულუხვობით გასცემს. მილიარდელ კლარა ცახანასიანს იგი ფერადოვანი კოსტიუმებით, გადამდები გულახდილობითა და ახალგაზრდული შემართებით თამაშობს. სხვათა შორის, 70-იან წლებში მიხეილ თუმანიშვილმა უშედეგოდ სცადა გასაღები მოერგო ამ პერსონაჟისათვის, რომელიც, ერთი შეხედვით, მარტივად ხსნის საზოგადოების უზნეო, იოლად მოსყიდვად მექანიკას. იმ სპექტაკლში კლარა ცახანასიანის როლისათვის ყოჩაღად შემართული სოფიკო ჭიაურელიც კი უხერხულად გაიჭედა ტექსტის თავისუფლებასა და ნატიფ რეჟისორულ ახირებას შორის.

დავით ანდღულაძის "ვიზიტის" გუშინდელი ანუ განახლებული ვერსია, დაახლოებით, 40 წუთით მოკლეა წინანდელ სპექტაკლზე. თუ რკინის კონსტრუქციებით მოპირკეთებული და თეთრი კოსტიუმებით კარგად "შეიარაღებული" სანახაობიდან განსაკუთრებულ "მესიჯს" ელოდებით, ეს ნიშნავს, რომ ხვდებით - რატომ გაყიდის ქალაქი ადამიანის სიცოცხლეს (თუნდაც რკინიგზის ვაგზალზე და თუნდაც მილიარდის საფასურად); გესმით - რატომ მიაჩეჩებენ გონებასუსტ ვახმისტრს გატენილ თოფს, ან რატომ გამოიტირებს წინასწარ ქალაქი წვრილმანებით მოვაჭრე ალფრედ ილს.

ოდესღაც ამ ქალაქიდან შეუბრალებლად გააგდეს ალფრედის მიერ შეცდენილი კლერხენი, რომელიც პირველივე მატარებლით გაიქცა და თავი ჰამბურგის ბორდელს შეაფარა. მაგრამ ცხოვრება ისე მარტივი არ არის, რომ ღმერთმა დამცირებულებსა და შეურაცხყოფილებს შურისძიების შანსი წაართვას. ამიტომაც ბრუნდება მშობლიურ ქალაქში ოდესღაც შეურაცხყოფილი კლერხენი, მილიარდერ ცახანასიანის ქვრივი; რათა მოკლევადიანი ვიზიტითა და მილიარდით იყიდოს დავიწყებული ჯოჯოხეთი, იყიდოს ყველა და ყველაფერი, მაგრამ დაკარგოს უკანასკნელი იმედი. სანაცვლოდ კი კაპრიზე, საკუთარ ვილაში ალფრედ ილის ფერფლი წაიღოს...

რასაკვირველია, პიესის ტექსტი საგრძნობლად არის შეცვლილი, რიგ შემთხვევაში კი - შეკვეცილი. ამის გამო სცენური ქმედების ლოგიკა ზოგჯერ გაუგებარია, ისევე, როგორც, კლარასა და ილის ურთიერთობის ფსიქოლოგიური მოტივაცია. თუმცა, ამგვარი "მსხვერპლშეწირვა" რეჟისორულ თეატრში გარდუვალია. არ შეიძლება, არ აღინიშნოს თამუნა ჯაფარიძის თარგმანიც, რომელიც უკვე დიდი ხანია დავით ანღულაძესთან წარმატებულ თანამშრომლობაშია შემჩნეული. "ვიზიტში" თითქმის მთელი დასია დაკავებული და ეს ნიშნავს, რომ თეატრი მორიგი "მოსვლისათვის" მზად არის... დავით ანდღულაძესთან ერთად.

პაექრობა ფილარმონიის სცენაზე

თბილისის ბიგ-ბენდმა ბობ მინცერს ღირსეული პარტნიორობა გაუწია

ვერა ნეფარიძე

ბობ მინცერმა თბილისის ბიგ-ბენდი საუკეთესოდ აღიარა მათ შორის, ვისთანაც გასტროლების დროს უთანამშრომლია. გივი გაჩეჩილაძის ჯაზ-ორკესტრმა ამერიკელ ვარსკვლავებთან ერთად თბილისელი მსმენელიც აღაფრთოვანა.

"ჩემს ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა თბილისის ბიგ-ბენდის დონემ; ბენდმა ფანტასტიურად იმუშავა. გამაკვირვა, რომ გივი გაჩეჩილაძემ, იმის გარდა, რაც მე გამოვაგზავნე, სხვა ნაწარმოებებიც მოამზადა და, თანაც, სმენით, დისკების მიხედვით აკეთებდნენ ყველაფერ ამას. ოც მუსიკოსს ცალ-ცალკე პარტია დაუწერა – ეს ყველაფერი ძალიან რთულია, მან უზარმაზარი შრომა ჩადო" – ქართველი კოლეგებით ნამდვილი აღფრთოვანება ჯაზის ნიუ-იორკელმა ვარსკვლავმა კონცერტის დროს გამოხატა. პირველმა ქართულ-ამერიკულმა ჯაზ-პროექტმა წარმატებით ჩაიარა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თბილისელმა მსმენელმა ფანტასტიური საორკესტრო ჯაზით ისიამოვნა. ამერიკელ მუსიკოსებს კიდევ ერთი შანსი დღეს, ღამის კლუბ "ჯოიში" მიეცემათ, მანამდე კი, ის რაც წუხელ დიდ საკონცერტო დარბაზში ხდებოდა.

თანამედროვეობის უდიდეს ჯაზშემსრულებელთან, ბობ მინცერთან ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, საქართველოში პირველად ქართულ-ამერიკული პროექტი ჯაზ-ფესტივალზე "ჯი ემ თი ჯგუფის" ხელშეწყობით განხორციელდა. წუხელ დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა ჯაზის ნიუ-იორკელმა და ქართველმა ოსტატებმა დაიპყრეს.

ბობ მინცერმა თბილისში საკუთარი ბენდის რიტმ-სექცია, ცნობილი ამერიკელი ჯაზმენები ჩამოიყვანა: არაჩვეულებრივი დრამერი, ჯონ რაილი, დაახლოებით, თხუთმეტი წელიწადია მინცერთან თანამშრომლობს; უკრავდა ვანგარდის ორკესტრში, რომელიც ტედ ჯონს მე ლუისის ბიგ-ბენდიდან დარჩა. გარკვეული პერიოდი მუსიკოსმა მაილს დევისთანაც ითანამშრომლა; უდიდესი პროფესიონალია ბასისტი ჯეი ანდერსონი, იგი, თავის მხრივ, მსოფლიოს წარმატებული და პატივსაცემი ჯაზმენების რიგებშია; ფილ მარკოვიჩი კი ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე და მინცერის უსაყვარლესი პიანისტია.

წუხანდელი კონცერტი ჯაზის ნამდვილი მოყვარულებისთვის იყო განკუთვნილი. იმის მიუხედავად, რომ მინცერს თან ახლდა საუკეთესო მუსიკოსები, ამერიკელმა სტუმარმა საკონცერტო პროგრამის ორი მესამედი თბილისელ კოლეგებს დაუთმო. ამერიკელ ვარსკვლავთან მუსიკალურ ენაზე პაექრობა, ალბათ, დიდხანს არ დაავიწყდება თბილისის ბენდის საქსოფონისტ კახა ჯაგაშვილსაც. კონცერტის ერთ-ერთი კულმინაცია სწორედ ორი საქსოფონისტის გამოსვლა იყო. ქართველ მუსიკოსებთან ერთად მინცერმა საკუთარი ბიგ-ბენდისთვის დაწერილი საკონცერტო პროგრამა შეასრულა, მათ შორის, ის ნაწარმოებები, რაშიც მუსიკოსმა შარშან ამერიკის მუსიკალური აკადემიის უმაღლესი ჯილდო, "გრემი" აიღო. უკანასკნელი პერიოდის ჩანაწერებიდან, განსაკუთრებით, შთამბეჭდავი იყო One O`clock Jump, რომელიც შესულია მინცერის ბიგ-ბენდის ქაუნთ ბეისისადმი მიძღვნილ უკანასკნელ აღბომში Homage To Count Basie. ბობ მინცერის, პროფესიონალიზმში კი, პირადად მაშინ დავრწმუნდი, როდესაც მხოლოდ საკუთარ მუსიკოსებთან ერთად Yellow Jackets-ის რეპერტუარიდან სულ სხვა, ნამდვილი ჯაზი შეასრულა.

"მუსიკოსები იმით ვართ ბედნიერები, რომ ბევრი მოგზაურობის შესაძლებლობა გვაქვს; ეს კი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ჩვენს მუსიკაზე, ვხვდებით ახალ-ახალ ხალხს, ვეცნობით უცხო კულტურებს. იმედია, რომ საქართველოში ვიზიტიც უკვალოდ არ ჩაივლის და ჩვენს შემოქმედებაში გარკვეულ სიახლეს შეიტანს", – თქვა ამერიკელმა ბასისტმა, ჯეი ანდერსონმა. თავად ბობ მინცერმა კი დაამატა: "თქვენი ბენდი ძალიან მომეწონა; ჯერ-ჯერობით კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი, ისე კი, სიამოვნებით ვითანამშრომლებდი მათთან". თბილისის ბიგ-ბენდი მინცერმა საუკეთესოდ აღიარა მათ შორის, ვისაც კი გასტროლებზე შეხვედრია და თავისი შთაბეჭდილებებიც სწორედ ქართველ მუსიკოსებს დაუკავშირა. კარგი იქნება, თუ ამერიკელ მუსიკოსს თბილისური შთაბეჭდილებები დიდხანს გაჰყვება და თბილისელ მსმენელს კიდევ ერთხელ დააფასებს. პირადად ვისურვებდი, მომდევნო ჯერზე მინცერი Yellow Jackets-თან ერთად მენახა ქართულ სცენაზე. სხვათა შორის, ივლისის შუა რიცხვებში მინცერი ამ ჯგუფთან ერთად მოსკოვს ეწვევა. თავად მუსიკოსი ძუნწად საუბრობს კონკრეტულ სამომავლო გეგმებზე: "ვგეგმავ, გავაგრძელო მუსიკალური მოღვაწეობა, გავიზარდო, როგორც ადამიანი და შემდგომ, - როგორც მუსიკოსი".

წუხანდელ კონცერტს განსაკუთრებული დატვირთვა თბილისში ამერიკის სრულუფლებიანი ელჩის სტუმრობამაც შესძინა. "ჩვენ ამ დღეებში ამერიკის დამოუკიდებლობას ვზეიმობთ და ეს კონცერტი, გარკვეულწილად საჩუქარია თბილისელი მსმენელებისთვის". ამერიკის საელჩო გადამხდელთა კავშირთან ერთად წუხანდელი კონცერტის მხარდამჭერი იყო. რაც შეეხება ამერიკელ ინსტრუქტორებს, ისინი კონცერტს ვერ დაესწრნენ. როგორც აღმოჩნდა, მათ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მისვლა აეკრძალათ. ამიტომაც "ისთერნ პრომოუშენის" მიწვევა ამერიკელების ნაცვლად ქართველმა სამხედროებმა მიიღეს.

დღეს ბობ მინცერისა და მისი ამერიკელი მეგობრების მოსმენის კიდევ ერთი შესანიშნავი შანსი აქვთ თბილისელებს. ღამის კლუბი "ჯოი" ალბათ, ერთ-ერთ დაუვიწყარ ჯემსეიშენს უმასპინძლებს. ამჯერად ამერიკელებთან ერთად ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი გამოვა.

ბობ მინცერი თბილისის ბიგ-ბენდთან ერთად

კახა ჯაგაშვილი

ბობ მინცერი

ბესო გულაბვილის ფოტოები

ნიკა მემანიშვილი ავსტრიაში კონცერტებს გამართავს

მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი ავსტრიაში, ქართული ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში, ორ სოლო კონცერტს გამართავს. ნიკა მემანიშვილი ვენის სიმფონიურ ორკესტრის თანხლებით თავის ახალ ნაწარმოებს შეასრულებს. კონცერტში მომღერალი ნინო ქათამაძე და ანჩისხატის მგალობელთა გუნდიც მიიღებენ მონაწილეობას.

ვენაში ანჩისხატის მგალობელთა გუნდს სოლო კონცერტი აქვს დაგეგმილი და, როგორც ნიკა მემანიშვილი ამბობს, მგალობლები მას სოლო კონცერტის შემდეგ შეუერთდებიან.

ნიკა მემანიშვილი ნინო ქათამაძესა და მგალობლებთან ერთად ავსტრიელ მსმენელს კლასიკურ ავანგარდს შესთავაზებს. (**მედია-ნიუსი**).

„ოსკარის„ ახალი გადაწყვეტილება

"ოსკარის" ცერემონიალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ დაჯილდოების კალენდარი ერთი თვით შეიკვეცოს. ამგვარად, "ოსკარის" დაჯილდოებები 2004 წლიდან მარტის ბოლოს კი არა, თებერვლის ბოლოს გაიმართება. ასევე შეიკვეცება ნომინაციების კენჭისყრის პროცედურაც. აკადემიის საბჭოს 40 წევრმა გადაწყვეტილება მოიწონა. ორგანიზატორებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს ხელს შეუწყობს საყოველთაო ენთუზიაზმის ამაღლებას და, ამასთან, ერთგვარი სტიმული იქნება მცირებიუჯეტიანი ფილმებისათვის, რომელთაც გამარჯვების უფრო მეტი შანსი მიეცემათ. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სტუდიები, რომლებიც დიდ დროსა და ფულს ხარჯავდნენ "ოსკარის" სარეკლამო კამპანიებზე, ახლა ძირითად დროს სწორედ საქმეს დაუთმობენ. "ჩვენ გვინდოდა, რომ "ოსკარის" ცერემონიალის გარშემო რაც შეიძლება ნაკლები აურზაური ყოფილიყო და თვითონ ფილმებს ეთქვათ თავისი სათქმელი" - ამბობს საბჭოს წევრი და Dream Works SKG-ს აღმასრულებელი პროდუსერი მარვინ ლევი.

აკადემიის წარმომადგენლის განცხადებით, Academy Awards არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით კმაყოფილი "ოსკარის" სტუდიების სარეკლამო ცერემონიებით, სამაგიეროდ, ყოველთვის დაინტერესებული იყო ნომინაციების დასახელების პროცედურის შეკვეცით.

მომავალ წელს "ოსკარის" 75-ე ცერემონია ისევ მარტის თვეში, 23 რიცხვში გაიმართება, პირდაპირი ტრანსლაცია კი ABC-ს პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

რა ასაზრდოებდა მწერლის თხზულებებს

ფლანერი ო`კონორის ფანები სულ მალე შეძლებენ ანდალუზიას ეწვიონ და ის ფერმა მოინახულონ, სადაც მწერლის არაერთი თხზულება დაიწერა. ო`კონორი 1964 წელს გარდაიცვალა 39 წლის ასაკში. ფერმა, სადაც მან მოთხრობების დიდი ნაწილი შექმნა, დღემდე ხალხისთვის მიუწვდომელი იყო. აგვისტოს ბოლოსთვის ფერმა გაიხსნება და ტურისტებს მისი დათვალიერების საშუალება მიეცემათ. დაგეგმილია ფერმისა და მის ტერიტორიაზე მდებარე სხვა შენობების რესტავრაცია. "ფანები აღფრთოვანებულნი დარჩებიან," - ამბობს ფლანერი ო`კონორის ანდალუზიური ფონდის დირექტორი კრაიგ ამასონი, - "ხალხის თვალწინ გაცოცხლდება ყველაფერი, რაც კი ოდესმე წაუკითხავთ მის წერილებსა თუ მოთხრობებში. მართალია, აქაურობა 40 წლის განმავლობაში ძალიან შეიცვალა, მაგრამ თქვენ აუცილებლად მიხვდებით, რა ასაზრდოებდა მის ნაწარმოებებს."

რემბრანდტი „სოთბის„ აუქციონზე

"სოთბი" აუქციონზე გამოიტანს რემბრანდტის გრავიურას, "ქრისტეს გამოცხადებას", რომელიც თავის დროზე მხატვრის ცნობილი კოლექციონერის, უილიამ ესდეილის კოლექციაში ინახებოდა და რომელიც ერთ-ერთია იმ 9 ნამუშევარს შორის, რომლებიც 1968 წლის შემდეგ აუქციონებზე გამოჩნდა. ესდეილის კოლექციიდან ეს ნახატი დოქტორ უილიამ ოდლინგის კოლექციაში გადავიდა და ბოლო დრომდე მისი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. მართალია, ოდლინგის ოჯახის წევრებმა კოლექციის დიდი ნაწილი გაყიდეს, მაგრამ რემბრანდტი, როგორც ოჯახის უძვირფასესი რელიკვია, შეინარჩუნეს. ამჯერად ნახატი 2 ივლისს გამოჩნდა აუქციონზე. ის მარტო თავისი ზომით არ არის მნიშვნელოვანი, ყურადღებას იქცევს მხატვრის მიერ არჩეული თემატიკაც - მათეს სახარების 27-ე თავი.

„ქრისტი„ პიტერ ბრეიგელს გვთავაზობს

"კრისტიმ" გამოაცხადა, რომ არცთუ დიდი ხნის წინ აღმოჩენილი პიტერ ბრეიგელის სურათი "ლოთი საღორეში" ლონდონში 10 ივლისს გაიყიდება. ნახატის ისტორიულმა და მეცნიერულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეს იშვიათი ნახატია, რომელიც 1577 წლით თარიღდება. ის შესრულებულია წრის ფორმის კაკლის ხის ფიცარზე, რომელსაც, როგორც ეტყობა, თავის დროზე ბორბლად იყენებდნენ.

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი„ წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი„
„რუსთავსტუდენტი„ წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი„
„ნესკაფე„ წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის „ბედბოუნ ენდ კომპანი„ (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ჯოი„
„კენტი„ წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „ეი ეი„ ელისის ანსამბლი (აშშ)

თბილისის 33-ე საერთაშორისო
ჯაზ - ფესტივალის პროგრამა

ვარსკვლავებზე მონადირენი

დამთავრდა მოულოდნელობებით აღსავსე, სკანდალური და სენსაციური მუნდიალი - ვისთვის უდიდესი მწუხარების მომტანი, ვისთვის კი - ტრიუმფალური. ისტორიის კუთვნილებად იქცა ოცდამეერთე საუკუნის პირველი საფეხბურთო ზეიმი, რომლის გმირებადაც ისევ და ისევ ბრაზილიელები მოგვევლინენ. ჯვარს ეცვი, თუ გინდა - მსოფლიოში "სელესაოზე" უეკთესი ნაკრები არ არსებობს! არ არსებობს და რას იზამ, უნდა შეურიგდე ამ აზრს, უნდა აღიარო პენტაკამპეონეთა უპირატესობა და მოთმინებით დაელოდო ოთხი წლის გასვლას, რათა 2006 წელს გერმანიაში მორიგი საფეხბურთო სპექტაკლების ჩასატარებლად შეიკრიბოს მსოფლიო. მანამდე კი ოქროს გვირგვინი ბრაზილიელ ფეხბურთელებს ადგათ თავზე და ევროპული კლუბებისთვისაც ყველაზე დიდი ინტერესის ობიექტები ისინი არიან. აბა, რომელ კლუბს არ სურს თავის რიგებში მსოფლიო ჩემპიონის ყოლა? ვინ იტყვის უარს ასეთ დიდ პატივზე?

მუნდიალი დასრულდა და იწყება სატრანსფერო ვნებათაღელვა. ევროპული გრანდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან და ვარსკვლავების გადაბირებას ცდილობენ. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ბრაზილიის ნაკრების რ-კვარტეტია რონალდო-რივალდო-რონალდინიო-რობერტო კარლოსის შემადგენლობით. მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი რონალდო იტალიურ "ინტერში" კი თამაშობს, მაგრამ არც ისაა დაზღვეული სიურპრიზებისგან - მისი შეძენის სურვილი ხომ თვით მადრიდის "რეალმა" გამოთქვა. ნუთუ ასე იოლად წავა რონალდო მილანური კლუბიდან? ნუთუ უკვე დაავიწყდა ფენომენს, რა დიდი ამაგი აქვს მასზე "ინტერს"? როცა რონალდო ორი წლის განმავლობაში ტრავმირებული იყო და მისი გამოჯანმრთელების იმედი აღარავის ჰქონდა, "ინტერში" მაინც სჯეროდათ, რომ "კიჭა" აუცილებლად დაიბრუნებდა ჩვეულ ფორმას და ისევ დიდი ფეხბურთელი გახდებოდა. საინტერესოა, ახსოვს თუ არა რონალდოს მასიმო მორატის ამაგი და მიიღებს თუ არა "რეალის" წინადადებას. ისე კი, მაინც როდემდე უნდა ეგონოს ფლორენტინო პერესს, რომ ყოვლისშემძლეა?

რივალდოს, ალბათ, ვერავინ ჩაიგდებს ხელში, რადგან თავად ფეხბურთელს "ბარსელონაში" სურს დარჩენა და, საეჭვოა, ლუის ვან გაალი ისევ ფიქრობდეს მის გაყიდვას. რივალდომ მუნდიალზე ხუთი გოლი გაიტანა და, მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო ეთიკის ცოდნით მაინცადამაინც ვერ დაიკვეხნის და არც სიმულანტობაა მისთვის უცხო, მაინც ძალიან კარგი ფეხბურთელია და "ბარსელონა" მას, ალბათ, არსად გაუშვებს.

იგივე შეიძლება ითქვას რობერტო კარლოსზეც, რომელიც "რეალში" თავს შესანიშნავად გრძნობს და ფიქრიც არ უნდა სადმე წასვალზე. ის კი არა, ჩია მცველი კლუბის ხელმძღვანელობასთან საქმეს აწყობს, რომ "რეალი" აუცილებლად შეეცადოს, "ინტერს" რონალდო წაართვას. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, "სამეფო კლუბს" უკვე ბრაზილიური ტრიო ეყოლება რობერტო კარლოსის, სავიოსა და რონალდოს სახით.

აი, რონალდინიოს საქმე კი ცოტა სხვანაირადაა. რონალდოს ახალგაზრდა მემკვიდრე ამჟამად "პარი სენ ჟერმენში" ირიცხება და ძალიან უნდა, უკეთეს კლუბში მოსინჯოს ძალები. რონალდოს გავლენა იყო თუ არა, კაცმა არ იცის, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მუნდიალის დასრულებამდე რონალდინიოს მილანის "ინტერში" სურდა გადასვლა და აცხადებდა, იტალიურის სწავლა დავიწყეო. ამის თქმა იყო და, მადრიდის "რეალის" ვარსკვლავებზე მონადირე პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თავი გამოიდო, რონალდინიო საფეხბურთო სპექტაკლის ოსტატია და ასეთი საოცრება მხოლოდ "რეალში" უნდა თამაშობდესო. "სამეფო კლუბის" ბოსის ქება სალბუნად დაედო ახლად გამომცხვარი ჩემპიონის თავმოყვარეობას და რონალდინიოს უცებ "რეალი" მოუნდა. ის კი აღარ უთქვამს, იტალიურის მერე ესპანურის შესწავლა აპირებს თუ არა.

რონალდინიოს კი ძალიან უნდა გრანდებში თამაში, მაგრამ "პარი სენ ჟერმენი" ჯერჯერობით არ აპირებს ახალგაზრდა ფორვარდის დათმობას. პარიზელთა თავკაცი ლუის ფერნანდესი აცხადებს, რომ თავისი გუნდი რონალდინიოს გარეშე, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია. **"ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ყოველთვის მოასწრებს დიდ კლუბში თამაშს. მიმაჩნია, რომ რონალდინიომ ჯერ გამოცდილების მიღებაზე უნდა იფიქროს და მერე - ფულზე. სად არის იმის გარანტია, რომ "რეალში" ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში მოხვდება? ჩემი აზრით, მისთვის უმჯობესია, პარიზში დარჩეს და კონტრაქტის ამოწურვამდე ჩვენს კლუბში ითამაშოს",** - ამბობს ლუის ფერნანდესი.

ფერნანდესს კი არ სურს რონალდინიოს დაკარგვა, მაგრამ თუ ფლორენტინო პერესი გულში რამეს ამოიჭრის, საეჭვოა, ვერ განახორციელოს. "რეალის" პრეზიდენტმა "იუვენტუსისთვის" ზინედინ ზიდანის წართმევა შეძლო და რა არის ამის ფონზე "პარი სენ ჟერმენის" დაყოლიება? პერესს ხომ არად უღირს ვარსკვლავების შესაძენად მილიონების გადახდა.



R - კვარტეტი: რონალდო, რივალდო, რონალდინიო, რობერტო კარლოსი

REUTERS

საფეხბურთო ქარვასლა

ჰაატა თოთაძე

ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება ევროპულ საკლუბო ტურნირებზე გადაერთვება. თუმცა, მანამ, სანამ ეს ტურნირები დაიწყება, ყველაზე აქტუალური საკითხი ფეხბურთელთა ტრანსფერები იქნება. ბრაზილიელთა ტრიუმფის შემდეგ, ბუნებრივია, მათზე მოთხოვნილება გაიზრდება, მაგრამ, ამჯერად სხვებზე, წარჩინებულ და ხელმოცარულ არაბრაზილიელებზე გვექნება საუბარი.

ევროპული კლუბებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა თურქი ფეხბურთელების კარგი თამაში. სერია A-ს "კიევი", რომელმაც წლეულს უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, შუქურ-მანსიზის შემტევი დუეტით დაინტერესდა. იტალიურმა კლუბმა უკვე მიმართა წინადადებით "პარმას", რომელშიც შუქური თამაშობს და მანსიზის "ბეშიქთაშსაც". კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის შეძენაც "კიევოს" სურს, ჰასან შაშია, მაგრამ ფეხბურთელს არ უნდა "გალათასარაის" დატოვება, ასე რომ, "კიევოს" შაშის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ვერონელთა ასეთი აქტიურობა იმან განაპირობა, რომ წინა კვირას მათი საუკეთესო ფორვარდი კორადი მილანის "ინტერში" გადავიდა.

მუნდიალის კიდევ ერთი აღმოჩენა, გერმანელი მიროსლავ კლოზე, თავის ახლანდელ კლუბში - "კაიზერსლაუტერნში" დარჩება. მართალია, მას "ბაიერი", "რომა" და "იუვენტუსი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფორვარდმა ამჯობინა, დარჩენილიყო იმ კლუბში, რომელშიც ძირითად შემადგენლობაში თამაში, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს.

დიდი მოთხოვნილებაა სენეგალელ ფეხბურთელებზე, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაციის ავტორები გახდნენ. აფრიკელთა 27 წლის ნახევარმცველი ფადიგა მუნდიალის დასრულების შემდეგ ერთდროულად რამდენიმე კლუბმა მიიწვია. მათ შორის იყვნენ "არსენალი", "ინტერი" და "მილანი", თუმცა, ყველას გასაოცრად, ფეხბურთელი იჯარით "სანდერლენდში" გადაბარგდა და სწორადაც მოიქცა. საიჯარო ხელშეკრულება "სანდერლენდსა" და "ოსერს" შორის, რომლის საკუთრებაცაა ფადიგა, ერთწლიანია და ინგლისელთა მხრიდან ფრანგებისთვის 3 მილიონი ევროს გადახდას ითვალისწინებს. "არსენალშიც" და იტალიურ კლუბებშიც მას ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა მოუწევდა და, ვინ იცის, იქნებ ვერც მიეღწია საწადელისთვის. "სანდერლენდი" კი სულ სხვა საქმეა. ამ, ინგლისური საზომებით, საშუალო კლუბში ფადიგას მატჩებში მონაწილეობის გაცილებით მეტი შანსი აქვს. დიაომ და დიუფმა, თანამემამულისგან განსხვავებით, უფრო სახელიანი კლუბი აირჩიეს - თავიანთი ბედი "ლივერპულს" დაუკავშირეს.

მუნდიალზე ერთ-ერთმა ხელმოცარულმა იური ჯორკაეფმა კი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს მიაშურა. ჩანს, "ინტერის", "კაიზერსლაუტერნისა" და "ბოლტონის" ყოფილი ვარსკვლავი "ალ-აინის" მიერ შეთავაზებულმა პირობებმა დააკმაყოფილა. ევროპაში წლიურად 2 მილიონ დოლარს, ვეტერან ფრანგს, ალბათ, არავინ გადაუხდიდა.

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ყველაზე წარმატებულ მწვრთნელებზეც გაჩნდა მოთხოვნილება. ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი მშობლიურმა "ეინდჰოვენმა" მიიწვია და, სავარაუდოდ, ამ წინადადებას მიიღებს კიდეც, რადგან, მისი თქმით, ძალიან უნდა, საკლუბო მუშაობას დაუბრუნდეს და, უმჯობესია, თუ ასეთი სამუშაო სამშობლოში ექნება.

ფილიპ ტრუსიე, რომელმაც სამუნდიალოდ იაპონიის ნაკრები მოამზადა, შესაძლოა, საფრანგეთის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. "შეიძლება არ გავხდე ნაკრების მწვრთნელი, მაგრამ, ის ფაქტი, რომ კანდიდატთა შორის მოვიხსენიები, უკვე დიდი პატივია ჩემთვის", - განაცხადა ტრუსიემ. მისი თქმით, ის თავის თავს მხოლოდ და მხოლოდ ნაკრების მწვრთნელად ხედავს, ამიტომაც მარსელის "ოლიმპიკის" გაწვრთნაზე, სავარაუდოდ, უარს იტყვის.

მისგან განსხვავებით, სენეგალის ნაკრების თავკაცი ბრუნო მეტსიუ უარს არ ამბობს კლუბების გაწვრთნაზე. მარტო თურქეთში მწვრთნელს ოთხი კლუბი ეპატიჟება. როგორც ცნობილი გახდა, ბელგიური "ლუვიეს" ხელმძღვანელობასაც გასჩენია მეტსიუს მიწვევის სურვილი, მაგრამ ყველაზე მიმზიდველად მაინც საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის წინადადება გამოიყურება. თავად მეტსიუს თქმით, არაბთა წინადადებით სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, წლევანდელ მუნდიალზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაციის მთავარ შემოქმედს მომავალ მუნდიალზე ამგვარი სიურპრიზის გაკეთება საუდელ არაბებთან ერთად მოუხდესზ.

ოლივერ კანი "ოქროს ბურთის" მფლობელია

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველად, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მეკარე აღიარეს. იგი გახდა გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერნის" კარის დარაჯი ოლივერ კანი.

კანს ხმა მისცა ფინალურ შეხვედრაზე და მატჩზე მესამე ადგილისათვის დამსწრე 147-მა ჟურნალისტმა. ეს რიცხვი გამარჯვებულის გამოვლენაში მონაწილე რეპორტიორთა საერთო რაოდენობის 25 პროცენტია. 126 ხმით მეორე ადგილზე გავიდა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის "ოქროს ბურთის" მფლობელი, კორეა-იაპონიის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი რონალდო. მესამე ადგილი დაიკავა სამხრეთ კორეის ნაკრების ვეტერანმა ხონ მიუნ ბომ, რომელსაც 106-მა ჟურნალისტმა მისცა ხმა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ 106 ხმიდან აბსოლუტური უმრავლესობა კორეელ და იაპონელ ჟურნალისტებს ეკუთვნით და მათ მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

REUTERS

დაიჯესტი

გერმანელები მიდიან

გერმანიის ნაკრებისთვის მუნდიალზე მოპოვებული მეორე ადგილი საკმაოდ კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ასაკოვან ფეხბურთელს გული სწყდება, რომ ჩემპიონი ვერ გახდა და ნაკრებიდან წასვლას ფიქრობს.

30 წლის კრისტიან ციგე და 32 წლის ტომას ლინკე ევრო 2004-ზე გამოსვლას აღარ აპირებენ. ლინკეს უკვე მტკიცედ გადაუწყვეტია ნაკრებიდან წასვლა. მიუნხენის "ბაიერნის" მცველი აცხადებს, რომ ახლა ზუსტად შესაფერისი დროა ეროვნული გუნდიდან წასასვლელად.

კრიტიკოსთა შეფასებებს ელოდება კრისტიან ციგე, რათა საბოლოოდ გადაწყვიტოს, წავა თუ არა ნაკრებიდან. ციგეს რეკორდის დამყარების სურვილი აკავებს. ფეხბურთელს უნდა, რომ ნაკრების მაისურით ასი შეხვედრა ჩაატაროს. აქამდე მას მხოლოდ სამოცდაათჯერ აქვს მორგებული ეროვნული გუნდის შავ-თეთრი ფორმა.

კანი ტრავმირებულია

აზიური მუნდიალის ფინალმა ოლივერ კანს "ოქროს ბურთთან" და მსოფლიოს საუკეთესო მეკარის ტიტულთან ერთად ხელის ტრავმაც მოუტანა. მატჩის 52-ე წუთზე ჟილბერტო სილვასთან და რივალდოსთან ბრძოლაში ბუნდესნაკრების გოლკიპერს თითში ძარღვი გაუწყდა. ალბათ, სწორედ ამის გამო ვერ შეძლო კანმა ათი წუთის შემდეგ რივალდოს მიერ დარტყმული ბურთის დაჭერა და რონალდოს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცა.

ფინალში წაგებით დანაღვლიანებული ოლივერ კანი ტრავმას დიდ ყურადღებას არ აქცევს. "ახლა დასვენება მიწევს და, ამიტომ, დიდად არ ვდარდობ ნატკენი თითის გამო. ერთ-ორ კვირაში ყველაფერი რიგზე იქნება და "ბაიერნთან" ერთად ვარჯიშს დავიწყებ", - ამბობს მუნდიალის საუკეთესო მეკარე.

ალ ჯოჰარი გააგდეს

საუდის არაბეთის ნაკრები აზიურ მუნდიალზე ცუდად გამოვიდა - ბოლო ადგილი დაიკავა თორმეტი გაშვებული და არც ერთი გატანილი გოლით.

რა თქმა უნდა, ასეთი შედეგით საუდის არაბეთში ყველა უკმაყოფილო დარჩა. ეროვნულ ნაკრებს კურირებს პრინცი ბინ ფადი, რომელმაც მუნდიალის დასრულებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება გუნდის ხელმძღვანელის, ნასერ ალ ჯოჰარის გადაყენების შესახებ.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ ვინ გახდება "უდაბნოს შვილთა" ახალი მთავარი მწვრთნელი.

კოლინამ ფინალის მერე გაიხარა

პიერლუიჯი კოლინა, რომელიც მუნდიალის ფინალში ერთადერთი იტალიელი იყო, მატჩის შემდეგ იოზეპ ბლატერმა მედლით დაჯილდოვა და გულითადი მადლობა გადაუხადა ჩემპიონატზე განეული მაღალკვალიფიციური მუშაობისთვის.

როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ კოლინას ჰკითხეს, თუ რა იყო მისი ყველაზე საუკეთესო მოგონება მუნდიალზე, იტალიელმა არბიტრმა მორცხვად უხასუხა, რომ ყველაზე მეტად რონალდოს მაისურმა გაახარა. "თავი ბედნიერად ვიგრძენი, როცა მატჩის შემდეგ ბურთი, ჰამანისა და რონალდოს მაისურები მივიღე სამახსოვროდ. ეს, მართლაც, ძვირფასი რელიკვიაა," – უთხრა იტალიელ ჟურნალისტებს კოლინამ.

გაურკვევლობა ოლირის გარშემო

ჯერაც გაურკვევლია, თუ სად გააგრძელებს მოღვაწეობას ინგლისური "ლიდს იუნაიტედის" ექს-მწვრთნელი დევიდ ოლირი. ბრიტანული გაზეთები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ირლანდიელი სპეციალისტი მომავალი სეზონიდან იტალიურ "პარმაში" წავა. "ჰერცოგთა კლუბის" წარმომადგენლებს კი ვერ გაუგიათ, საიდან იღებენ ასეთ ცნობებს ჟურნალისტები.

"დევიდ ოლირი ძალიან კარგი მწვრთნელია და "ლიდს იუნაიტედთან" ერთად ბევრს მიაღწია, მაგრამ ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია მისი "პარმაში" მიწვევა. კლუბმა უკვე გამოთქვა დაინტერესება ჩეზარე პრადელის კანდიდატურით და, არა მგონია, სტეფანო ტანციმ ოლირი ამჯობინოს", - განაცხადა "პარმას" წარმომადგენელმა.

ანს ჰარიზი იზიდავს

"სკუადრა აძურას" კარში "ოქროს გოლის" გამტან ანს თავიდან თითქოს არ უნდოდა იტალიიდან წასვლა და ძალიან აღელდა, როცა "პერუჯას" პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ კლუბიდან დაითხოვა, მაგრამ ახლა კორეელ ფეხბურთელს უკვე სხვა ინტერესები გაუჩნდა და აცხადებს, რომ იტალიაში დაბრუნებას აღარ აპირებს.

ანს, როგორც ჩანს, მოეწონა მრავალფეროვანი ცხოვრების სტილი. კორეელი ფეხბურთელი ფრანგულ კლუბ "პარი სენ ჟერმენში" გადასვლის სურვილს გამოთქვამს. ანი მუნდიალის მერე მთელმა საფეხბურთო სამყარომ გაიცნო და, მოსალოდნელია, კორეელმა ფორვარდმა თავისი კარიერა "პერუჯაზე" უკეთეს კლუბში გააგრძელოს.

„რომას„ მორიენტესი მოსწონს

ფრანკო სენსის კლუბს მადრიდის "რეალის" ფორვარდის ფერნანდო მორეინტესის შეძენა ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე უნდოდა, მაგრამ ესპანელები უარზე იყვნენ. აზიაში მორიენტესი შთამბეჭდავად გამოვიდა და რომაელებს კიდევ უფრო გაუძლიერდათ მისი შეძენის სურვილი.

ამჯერად "რომამ", შესაძლოა, მართლაც მოახერხოს მორიენტესის გადაბირება, მით უმეტეს, რომ ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდა "რეალის" მწვრთნელთან ვისენტე დელ ბოსკესთან და უკვე თავად სურს კლუბის დატოვება.

რომაელები მორიენტესის სანაცვლოდ "რეალს" 30 მილიონ ევროს უხდიან. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას, ალბათ, მოუწევს ლონდონის "ფულემის" წინადადების მიღება.

ქრონიკული ხულიგანი

კუზიანს სამარე გაასწორებსო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. ადამიანს ყველაზე მეტად თავისი ბუნების წინააღმდეგ უჭირს წასვლა. ასე დაემართა ჰანოვერელ ხულიგანს მარკუს ვარნეკერს. ვარნეკერმა პირველად ოთხი წლის წინათ, საფრანგეთის მუნდიალზე გამოიჩინა თავი. ქალაქ ლანსში, ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში, გერმანიისა და იუგოსლავიის ნაკრებები ხვდებოდნენ ერთმანეთს. თამაში ფრედ დასრულდა, რაც ვარნეკერისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მატჩის შემდეგ მან და სხვა ხულიგანმა ფანებმა დებოში ატეხეს და ფრანგი ჟანდარმი დანიელ ნიველი ისე სცემეს, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდად დარჩება.

ვარნეკერი დააპატიმრეს და ხუთი წელი მიუსაჯეს. ხულიგანი ფანი ციხეში ისე კარგად იქცეოდა, რომ ვადაზე ადრე, 2002 წლის აპრილში გაათავსუფლეს.

ერთ თვეს ვარნეკერს არაფერი დაუშავებია, მუნდიალსაც მშვიდად უყურებდა. ასაღელვებელი არც არაფერი ჰქონდა - გერმანიის ნაკრები ხომ მტკიცედ და დამაჯერებლად მიიწევდა წინ. აი, ფინალში კი ვარნეკერმა თავისი ძველი ხელობა გაიხსენა.

როცა ბრაზილიელებმა გერმანელებს მეორე გოლი გაუტანეს და ცხადი გახდა, რომ მუნდიალს "სელესაო" მოიგებდა, ვარნეკერმა ისევ აურზაური ატეხა. ჩხუბში ბევრი დაშავდა, მათ შორის, ზოგიერთი მძიმედაც.

თუ ვარნეკერს დანაშაული დაუმტკიცდა, ისევ ციხე ემუქრება - ამჯერად ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ყველაზე სანახაობრივი გუნდი

მუნდიალის ოფიციალურმა საიტმა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მოისურვა გაეგო, თუ, გულშემატკივართა აზრით, ვინ აჩვენა მუნდიალზე ყველაზე სანახაობრივი ფეხბურთი.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, გამოკითხულთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ყველაზე სასიამოვნო იყო სამხრეთ კორეის მატჩების ყურება. კორეის ნაკრებს 227 ათასმა კაცმა მისცა ხმა. მეორე ადგილზე, 70 ათასი ხმით, თურქეთის ნაკრები გავიდა. ჩემპიონი ბრაზილიელები კი მხოლოდ მესამენი იყვნენ 32 ათასი ხმით.

უიმბლდონი

ჩოგბურთელების და ტექნოლოგების ტურნირი უიმბლდონის კორტებზე

REUTERS

გიორგი გახელაძე

უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირზე წლეულს განსაკუთრებული ყურადღება საინფორმაციო ტექნოლოგიებს ექცევა.

სპორტსმენები ამით თავს არ იტკივებენ, მაგრამ კომპანია IBM-ის უმბლდონური პროექტის დირექტორმა, მარკ მაკმერამ ზუსტად იცის, როგორ გაუშვებს მისი გუნდი ერთ-ორ ეისს.

"მთავარია, ინფორმაციის შეყვანა და მისი ადრესატებამდე მისვლა," – უთხრა ბი-ბი-სის მაკმერამ.

ორ-ორი ადამიანი ყოველ კორტზე აფიქსირებს თითოეულ დარტყმას ბურთზე. ამ ამოცანის შესასრულებლად ბრიტანეთის რეგიონულ ტურნირებზე მოთამაშე საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელებიც არიან. ისინი ითვლიან პირველ და მეორე მოწოდებებს, აფიქსირებენ ბურთის დაცემის ზუსტ ადგილს და, ყოველი დარტყმისას, ბურთის ბრუნვასაც კი აკვირდებიან.

მთელი ეს ინფორმაცია, სპეციალურად დამზადებული კლავიატურებით, დაუყოვნებლივ შედის ტურნირის მონაცემთა ბაზაში.

მომცრო კორტებზე, საიდანაც ტელეტრანსლაცია არ ხდება და რეალური დროის რეჟიმში ინფორმაციის გადაცემის აუცილებლობაც არ არის, ყველა მონაცემი იწერება ჯიბის კომპიუტერებში. მატჩის დამთავრების შემდეგ კი, ასევე საერთო ბაზაში იტვირთება.

შვიდ ძირითად მოედანზე, ადამიანების გარდა, რადარები მუშაობს – ჩაწოდებული ბურთის სიჩქარის გასაზომად.

IBM მაყურებლების, ჟურნალისტებისა და ინტერნეტ-მომხმარებლებისთვის მხოლოდ სრული სტატისკის მიწოდებით არ იფარგლება. კომპანია ადგენს თითოეული მონაწილე ჩოგბურთელის გამოსვლების დეტალურ ანგარიშს. ამ ანგარიშებს ნებისმიერ მოასპარეზეს შეჯიბრის დამთავრებისას აცნობენ.

უიმბლდონის დამთავრებისთანავე მაკმერას IBM-გუნდი 2003 წლის შეჯიბრისთვის დაიწყებს მზადებას. თუმცა, რევოლუციურ ნაკეთობებსა და სისტემებს არ გამოიყენებენ.

"ჩვენთვის ტექნოლოგიის გამოყენება თვითმიზანი არ არის, - ამბობს მაკმერა, – **უიმბლდონი ტექნიკურად პროგრესულია, მაგრამ გამოყენებული იქნება მხოლოდ ათასგზის შემოწმებული ტექნიკა, რომელიც დატვირთვას აუცილებლად გაუძლებს."**

ჯიბის კომპიუტერების გარდა, ერთადერთი ტექნიკური ინოვაცია IBM-ში საგანგებოდ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფაა. მას გრიფონი (Gryphon) ჰქვია და მსოფლიო "აბლაბუდაში" ინფორმაციის რეალურ დროის რეჟიმში გამოსაქვეყნებლად გამოიყენება.

უიმბლდონის ტექნოლოგიურ ქვაკუთხედია ტურნირის ინტერნეტ-საიტი. წლეულს უამრავ მომსახურებას დაემატა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მატჩის ანგარიშის ხმოვანი შეტყობინება.

შარშან უიმბლდონის საიტს 200 მილიონი მომხმარებელი ესტუმრა. თუმცა, ამას ალბიონის თქვშმა შეუწყო ხელი. პირველად ისტორიაში, შეჯიბრი გაგრძელდა მესამე სამუშაო კვირას. გულშემატკივრები სამსახურებში დაბრუნდნენ და ვაჟების ფინალს ვერც დაესწრნენ, ვერც ტელევიზორში უყურეს და ინტერნეტის ანაბარა დარჩნენ.

IBM უიმბლდონის ტურნირის ტექნიკურ მხარეს 1990 წლიდან უზრუნველყოფს. გასული 12 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. **"თავდაპირველად, მხოლოდ რამდენიმე ლეპტოპით აღირიცხებოდა ზოგიერთი კორტის ინფორმაცია,"** - იგონებს მაკმერა.

ბურთი 100 წლისაა

ინგლისში მიმდინარე უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირი საინტერესოა არა მარტო ფავორიტების მარცხით და მიმდინარე შეხვედრებით - უიმბლდონის ოფიციალურ ბურთს 100 წელი შეუსრულდა. სწორედ ამდენი წლის შემდეგ დაიწყო ცნობილი ფირმა "დანლოპისა" და ტურნირის ორგანიზატორთა თანამშრომლობა. ბურთის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ძალიან მკაცრია. წონა, ზომა, შიდა წნევა - ყველაფერი მკაცრი კონტროლის ქვეშაა. თითოეული ტურნირის განმავლობაში 40 ათასზე მეტი ბურთი გამოიყენება, რომელთა შორის წონაში განსხვავებაა, თუმცა ეს მხოლოდ 1,8 გრამს შეადგენს. ყველაზე "გამხდარი" ბურთი 56,7 გრამს იწონის, ყველაზე "მსუქანი" კი - 58,5-ს. ტურნირის დაწყების წინ ბურთებს სპეციალური ჯგუფები ამოწმებენ. 40 ათასიდან თითოეულ ბურთს ბეტონის საფარზე 2,5 მეტრის სიმაღლიდან აგდებენ. ბურთი მიწიდან არანაკლებ 138 სანტიმეტრზე და არა უმეტეს 141 სანტიმეტრზე უნდა ავარდეს.

ბურთების დამზადების პროცესი მალაიზიაში იწყება. აქ კაუჩუკს აგროვებენ და ინგლისში, ქალაქ ბარბსლიში აგზავნიან. ქარხანაში კაუჩუკს კიდევ 14 სახის სხვადასხვა ნივთიერებას ურევენ. საინტერესოა, რომ ნამდვილი ბურთი ორი ნაწილისგან შედგება, რომელსაც ზუსტად 10 წუთის განმავლობაში აერთებენ. ამ პროცესის დროს ტემპერატურა ზუსტადაა განსაზღვრული და ცელსიუსის შკალით 150 გრადუსს შეადგენს. გამოკვლევებით დადგინდა, რომ გამთბარი ბურთი გაცილებით მაღლა ხტება, ვიდრე ჩვეულებრივი, რაც გასათვალისწინებელია. თუმცა, ამის საშიშროება წვიმებით გატანჯულ უიმბლდონის მონაწილეებს ნამდვილად არ ემუქრებათ. და კიდევ ერთი - ბურთის მოძრაობის სიჩქარის მსოფლიოს რეკორდი 240 კილომეტრ საათს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბურთი კორტს წამზე ნაკლებ დროში გადაკვეთს.

უიმბლდონის მორიგი სენსაცია და ბელგიელთა ტრიუმფი

დიმიტრი ობოლაძე

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა, ჯონ მაკინროომ უიმბლდონის ფინალისტთა შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა. მაკინროომ კაცთა ტურნირის ფინალში ინგლისელები გრეგ რუსედსკი და ტიმ ჰენმანი გაიყვანა. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური ფინალი არ შედგება. რუსედსკიმ 21 წლის ბელგიელ, ქსავიე მალისთან წააგო. შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა და ორი საათისა და 25 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. პირველი სეტი ბრიტანელმა 6-3 მოიგო, მეორეში 3-6 წააგო. ეს ანგარიში ამ შეხვედრაში პოპულარული გამოდგა. მესამეში ბელგიელმა და მეოთხეში რუსედსკიმ ერთნაირი ანგარიშით 6-3 გაიმარჯვეს. ყველაფერი მეხუთე სეტმა გადაწყვიტა, რომელიც უკეთ მალისმა ჩაატარა. 21 წლის ჩოგბურთელმა, რომელიც თავის პირველ სერიოზულ ტურნირს თამაშობს, 6-4 გაიმარჯვა და რუსედსკი ტურნირს გამოთიშა."იგი ნაკლები პატივისცემით მომეკიდა და ამით ბევრი დაკარგა. გონს გვიან მოეგო. სიტუაციას მე ვფლობდი და დიდი გამარჯვება მოვიპოვე."-განაცხადა ბელგიელმა.

საინტერესო გამოდგა ქალთა ტურნირის შეხვედრები. მონიკა სელეშმა ვერაფერი გააწყო ბელგიელ ჩოგბურთელ, ჟასტინ ჰენინთან. 28 წლის ბელგიელი დამაჯერებლად თამაშობდა და ორ სეტში, 7-5 და 7-6 გაიმარჯვა. მეექვსე ნომრად განთესილი ჰენინის მომდევნო მეტოქის ვინაობა ვენუს უილიამსისა და რუსი ელენა ლიხოვცევას შეხვედრას უნდა გაერკვია. ამერიკელმა ჩოგბურთელმა იოლად და სწრაფად 6-2,6-0 გაიმარჯვა. ბერძენმა ჩოგბურთელმა,ელენი დანილიდუმ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მესამე ნომერს, ჯენიფერ კაპრიატის, რომელმაც პირველი სეტი დამაჯერებელი ანგარიშით 6-1 მოიგო. მეორეში კი ბერძენმა 6-3 გაიმარჯვა. მესამე სეტში კაპრიატის არც ერთი შეცდომა არ დაუშვია, 6-1 და ამერიკელი ნახევარფინალში გავიდა.

ძლიერმა წვიმამ კვლავ ბევრი პრობლემა შეუქმნა მონაწილეებსა და ორგანიზატორებს. ბევრი შეხვედრა შეწყდა და დღეს დასრულდება.

რუსედსკი გავარდა...

REUTERS

რაგბი

ბორჯღალოსანთა აჭარული სამზადისი

რუსეთთან მატჩისთვის მზადებას ქართველი მორაგბეები სამი თვით ადრე იწყებენ

ჰაატა თოთაძე

ვინ ითამაშებს 2003 წელს მსოფლიო თასზე - საქართველო თუ რუსეთი? ამ კითხვას შემოდგომაზე გაეცემა პასუხი. რაგბი სპორტის ის სახეობაა, სუსტი თითქმის ვერასდროს რომ ვერ უგებს ძლიერს. ამიტომაც აქ მარცხის ვინმეზე გადაბრალება შეუძლებელია. ასე იქნება 5 ოქტომბერსაც, როცა საქართველოს ნაკრები რუსეთს დაუპირისპირდება. სწორედ ამ დღეს გაირკვევა "ბორჯღალოსნების" ბედი - გაემგზავრებიან თუ არა ისინი ავსტრალიაში მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ. ამ დღეს უთუოდ მოიგებს ის, ვინც უკეთ იქნება მომზადებული.

ქართველი მორაგბეები ამ მატჩისთვის დღეიდან იწყებენ მზადებას. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მზადების ამ ეტაპისთვის შეარჩია აჭარა, სადაც გუშინ გაემგზავრნენ მორაგბეები. 8 ივლისამდე ისინი აჭარის მთიანეთში მოემზადებიან, შემდეგ კი ხუთ დღეს ზღვაზე გაატარებენ. **"რაც უფრო დიდხანს გვექნება ერთად ყოფნის შესაძლებლობა, მით კარგია,** - თქვა ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა, – **განსახილველი გვაქვს მრავალი ტაქტიკური სიახლე, რომელთა შემდგომ დამუშავებასა და დახვეწას ბიჭების ერთად ყოფნა სჭირდება."**

ნაკრების ბირთვთან ერთად, რომლის უდიდესი ნაწილიც საფრანგეთში თამაშობს, სორელმა აჭარაში წაიყვანა რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბეც, რომლებიც, მისი აზრით, ახლო მომავალში ნაკრებში ითამაშებენ. ესენი არიან ოთარ ბარკალაია და მამუკა გორგოძე "ლელო-ორბელიდან", "ყოჩი" გიორგი ტრაპაიძე, "აკადემიის" გიორგი გეგიძე და გიორგი ელიზბარაშვილი. ახალგაზრდებთან ერთად, შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდს ვეტერანი ნიკოლოზ იურინიც შეუერთდა. იმ ტაქტიკურ სიახლეებს, რომლებზეც მწვრთნელი საუბრობდა, პრაქტიკულად გამოცდაც ელით. საქმე ისაა, რომ, ეროვნულთან ერთად, აჭარაში 20 წლამდელთა ნაკრებიც გაემგზავრა მოსამზადებლად. ჭაბუკები 11 ივლისს იუგოსლავიაში, ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებიან და ეროვნული ნაკრების სპარინგ-პარტნიორობა ამ ტურნირისთვის მოსამზადებლად ფრიად წაადგებათ. თუ ქართველი ახალგაზრდები იუგოსლავიაში კარგად ითამაშებენ, მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს, რომელსაც ევროპის პირველობაზე წარჩინებულნი იღებენ.

ჭაბუკებს გარდა, ეროვნული ნაკრები ბათუმის "დათვებსაც" გაეჯიბრება. ჯერჯერობით ცნობილი არ არის მატჩის გამართვის თარიღი, თუმცა, ნაკრების გეგმებიდან გამომდინარე, 9-დან 13 ივლისამდე უნდა გაიმართოს. ამის შემდეგ ბორჯღალოსნები თბილისში დაბრუნდებიან, ცოტა ხნით დაისვენებენ და თავ-თავიანთ კლუბებს მიაშურებენ. ბოლოს კი სექტემბრის მიწურულს შეიკრიბებიან. რუსეთთან მატჩამდე, კალენდრის მიხედვით, 28 სექტემბერს ირლანდიელების სტუმრობა უწევთ. ჩვენებმა იფიქრეს, მატჩებს შორის ერთკვირიანი დასვენება საკმარისი არ იქნებაო და ირლანდიელებს სთხოვეს, თამაში სამი კვირით, ანუ რუსეთთან მატჩის შემდეგ გადაეტანათ. ჯერჯერობით არც ეს საკითხია დაზუსტებული, რადგან ირლანდიის რაგბის კავშირისგან არც თანხმობა მიუღიათ და არც უარი.

კალათბურთი

განხეთქილება ევროპულ კალათბურთში

ევროპულ კალათბურთში სერიოზული სკანდალი იწყება. ორმა ევროპულმა საკალათბურთო ლიგამ, ULEB-მა და FIBA-მ, 2002-2003 წლების სეზონში ორი ახალი ტურნირის შექმნის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადეს. ევროპული ქვეყნების საკალათბურთო კავშირი ახალ, ULEB-ის თასის გათამაშების დაწყებას გეგმავს. ევროპული კალათბურთის ფედერაცია (FIBA) კი ჩემპიონთა თასის გათამაშებას იწყებს. თავისთავად ცხადია, რომ ევროპულ კალათბურთში განხეთქილებაა. ფინანსურად ძლიერი ორი ორგანიზაცია საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძვის.

ევროპული კალათბურთის ფედერაციამ ამ საკითხის განხილვას მიუძღვნა საგანგებო კონგრესი, რომელიც საბერძნეთის ქალაქ ჰალკიდაში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და გუშინ დასრულდა. FIBA-ს ყველაფერი მოგვარებული აქვს. ტურნირი სამ კონფერენციაში გაიმართება. ჩრდილოეთის კონფერენციის მმართველ დირექტორად საკმაოდ ცნობილი ლიტველი კალათბურთელი შარუნას მარჩულიონისი დაინიშნა. სამხრეთის კონფერენციის დირექტორი ბულგარელი კოსტა ილიევი იქნება, დასავლეთს კი უხელმძღვანელებს ესპანელი ჰოსე ანტონიო მონტერო ბონტაჰი. კონგრესმა მიიღო ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც საბოლოო გადაწყვეტილება დაფიქსირდა. FIBA-Европа აარსებს ევროპის მთავარ საკალათბურთი ლიგას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კონტინენტის უძლიერესი ვაჟ კალათბურთელთა კლუბები. ტურნირის დასახელებაა "ჩემპიონთა თასი" და მისი პირველი ეტაპი სამ კონფერენციაში ჩატარდება. ამის შემდეგ გაიმართება "ოთხთა ფინალი". ერთ-ერთ პუნქტში წერია: "იმის გათვალისწინებით, რომ ევროლიგასთან კომპრომისის პოვნა შეუძლებელია, "ჩემპიონთა თასი" ვალდებულია, დააკმაყოფილოს ტურნირში მონაწილე ყველა გუნდის მოთხოვნები. ამისთვის შეიქმნება ე.წ. "ოქროს ჯგუფი", რომელშიც ევროპის ყველაზე მდიდარი კლუბები გაერთიანდებიან." ჯერჯერობით უცნობია, ამ ტურნირში კონკრეტულად რომელი გუნდი მონაწილეობს. ორგანიზატორთა მოთხოვნით, კლუბებმა ეროვნული საკალათბურთო ფედერაციების საშუალებით უნდა გაიარონ ოფიციალური რეგისტრაცია. კენჭისყრა 30 ივლისს (კონფერენციების შესაბამისად) პარიზში, ვილნიუსში, მადრიდსა და სოფიაში გაიმართება. ასპარეზობა 1 ოქტომბერს დაიწყება.

საინტერესოა ევროპული კალათბურთის ფედერაციის კონკურენტის ULEB-ის მესვეურთა მოსაზრება. რა თქმა უნდა, აქაც შექმნილია დირექტორთა საბჭო, რომლის სხდომაც უახლოეს დღეებშია დაგეგმილი. უკვე ცნობილია 32 კლუბი, რომელიც ULEB-ის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. დასახელებული კლუბების რიცხვში შედიან იტალიის "რომა" და "სკავოლინი", ხორვატიის "ზადარი", ესპანეთის სამი ნაკლებად ცნობილი კლუბი, გერმანიის "ტელეკომ-ბონი", ჰოლანდიის "რიკონი" და სხვა კლუბები. დირექტორატი დაინტერესებულია ძლიერი კლუბების მიწვევით. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკება "LONDON-TAUERS"-თან და იუგოსლავიის, ბელგრადის "პარტიზანთან". ULEB-ი, FIBA-სთან შედარებით, გაურკვეველ მდგომარეობაშია. აქ ჯერ ცნობილი არ არის ტურნირის ჩატარების სისტემა და დაწყების თარიღი. ერთადერთი, რაც ცნობილია, ის არის, რომ 2003-2004 წლების სეზონში ტურნირის ორი ფინალისტი ევროლიგაში ითამაშებს.

ველოსპორტი

არმსტრონგი კიდევ ერთი ტურის მოგებას აპირებს

ამერიკელი ველომრბოლელი ლემს არმსტრონგი ცოტა ხნის წინათ განწირული ეგონათ - ექიმების დიაგნოზი ულმობელი აღმოჩნდა. მას ონკოლოგიური დაავადება აღმოუჩინეს, რომელიც მთელს ორგანიზმს მოედო. 1996 წელს ამერიკელმა სპორტსმენმა რეაბილიტაციის მტანჯველი პერიოდი გაიარა. ექიმები აცხადებდნენ, რომ მის ორგანიზმში დაავადების უამრავი კერა არსებობდა. "გადარჩენის შანსი მხოლოდ 60 პროცენტია", - ასეთი იყო საბოლოო დასკვნა. ეს მოხდა 6 წლის წინათ. შარშან კი არმსტრონგმა უდიდესი უპირატესობით, ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა - "ტურ დე ფრანსი". ამერიკელმა რამდენიმე რბოლით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა. 6 ივლისს სტარტს იღებს ახალი "ტურ დე ფრანსი". სპეციალისტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამჯერად არმსტრონგი წარმატებას ვერ მიაღწევს. თუ რატომ, ამის კონკრეტულ მიზეზს ვერავინ ასახელებს. სრულიად განსხვავებულად ფიქრობს ველომრბოლელი: "1999, 2000 და 2001 წლებთან შედარებით, გაცილებით უკეთეს ფორმაში ვიმყოფები. რა თქმა უნდა, რბოლის დროს შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ." ოპტიმიზმს საფუძველიც გააჩნია - არმსტრონგის მთავარი კონკურენტები ტრავმირებულნი არიან. გერმანელ იან ულრიჰს მუხლი აქვს დაზიანებული, იტალიელი მარკო პანტანი კი სადოპინგო ამბების გამო სერიოზულ პრობლემებს განიცდის. არმსტრონგმა ჯერ კიდევ შარშანდელი ტურის მოგების შემდეგ თქვა, რომ მომდევნო, თავისი მეოთხე "ტურ დე ფრანსის" მოგებას აპირებდა.

2002 წლის "ტურ დე ფრანსის" ტრასა უმოკლესია - 3282 კილომეტრი. პროლოგი, , ლუქსემბურგში 6 ივლისს შედგება. შემდეგ გაგრძელდება გერმანიაში და ბოლოს - საფრანგეთში. რბოლა 20 ეტაპისაგან შედგება და 28 ივლისს საფრანგეთში დამთავრდება.

კოპერფილდმა წვიმა ვერ შეაჩერა

რესტორნის მფლობელი ვარსკვლავები: ბრიტნი სპირსი, კამერონ დიასი და ჯენიფერ ლოპესი REUTERS

"ფორბსმა" ბრიტნი სპირსს ყველაზე შემოსავლიანი მომღერლის სტატუსი მიანიჭა. ამ აღიარებიდან რამდენიმე დღეში სპირსმა ნიუ-იორკში, მანჰეტენზე საკუთარი რესტორანი გახსნა. Nyla – ასე ჰქვია სასტუმრო "დილანის" შენობაში გახსნილ დაწესებულებას ნიუ-იორკისა და ლუიზიანას საპატივსაცემოდ. ორივე ადგილი სპირსს ყველა ქალაქზე მეტად უყვარს. საზეიმო პრეზენტაციის მოწყობა მომღერალს 300 ათასი დოლარი დაუჯდა, თუმცა ძლიერი წვიმის გამო ცერემონიალი ორგანიზებულობით არ გამოირჩეოდა. დასველებული სტუმრები შენობაში შესასვლელად გრძელ რიგში იდგნენ, ხოლო რამდენიმე ლოდინით დაღლილმა ვარსკვლავმა ახლო-მახლო ბარებს შეაფარა თავი. გახსნას ესწრებოდა დევიდ კოპერფილდიც. "ბევრმა შემიკვეთა, როგორმე წვიმა შემეჩერებინა", - ხუმრობდა კოპერფილდი ჟურნალისტებთან საუბრისას. პრეზენტაციაზე მიწვეული იყო ჯენიფერ ლოპესი და შერიც, მაგრამ წვიმისგან განსხვავებით, ბრიტნი მათ არ დააფასეს. სამაგიეროდ რესტორანი უკვე ინახულეს ნიუ-იორკის ექს-მერმა რუდი ჯულიანიმ, მილიონერმა დონალდ ტრამპმა და ჯგუფ LMNT-ის ბიჭებმა, ხოლო ბროდვეის წარმოადგენდა დებორა გიბსონი.

ინტერიერის დიზაინერის, ჯეი ჰავერსონის თქმით, Nyla ისეთ ფერებშია გადაწყვეტილი, როგორი იმიჯიც ეხლა ბრიტნი სპირსს აქვს – რესტორნის ინტერიერში მანგოსა და ორქიდეების ტონალობა ჭარბობს. რაც შეეხება მენიუს, ის ოჯახურ და აზიურ გემოვნებაზეა გათვლილი. თავად სპირსმა Nyla-ში პირველად ისადილა შემწვარი ქათმით (ფასი: 16 დოლარი), რომელსაც სიმინდი, კარტოფილის ნამცხვარი და ბოსტნეულის სალათი მოჰყვება.

სხვათა შორის, ბრიტნი სპირსამდე საკუთარი რესტორნები კამერონ დიასმა და ჯენიფერ ლოპესმაც გახსნეს. დიასი მაიამიში "ბამბუს" ფლობს, ლოპესი კი კალიფორნიაში, პასადენაზე, "მადრეს".

მოდაშია ბრილიანტი

გამოფენა დელის ნაციონალურ მუზეუმში. 185 კარატიანი ბრილიანტის ყელსაბამი REUTERS

ერთადერთი ბიზნესი, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ მავნე გავლენას გადაურჩა, ბრიტანული ბრილიანტის ბაზარია. ბოლო კვლევების შედეგად, ბრიტანელები მსოფლიოში ყველაზე მეტ ბრილიანტს ყიდულობენ. მხოლოდ წელს, მოსალოდნელია, რომ ამ ძვირფას ქვაზე ბრიტანეთში 1 მილიარდ ფუნტ სტერლინგს დახარჯავენ. ახალ საუკენესთან ერთად, მოდაში შემოდის ტაიტური მარგალიტი, ლალი და ზურმუხტიც, მაგრამ ბრიტანელი მანდილოსნების უძვირფასეს განძად მაინც ბრილიანტი რჩება. "მსოფლიოს მასშტაბით, ბრიტანული ბაზარი ერთადერთია, რომელზეც ზრდა დაფიქსირდა – დაახლოებით 11 პროცენტი", - აცხადებს ფიონა სპენსი, ბრილიანტით ვაჭრობის კომპანიის წარმომადგენელი. ცხადია, აშშ-ს ტერაქტების შემდეგ ეკონომიკურ კრიზისს ძვირფასი ქვების ბაზარსაც უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, საქმე ცუდად არ წასულა. "ხალხს ფული აქვს და სურვილიც, საკუთარ თავს ძვირფასი საჩუქრები გაუკეთოს", - დასძენს სპენსი. 2001 წელს, ცხვირის საყურეებიდან დაწყებული, ყელსაბამებით დამთავრებული, 2.9 მილიონი ბრილიანტის ნივთი გაიყიდა, სულ 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ღირებულების. ლონდონელი სპეციალისტის, ჰარი ლევის აზრით, ასეთ ტენდენციას ახალგაზრდა ბრიტანელები ქმნიან, რომელთაც, სხვა ევროპელებისგან განსხვავებით, ძვირფასი ქვების იდეა ძალიან მოსწონთ.

TV პროგრამა 3 ივლისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი „სიყვარულის სახელით“
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი „ოცნების კოშკები“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 03.10 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
19.15 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა
19.50 სერიალი „ოცნების კოშკები“
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. „ამერიკის ფავორიტები“ მთ. როლებში: ჯულია რობერტსი, გილი კრისტალი
02.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

პირველი არხი

07.30 „ალიონი“
09.45 მულტსერიალი „სიმგა ფეხბურთელი“
10.10 სერიალი „ძილის წინ“
10.25 „მსოფლიოს ველური გუნება“
11.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამგე
12.15 სერიალი „გოგონები ქარში“
12.45, 19.00 ვილეოპატრული
13.00 „ნაფუშადღევს“
14.05 რეალური სამყარო
14.25 „ჩვენი მისამართია“
15.15 ჰოლივუდის ვარსკვლავები
15.40 რუბინეთის პრეზიდენტის მისი აღმატებულების გატონ იონ ილიესკუს გაცილების რეპორტაჟი თბილისის აეროპორტიდან
16.00 მხ.ფ. „დარტანიანი და სამი მუშკეტერი“ (3 სერია)
17.15 50-50
18.00 „ვესტნიკი“
18.20 სერიალი „გოგონები ქარში“
19.10 ინტერმეცო
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“
21.45 ეპოდაჯესტი
22.10 ტელე-სინე-ვიდეო
23.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.55 დოკ. სერიალი „მეოცე საუკუნე“
00.15 მხ.ფ. „მარსიანოს სასწაულები“

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი „სკარლეტი“ მე-3 ნაწილი
21ყ15 სერიალი „მხოლოდ შენთვის“
22.10 მხ. ფილმი „რაჭა ჩუმი სიყვარული“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 „ვესტი“
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 საუბრები მწვანე გუბართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
22.30 მსოფლიო სპორტი
23.30, 00.30 მხ.ფ. „სად არიჩემი მანქანა, გიჟო?“

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.20, 12.00, 13.00, 20.20, 21.55, 00.05 მუსიკა
08.25 მხ.ფ. „იარალის გზა“
10.30 ძველი კინო_მხ.ფ. „ლედი ჰამილტონი“
20.25 მხ.ფ. „რუბიკონის საიდუმლო“
22.05 მხ.ფ. „ყოველკვირა“

პირველი სტერეო

07.15 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა“
08.00 მუსიკალურ-გასართობი პრობრამა „ტორროლა“
11.00 „მუსიკალური ათეულის“ განმეორებით
11.45 „კლიპები შეყვარებულთათვის“ განმეორებით
13.15 მხ.ფილმი
15.00 მუსიკა
17.30 „სწ.მედია“ მხ.ფ. „დაუმარცხებელი ჯაბუში“
19.00 მუსიკა
20.00 ვიდეო-რადიო
22.00 მიძს-20
00.00 „ბრავო“ მხ.ფ. „მაგნოლია“. მთ. როლებში ჯეისონ რობერტსი, ჯერემი გრეკმანი
01.30 „ღამურა“ მხ.ფ. „თაღლითობა“ მთ.როლებში კრისტოფერ უოკენი, ლორენ ბრაკო
04.15 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. „ოქროს თვალი“
14.10 მხ.ფ. „ბოძილა“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პრობრამა „დღეს“
17.15 მხ.ფ. „მაიკლი“
19.20 სპეძტრი
21.00 მუსიკა
21.50 მხ. ფილმი „ხვალე არ მოკვდე არასოდეს“

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პრობრამა „დღის ამბები“
09.20 მულტფილმი „ალექსი“ 22-ე სერია
09.45 მხ.სერიალი „ჰორასი და თინა“ 22-ე სერია
10.15,00.20 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი „პირობა“
12.30 დოკ. ფილმი „ეს წარმოდგენაა“
13.10 დისკავერი
14.45 „მთავარი თემა“
15.30 მხ. ფილმი „გლორია“
17.45 მულტფილმი „ალექსი“ 23-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი „ჰორასი და თინა“ 23-ე სერია
18.45 მხ. ფილმი „ფანტომასი სკოტლან იარდის წინააღმდეგ“
20.20 დოკ.სერიალი „ჩემი ქვეყანა“_“არაჩვეულებრივი გამოფენა“
21.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი“
21.30 „მთავარი თემა“
22.15 მხ.ფ. „სამი ფერი ლურჯი“. მთ. როლში ჟულეტ ბინოში
00.40 მხ.ფ. „უკანასკნელი რაინდი“. მთ. როლებში ჯონ ლიტგოუ, გოგ ჰოპკინსი, ვანესა უილიამსი

აჭარის ტელევიზია

9.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
9.30 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი“ 1სერია
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია „მისტერ ჰონკონგი“
13.55 თრილერი „მარტივი გეგმა“
16.15 მულტფილმი „ანასტასია“
17.10 თრილერი „სიკვდილით აღნიშნული“
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული ფილმი „კარიერი“
22.50 „ Пресс-папье“
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მელოდრამა „მხოლოდ სიყვარული“ 1 სერია
03.30 ფანტასტიკური საგა „მთიელი“

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 „აჩიკუდა“
10.10 „სახლიდან გაუსვლელად“
10.35 მოკლედ... სპორტი
10.40 „ფაქტი, აზრი, კომენტარი“ (განმეორებით)
10.50 მუსიკალური ბიორითმი - „ბეძსტრით ბოისი“
11.10 „პაემანი“ (განმეორებით)
12.00 მულტსერიალი
12.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.35 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე“
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 „სახლიდან გაუსვლელად“
13.55 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.30 „სახლიდან გაუსვლელად“
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 „აჩიკუდა“
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.40 „სახლიდან გაუსვლელად“
20.00 მუსიკალური ტაიმაუტი
20.10 სპორტული პრობრამა - „კასკადიორები“
20.30 „ფაქტი, აზრი, კომენტარი“
20.40 „ლა-ლა-ლა“
21.20 მოკლედ... ასტროლოგიური პრობნოზი
21.25 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე“
21.50 მოკლედ... სპორტი
22.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.10 „კინოკლუბი“ - მხ.ფილმი „უფსკრული“ ა.შ.შ. 1996 წელი. ფანტასტიკა. რეჟისორი - ჯეიმს კემერონი. როლებში: ედ ჰარისი, მერი ელიზაბეტ მასტრანტონიო, მაიკლ გიენე.
01.00 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
01.10 „სახლიდან გაუსვლელად“
01.35 მუსიკალური ბიორითმი - „ბეძსტრით ბოისი“
01.55 მხ.ფ. ჟანრებში: - „ბინძური გარი“ ა.შ.შ. 1989 წელი. მაფიოზიუეტიანი. რეჟისორი - დონ სიჯელი. როლებში: კლინტ ისტვუდი, გარი გარდინო.
03.30 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 "Доброе утро".
07.40, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.2 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.30 Программа "100%"
12.30 Следствие видет Коломбо
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 Док. фильм "Ключ от ядерной кнопки"
15.00 "Народ против". Телеигра.
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.45 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 Большая стирка
20.25 х.ф. "НА ЛЕВО С ЛИФТА"
22.00 Время.
22.35 "Слабое звено"
23.25 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко.
00.00 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 Дневник Московского кинофестиваля
01.30 "16-й отдел".
02.25 "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 8.40,17.45 Афиша
07.40, 9.30 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.35 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25, 15.20 Вести-спорт
09.15 Москва- Минск.
10.10 Док. сериал "Это - голивуд!"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "КЛЮЧИ ОТ РАЯ"
14.15 Мульфильм.
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
18.20 Футбол. Чемпионат России
20.00 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.50 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ЧТО РАСТЕТ В ТВОЕМ САДУ?"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "ВОПРЕКИ ВСЕМУ".
01.55 х.ф. "ТАНЦЫ ВЛЮБЛЕННЫХ"

НТВ

07.05 Утро на НТВ
09.50 "ПОЛИЦЕЙСКИЕ.НОЧНОЙ ВИЗИТЕР"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 Криминальная Россия
11.55 Квартирный вопрос
12.35 Среда
13.20, 16.40, 19.40 Криминал
11.20 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОНЮ СОКРОВИЩА АГРЫ"
15.05 Ток-шоу "Принцип "Домино"
17.30, 21.45 Сериал "СЛЕД ОБОРОТНЯ"
18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.35 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 5-я с.
23.35 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-4"
00.25 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
01.40"О, Счастливчик!". Игра.
02.15 х.ф. "НЕМНОГО ЛЮБВИ"

TV პროგრამები მოგვაწოდა საჯარო ინფორმაციამ